# სს „საქართველოს ბანკი“ და მისი შვილობილი კომპანიები

## მენეჯმენტის შუალედური ანგარიში

2022 წლის პირველი ნახევრის კონსოლიდირებული შედეგები

# „საქართველოს ბანკის“ შესახებ

სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) 1994 წლის 21 ოქტომბერს დაარსდა როგორც სააქციო საზოგადოება („სს“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) ძირითადად აერთიანებს: (ა) საცალო საბანკო მომსახურებას და საგადახდო მომსახურებას (შემდგომში „საცალო საბანკო მომსახურება“); და ბ) კორპორატიულ საბანკო ოპერაციებს (შემდგომში „კორპორატიული საბანკო მომსახურება“).

სს „საქართველოს ბანკი“, სისტემურად მნიშვნელოვანი და წამყვანი უნივერსალური ბანკი საქართველოში, ჯგუფის მთავარი ერთეულია. ბანკი ლიდერია საგადახდო ბიზნესში და ფინანსურ მობილურ აპლიკაციებში, ძლიერი საცალო და კორპორატიული საბანკო ფრანშიზით საქართველოში. ჯგუფი, რომელიც სულ უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას დიჯითალიზაციასა და ტექნოლოგიური და მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობათა გაფართოებაზე, მიზნად ისახავს, თავის მომხმარებლებს შესთავაზოს მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების უფრო პერსონალიზებული გადაჭრის გზები და შეუფერხებელი მომსახურება. ჯგუფის მდგრადი ფასეულობების შექმნის ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორებია თანამშრომელთა გაძლიერება, მომხმარებელთა კმაყოფილება და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რასაც თან ერთვის ძლიერი საბანკო ფრანშიზა.

ჯგუფი მიზნად ისახავს, სარგებელი მიიღოს საქართველოს ეკონომიკის ზრდიდან თავისი საცალო საბანკო მომსახურების და კორპორატიული საბანკო ოპერაციების მეშვეობით და საკუთარი სტრატეგიის ფარგლებში მიიღოს სულ მცირე 20%-იანი საშუალო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი (ROAE) და თავისი საკრედიტო პორტფელის დაახლოებით 10%-იანი ზრდა საშუალოვადიან პერსპექტივაში.

# 2022 წლის პირველი ნახევრის მენეჯმენტის შუალედური ანგარიშის შესახებ

წინამდებარე მენეჯმენტის შუალედურ ანგარიშს საფუძვლად უდევს ჯგუფის შუალედური კონსოლიდირებული შედეგები, რომლებიც მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის 34-ე საერთაშორისო სტანდარტის - „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ - შესაბამისად, ხოლო შედეგებს საფუძვლად უდევს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (“**IFRS**”). შედეგებს არ გაუვლია აუდიტორული შემოწმება და ისინი ხელმძღვანელობის ანგარიშებიდან არის აღებული.

# სარჩევი


| | |
|---|---|
| 4 | მაკროეკონომიკური მოვლენები |
| 6 | 2022 წლის პირველი ნახევრის ფინანსური შედეგების მიმოხილვა |
| 8 | ფინანსური შედეგების მიმოხილვა |
| 9 | სტრატეგიული საკითხების მიმოხილვა |
| 11 | შედეგების განხილვა |

16 | ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

47 | განცხადება დირექტორთა პასუხისმგებლობის შესახებ

48 | გლოსარიუმი

50 | შუალედური შემოკლებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

# მაკროეკონომიკური დინამიკა

უკრაინაში მიმდინარე ომის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკამ ზრდის ინერცია შეინარჩუნა. 2022 წლის პირველ ნახევარში მშპ-ის რეალურმა ზრდამ 10.5% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებული იყოს მოხმარებით. მოთხოვნის შენარჩუნებას ხელს უწყობდა მზარდი შემოსავლები საგარეო სექტორიდან, ასევე, დაკრედიტების მყარი მატება და მნიშვნელოვანი ფისკალური დანახარჯები. აღსანიშნავია, რომ ბოლოდროინდელი ზრდა საყოველთაოა და მას მასპინძლობის და უძრავი ქონების სექტორების აქტიურობა, ასევე ტვირთბრუნვის ზრდა უწყობს ხელს. წლის პირველი ნახევრის ძლიერი ეკონომიკური აქტიურობის და მეორე ნახევრის პერსპექტივის გაუმჯობესების გათვალისწინებით, „გალტ ენდ თაგარტმა“ მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2022 წლისთვის 9.2%-მდე გაზარდა.

### გამძლე საგარეო სექტორი

საგარეო სექტორის შემოსავლებმა გამძლეობა აჩვენა. რუსეთის და უკრაინის ბაზრებზე დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოში ექსპორტი კვლავ მდგრადი იყო 2022 წლის პირველ ნახევარში და 35.7%-იანი წლიური ზრდა აჩვენა. იმპორტის ზრდის ტემპმა იმატა ძლიერი მოხმარების ფონზე. მზარდი სავაჭრო დეფიციტი ბოლო თვეებში განეიტრალდა ტურისტული ნაკადების აქტიური აღდგენისა და უცხოეთიდან ფულადი გზავნილების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული ნაკადის აღდგენა შედარებით მოკრძალებული იყო, ტურიზმის შემოსავლებმა 2019 წლის დონის 78.5%-ს მიაღწია 2022 წლის პირველ ნახევარში. ამასობაში, რეგიონიდან მიგრანტების მზარდი ნაკადის ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი გზავნილების მოცულობა - წლიური 65%-ით 2022 წლის პირველ ნახევარში. შემოდინებების ყველა წყაროში პოზიტიური დინამიკის გათვალისწინებით, წელს მოსალოდნელია საგარეო ბალანსის გაუმჯობესება.

### საბანკო დაკრედიტების მძლავრი ზრდა

საბანკო დაკრედიტება არ შესუსტებულა, რასაც მზარდი ეკონომიკური აქტივობა უწყობს ხელს. 2022 წლის პირველ ნახევარში საბანკო დაკრედიტების მთლიანმა ზრდამ, ვალუტის კურსის მერყეობის გაუთვალისწინებლად, წლიური 18.7% შეადგინა; დომინირებდა ადგილობრივ ვალუტაში გაცემული სესხები, ხოლო ეს ზრდა განსაკუთრებით მძლავრი იყო სამომხმარებლო და ბიზნესს პორტფოლიოებში. მნიშვნელოვანია, რომ დაკრედიტების მიმდინარე ზრდა სიჯანსაღეს ინარჩუნებს და საბანკო კრედიტის მშპ-სთან შეფარდება მის გრძელვადიან ტენდენციაზე ნაკლებია.

### გაუმჯობესებული ფისკალური შესრულება

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფისკალური შესრულება. საგადასახადო შემოსავლები წელიწადში 33.9%-ით გაიზარდა 2022 წლის პირველ ნახევარში. შესაბამისად, მთავრობამ 2022 წლისთვის დაგეგმილი საბიუჯეტო დეფიციტი შეასწორა და ის მშპ-ის 3.6%-მდე შეამცირა (მშპ-ის 4.4%-დან), რათა მოსალოდნელზე უკეთესი საგადასახადო შემოსავლები ასახულიყო. სახელმწიფო ვალის პროგნოზი 2022 წლის ბოლოსთვის შესწორდა და მშპ-ის 51.1%-დან 45.3%-მდე შემცირდა ლარის გამყარებისა და მშპ-ის მოსალოდნელზე მაღალი ზრდის გამო. 2022 წლის ივნისში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 280 მილიონი აშშ დოლარის სამწლიანი სარეზერვო დაკრედიტების პროგრამა დაამტკიცა საქართველოსთვის. ეს პროგრამა საქართველოს ფისკალური სტრუქტურის გაძლიერებაზეა ფოკუსირებული. მთლიანობაში, მოსალოდნელია, რომ ზრდის გაუმჯობესებული პერსპექტივა, მთავრობის ვალდებულება ფისკალურ კონსოლიდაციაზე მომდევნო წლებში და სარეზერვო ინსტრუმენტები ხელს შეუწყობს ფისკალურ მდგრადობას.

### ინფლაციის მაღალი დონე და მკაცრი მონეტარული პოლიტიკა

სამომხმარებლო ფასების ინფლაციის საერთო დონემ წლიური 12.8% შეადგინა ივნისში, რასაც ძირითადად განაპირობებდა მიწოდების მხარის ფაქტორები, რომლებიც სასაქონლო ბაზრებს უკავშირდებოდა, მაგრამ ასევე, ფასებზე ზეწოლებიც გაძლიერდა მოთხოვნის მხარეს. მონეტარული პოლიტიკა მკაცრი რჩება და „საქართველოს ეროვნული ბანკის“ პოლიტიკის კურსი 11.0%-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ მიწოდების მხარის ფაქტორების დათრგუნვისა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის მეშვეობით მოთხოვნის მხარის ზეწოლების და ინფლაციური მოლოდინებს შეკავების პარალელურად, ინფლაციის დონე თანდათანობით დაიკლებს. მოსალოდნელია, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება წლის ბოლომდე, ხოლო 2023 წლის დასაწყისიდან ის ეტაპობრივად შემსუბუქდება.

**სტაბილური ლარი**

ლარი განაგრძობს გამყარებას მძლავრი საგარეო ნაკადების, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის და გაუმჯობესებული განწყობების წყალობით. 2022 წლის 31 ივლისის მდგომარეობით ლარი აშშ დოლართან შეფარდებით წელიწადში 12.0%-ით გამყარდა (12.2% გამყარება მარტის ბოლოსთან შედარებით). მძლავრი საგარეო შემოდინებების და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ლარი სტაბილურობას შეინარჩუნებს.

# 2022 წლის პირველი ნახევრის ფინანსური შედეგების მიმოხილვა

*ათასი ლარი*

| მოგება-ზარალის ანგარიშგება | 1-ლი ნახ 22 | 1-ლი ნახ 21 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **547,161** | **434,106** | **26.0%** |
| წმინდა მიღებული გასამრჯელო და საკომისიო | 116,127 | 90,588 | 28.2% |
| წმინდა სავალუტო შემოსულობა | 188,823 | 40,505 | 366.2% |
| სხვა წმინდა შემოსავალი | 5,269 | 49,583 | -89.4% |
| **საოპერაციო შემოსავალი** | **857,380** | **614,782** | **39.5%** |
| **საოპერაციო ხარჯები** | **(272,070)** | **(206,503)** | **31.8%** |
| (ზარალი) / მოგება მეკავშირე საწარმოებიდან | 376 | (4,132) | NMF |
| **საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე** | **585,686** | **404,147** | **44.9%** |
| რისკის ხარჯი | (66,890) | 819 | NMF |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე** | **518,796** | **404,966** | **28.1%** |
| წმინდა არარეგულარული მუხლები | (29) | (417) | -93.0% |
| **მოგება გადასახადით დაბეგვრამდე** | **518,767** | **404,549** | **28.2%** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (57,604) | (34,077) | 69.0% |
| **მოგება** | **461,163** | **370,475** | **24.5%** |
| **საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე** | **16.48** | **13.24** | **24.5%** |

*ათასი ლარი*

| ბალანსი | ივნ-22 | დეკ-21 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| ლიკვიდური აქტივები | 7,709,225 | 5,976,352 | 29.0% |
| *ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები* | 2,762,427 | 1,494,452 | 84.8% |
| *მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ* | 1,751,791 | 1,917,939 | -8.7% |
| *საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები* | 3,195,007 | 2,563,961 | 24.6% |
| მომხმარებლებისთვის გაცემული სესხები და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები[1] | 16,269,360 | 15,998,166 | 1.7% |
| ძირითადი საშუალებები | 352,245 | 343,025 | 2.7% |
| **სულ აქტივები** | **25,246,267** | **23,161,212** | **9.0%** |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | 15,169,232 | 14,081,438 | 7.7% |
| საკრედიტო დაწესებულებებისთვის გადასახდელი თანხები | 4,926,836 | 4,118,462 | 19.6% |
| *DFI=ებისგან მიღებული სესხები* | 1,960,874 | 2,135,301 | -8.2% |
| *მოკლევადიანი სესხები ცენტრალური ბანკებიდან* | 2,242,322 | 1,413,333 | 58.7% |
| *სესხები და დეპოზიტები კომერციული ბანკებიდან* | 723,640 | 569,828 | 27.0% |
| გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდები | 1,305,584 | 1,460,479 | -10.6% |
| **სულ ვალდებულებები** | **21,942,958** | **20,109,989** | **9.1%** |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | **3,303,309** | **3,051,223** | **8.3%** |

| ძირითადი კოეფიციენტები | 1-ლი ნახ 22 | 1-ლი ნახ 21 |
|---|---|---|
| საშუალო აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი (ROAA) | 3.9% | 3.4% |
| საშუალო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი (ROAE) | 29.1% | 28.2% |
| წმინდა საპროცენტო მარჟა | 5.3% | 4.6% |
| ლიკვიდური აქტივების სარგებელი | 4.4% | 3.2% |
| სესხის სარგებელი | 11.2% | 10.3% |
| რესურსების მოზიდვის ხარჯი | 5.1% | 4.5% |
| კლიენტების დეპოზიტებისა და თამასუქების მოზიდვის ხარჯი | 3.7% | 3.6% |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან რესურსების მოზიდვის ხარჯი | 8.9% | 6.7% |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ღირებულება | 6.9% | 7.0% |
| ხარჯი / შემოსავალი | 31.7% | 33.6% |
| საკრედიტო რისკის ხარჯი | 0.7% | 0.1% |

| | ივნ-22 | დეკ-21 |
|---|---|---|

[1] მომხმარებლებისთვის გაცემული სესხების მთლიანი ოდენობა და შესაბამისი გაუფასურების რეზერვი წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია კონტრაქტის საფუძველზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გარეშე. ეს დანაკარგები არ მოქმედებს სესხებისა და მომხმარებლების წმინდა ბალანსზე. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ გამოქვითული ბალანსები უზრუნველყოფს სასესხო პორტფელის პოზიციის საუკეთესო წარმომადგენლობას.

| | | |
|---|---|---|
| უმოქმედო სესხების შეფარდება მომხმარებლებისთვის გაცემულ მთლიან სესხებთან | 2.6% | 2.4% |
| უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი | 89.2% | 94.8% |
| უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი, კორექტირებული უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებით | 137.6% | 147.0% |
| სებ-ის (Basel III) ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 14.0% | 13.2% |
| *მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნა* | *11.7%* | *11.5%* |
| სებ-ის (Basel III) პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 16.4% | 15.0% |
| *მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნა* | *14.0%* | *13.6%* |
| სებ-ის (Basel III) ჯამური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 19.8% | 19.3% |
| *მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნა* | *17.5%* | *17.7%* |

# ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

- **შესრულების შესანიშნავი შედეგები, რასაც ეკონომიკური ზრდის მძლავრი ინერცია უწყობს ხელს.** ჯგუფის საოპერაციო შემოსავალმა, რისკის ხარჯი გამოკლებამდე, 585.7 მილიონი ლარი შეადგინა 2022 წლის პირველ ნახევარში (წლიური 44.9%-იანი ზრდა). წლიური ზრდა ძლიერი იყო შემოსავლების მუხლების მიხედვით.
- **საუკეთესო მომგებიანობა.** ჩვენი მოგება 461.2 მილიონი ლარის ტოლი იყო 2022 წლის პირველ ნახევარში, რაც წლიური 24.5%-იანი ზრდაა. საშუალო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი (ROAE) 29.1% შეადგინა 2022 წლის პირველ ნახევარში (28.2% იყო 2021 წლის პირველ ნახევარში)
- **წმინდა საპროცენტო მარჟა** 5.3% იყო 2022 წლის პირველ ნახევარში, რაც წლიურ 70 საბაზისო პუნქტით ზრდას შეადგენს და განპირობებულია კრედიტზე უფრო მაღალი სარგებლითა და ჭარბი ლიკვიდურობის განთავსებით.
- **პოზიტიური წლიური საოპერაციო ლევერიჯი და ხარჯის შეფარდება შემოსავალთან** შემცირდა 31.7%-მდე 2022 წლის პირველ ნახევარში (33.6% იყო 2021 წლის პირველ ნახევარში).
- **საკრედიტო პორტფელი გაიზარდა 1.7%-ით 2022 წლის პირველ ნახევარში.** ზრდამ, ვალუტის კურსის მერყეობის გაუთვალისწინებლად, 6.3% შეადგინა 2022 წლის პირველ ნახევარში, რაც განსაკუთრებით სამომხმარებლო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორაციულ დაკრედიტებას ასახავს.
- **კლიენტთა დეპოზიტები და თამასუქები 7.7%-ით გაიზარდა 2022 წლის პირველ ნახევარში.** კლიენტთა დეპოზიტები და თამასუქები, ვალუტის კურსის მერყეობის გაუთვალისწინებლად, 13.2%-ით გაიზარდა 2022 წლის პირველ ნახევარში.
- **საკრედიტო რისკის ხარჯის შეფარდებამ** 0.7% შეადგინა 2022 წლის პირველ ნახევარში (0.1% იყო 2021 წლის პირველ ნახევარში), რასაც ძირითადად განაპირობებდა მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გადასახადი საცალო საბანკო მომსახურებაში და ასახავდა სამომხმარებლო დაკრედიტების მძლავრ ზრდას.
- **პრობლემური სესხების მთლიან სესხებთან შეფარდებამ, ძირითადად, სტაბილურობა შეინარჩუნა** და 2.6% შეადგინა 2022 წლის 30 ივნისისთვის, 2021 წლის 31 დეკემბრის 2.4%-თან შედარებით.
- **კაპიტალის ადეკვატურობის მყარი პოზიცია.** 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბაზელ III-ის ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1), პირველადი კაპიტალის (Tier 1), და ჯამური საზედამხედველო ადეკვატურობის ბანკის კოეფიციენტები შეადგენდა, შესაბამისად, 14.0%-ს, 16.4%-ს და 19.8%-ს, ანუ, სამივე მონაცემი აღემატებოდა, შესაბამისად, 11.7%-იან, 14.0%-იან და 17.5%-იან მინიმალურ მოთხოვნებს.
- **ძლიერი ლიკვიდურობის და დაფინანსების პოზიციები.** 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი 113.5%-ს შეადგენდა, ხოლო წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 130.6%-ს, რაც აღემატება მოთხოვნილ მინიმალურ 100%-იან დონეებს.

# სტრატეგიული მაჩვენებლები[2]

| | იან-22 | ივნ-21 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| **აქტიური მომხმარებლები** | | | |
| აქტიური ინდივიდუალური მომხმარებლების რაოდენობა | 1,492,199 | 1,301,575 | 14.6% |
| აქტიური იურიდიული პირების რაოდენობა | 70,429 | 60,563 | 16.3% |
| **ციფრული** | | | |
| თვიური აქტიური ციფრული მომხმარებლები (ინდივიდუალური კლიენტები) | 959,154 | 728,828 | 31.6% |
| თვიური აქტიური ციფრული მომხმარებლების წილი მთლიან აქტიურ ინდივიდებში | 64.3% | 56.0% | |
| დღიურად აქტიური ციფრული მომხმარებლები/თვიურად აქტიური ციფრული მომხმარებლები | 45.8% | 40.2% | |

| *მოცულობა, ათასი ლარი* | 1-ლი ნახ 22 | 1-ლი ნახ 21 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| **ციფრული** | | | |
| მობილბანკითა და ინტერნეტბანკით შესრულებული ტრანზაქციების რაოდენობა | 76,598,148 | 48,488,450 | 58.0% |
| მობილბანკითა და ინტერნეტბანკით შესრულებულიტრანზაქციების მოცულობა | 16,450,371 | 8,666,434 | 89.8% |
| ციფრულ არხებში გაყიდული პროდუქტების წილი | 34.4% | 20.6% | |
| **გადახდები** | | | |
| POS ტერმინალების რაოდენობა | 41,377 | 33,772 | 22.5% |
| „საქართველოს ბანკის“ POS ტერმინალებით შესრულებული ტრანზაქციების რაოდენობა | 103,244,073 | 63,756,348 | 61.9% |
| „საქართველოს ბანკის“ POS ტერმინალებით შესრულებული ტრანზაქციების მოცულობა | 2,955,071 | 1,714,778 | 72.3% |
| **მომხმარებლის კმაყოფილება** | | | |
| კლიენტის ლოიალობის წმინდა მაჩვენებელი (NPS) | 51.8% | 42.8% | |

- **ბანკს დაახლოებით 1.6 მილიონი ყოველთვიური აქტიური მომხმარებელი ჰყავდა** 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, რაც წლიური 14.7%-იანი ზრდაა.
- **959 ათასი კლიენტი ჩვენი მობილბანკის და ინტერნეტბანკის ყოველთვიური აქტიური მომხმარებელი** იყო 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, რაც წლიურ 31.6%-იან ზრდას შეადგენს. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, **ყოველთვიური აქტიური ციფრული მომხმარებლების წილი** მთლიან აქტიურ მომხმარებლებში გაიზარდა 64.5%-მდე 56.0%-თან შედარებით 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.
- **ციფრული არხები.** ჩვენ ვაგრძელებდით ჩვენი ციფრული არხების განვითარებას და საუკეთესო ციფრული შესაძლებლობების უზრუნველყოფას. 2022 წლის პირველ ნახევარში, Global Finance-მა „საქართველოს ბანკის“ ფინანსური მობილური აპლიკაცია დაასახელა **2022 წლის საუკეთესო მობილბანკად ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში.** გარდა ამისა, „საქართველოს ბანკი“ დასახელდა **საუკეთესო სამომხმარებლო ციფრულ ბანკად საქართველოში** და გამარჯვებულად შემდეგ რეგიონულ ქვეკატეგორიებში: საუკეთესო ონლაინ დეპოზიტი, საბარათე და საინვესტიციო პროდუქტის შეთავაზებები, საუკეთესო დაკრედიტება, საუკეთესო სავაჭრო ფინანსური სერვისები, საუკეთესო მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურება, საუკეთესო მობილბანკის აპლიკაცია (კორპორაციული/ინსტიტუციური).
- **ციფრულ არხებში გაყიდული პროდუქტების წილი.** ჩვენი ამოცანაა, გავზარდოთ მომხმარებელთა აქტივობა და პროდუქტების გაყიდვა ციფრულ არხებში. გასულ წელთან შედარებით, 2022 წლის პირველ ნახევარში ჩვენ კარგ წინსვლას მივაღწიეთ პროდუქტის ციფრულ არხებში გაყიდვის თვალსაზრისით, რომლის ტემპიც 13.8 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 34.4% შეადგინა დაგეგმილი 36%-თან შედარებით. ივლისში, ციფრულ არხებში გაყიდული პროდუქტების წილმა 36.0%-ს მიაღწია და ვინაიდან ვაგრძელებთ ჩვენი პროდუქტების და ციფრული გზების დახვეწას, მოველით მთლიანი გაციფრულების ტემპის დადებითი დინამიკის გაგრძელებას.
- **გადახდები.** საქართველოში POS ტრანზაქციების მთლიანი მოცულობის 52.0% „საქართველოს ბანკის“ ფიზიკური POS ტერმინალების მეშვეობით განხორციელდა 2022 წლის პირველ ნახევარში, 2021 წლის პირველი ნახევრის 48.4%-თან შედარებით.

[2] ამ ნაწილში მონაცემები წარმოდგენილია „საქართველოს ბანკისთვის“ (ინდივიდუალური).

- **მომხმარებლის კმაყოფილების დონე.** Net Promoter Score (NPS) ძირითადად, სტაბილურად ნარჩუნდება 52%-ზე.

# შედეგების განხილვა

*ჯგუფის ბიზნესი სამი სეგმენტისგან შედგება. (1)* ***საცალო საბანკო მომსახურება*** *საქართველოში შედგება ქვესეგმენტებისგან, რომელთა სამიზნეა მასობრივი საცალო, მასობრივი შეძლებული და მსხვილი კაპიტალის მქონე კლიენტთა სეგმენტები, ასევე მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მიკრობიზნესები. (2)* ***კორპორატიული საბანკო*** *ოპერაციები საქართველოში ემსახურება კორპორატიულ და ინსტიტუციურ მომხმარებლებს და უზრუნველყოფს საბროკერო მომსახურებას „გალტ ენდ თაგარტის“ მეშვეობით. (3) სს „ბელარუსკი ნაროდნი ბანკი“ - **BNB** - უზრუნველყოფს საცალო საბანკო მომსახურებას და ემსახურება მცირე და საშუალო ბიზნესებს ბელარუსში.*

**საოპერაციო შემოსავალი**

| *ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული* | **1-ლი ნახ 22** | **1-ლი ნახ 21** | **ცვლილება** |
|---|---|---|---|
| შემოსავალი პროცენტებიდან | 1,065,461 | 862,827 | 23.5% |
| საპროცენტო ხარჯები | (518,300) | (428,721) | 20.9% |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **547,161** | **434,106** | **26.0%** |
| შემოსავალი გადასახდელებიდან და საკომისიოებიდან | 237,468 | 168,949 | 40.6% |
| ხარჯები გადასახდელებსა და საკომისიოებზე | (121,341) | (78,361) | 54.8% |
| **წმინდა მიღებული გასამრჯელო და საკომისიო** | **116,127** | **90,588** | **28.2%** |
| წმინდა სავალუტო შემოსულობა | 188,823 | 40,505 | 366.2% |
| სხვა წმინდა შემოსავალი | 5,269 | 49,583 | -89.4% |
| **საოპერაციო შემოსავალი** | **857,380** | **614,782** | **39.5%** |
| | | | |
| წმინდა საპროცენტო მარჟა | 5.3% | 4.6% | |
| საშუალო საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები | 20,844,822 | 18,905,161 | 10.3% |
| საშუალო პროცენტიანი ვალდებულებები | 20,589,939 | 19,208,583 | 7.2% |
| სესხებიდან და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები წმინდა საშუალო თანხები | 16,074,935 | 14,406,235 | 11.6% |
| სესხებიდან და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები წმინდა საშუალო თანხები, ლარი | 7,574,978 | 6,054,977 | 25.1% |
| სესხებიდან და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები წმინდა საშუალო თანხები, უცხოური ვალუტა | 8,499,957 | 8,351,258 | 1.8% |
| კლიენტების საშუალო დეპოზიტები და თამასუქები | 14,603,715 | 13,963,357 | 4.6% |
| კლიენტების საშუალო დეპოზიტები და თამასუქები, ლარი | 5,865,542 | 5,344,754 | 9.7% |
| კლიენტების საშუალო დეპოზიტები და თამასუქები, უცხოური ვალუტა | 8,738,173 | 8,618,603 | 1.4% |
| საშუალო ლიკვიდური აქტივები | 6,856,114 | 6,575,628 | 4.3% |
| საშუალო ლიკვიდური აქტივები, ლარი | 3,225,874 | 2,647,364 | 21.9% |
| საშუალო ლიკვიდური აქტივები, უცხოური ვალუტა | 3,630,240 | 3,928,264 | -7.6% |
| *სარგებელი ლიკვიდური აქტივებიდან* | 4.4% | 3.2% | |
| *სარგებელი ლიკვიდური აქტივებიდან, ლარი* | 8.8% | 7.8% | |
| *სარგებელი ლიკვიდური აქტივებიდან, უცხოური ვალუტა* | 0.2% | 0.1% | |
| *სესხის სარგებელი* | 11.2% | 10.3% | |
| *სესხის სარგებელი, ლარი* | 15.9% | 14.9% | |
| *სესხის სარგებელი, უცხოური ვალუტა* | 7.1% | 7.0% | |
| *რესურსების მოზიდვის ხარჯი* | 5.1% | 4.5% | |
| *რესურსების მოზიდვის ხარჯი, ლარი* | 9.4% | 7.7% | |
| *რესურსების მოზიდვის ხარჯი, უცხოური ვალუტა* | 2.0% | 2.7% | |
| ხარჯი / შემოსავალი | 31.7% | 33.6% | |

### *საქმიანობის შედეგების მაჩვენებლები*

- **2022 წლის პირველ ნახევარში ჯგუფმა მიიღო 857.4 მლნ ლარის საოპერაციო შემოსავალი (39.5%-იანი წლიური ზრდა).** ჯგუფის მაღალი დონის მაჩვენებლები განპირობებული იყო შემოსავლის შემდეგი ძირითადი წყაროებით:
  - წმინდა საპროცენტო მარჟა წინა წელთან შედარებით 26.0%-ით გაიზარდა და 547.2 მლნ ლარი შეადგინა.
  - წმინდა მიღებული გასამრჯელო და საკომისიო 2022 წლის პირველ ნახევარში 116.1 მლნ ლარი იყო (28.2%-იანი წლიური ზრდა). 2022 წლის პირველ ნახევარში წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებლები ძირითადად განპირობებული იყო ჩვენი ანგარიშსწორების ოპერაციებიდან და ასევე ვალუტის კონვერტაციის ოპერაციებიდან მიღებული გადასახდელებიდან და საკომისიოებიდან უფრო მაღალი წმინდა შემოსავლით.
  - წმინდა სავალუტო შემოსულობამ ოპერაციებიდან 2022 წლის პირველ ნახევარში 188.8 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 4.7-ჯერ მეტია. წმინდა სავალუტო შემოსულობის მნიშვნელოვანი ზრდა

ძირითადად განპირობებული იყო კლიენტებთან დაკავშირებული უფრო მაღალი მოცულობებით გაზრდილი ტურიზმისა და მიგრანტების შემოდინების, გაზრდილი შემომავალი ფულადი გზავნილებისა და ძლიერი ეკონომიკური აქტივობის კვალდაკვალ, აგრეთვე გაცვლითი კურსის ცვალებადობით გამოწვეული ე.წ. „სპრედების“ გაზრდით, როგორც „საქართველოს ბანკში“, ისე BNB-ში.

- სხვა წმინდა შემოსავალი წინა წელთან შედარებით შემცირდა 2021 წლის პირველი ნახევრის მაღალი ბაზის გამო, რამაც ასახა უძრავი ქონების გაყიდვიდან და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული ნაკლები მოგება.

- **წმინდა საპროცენტო მარჟამ (NIM) 2022 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 5.3% (წლიური ზრდა 70 საბაზისო პუნქტით).** წმინდა საპროცენტო მარჟის წლიური ზრდა 2022 წლის პირველ ნახევარში განპირობებული იყო კრედიტებიდან შემოსავლის ზრდით და ჭარბი ლიკვიდურობის განთავსებით, რაც ნაწილობრივ კომპენსირდებოდა ფულადი სახსრების გაზრდილი ღირებულებით.
  - **სასესხო სარგებელმა** 2022 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 11.2%, წინა წელთან შედარებით 90 საბაზისო პუნქტით მეტი. 2022 წლის პირველ ნახევარში შემოსავალმა კრედიტებიდან ლარში შეადგინა 15.9%, წინა წელთან შედარებით 100 საბაზისო პუნქტით მეტი. ლარში სასესხო სარგებლის ზრდა ძირითადად ასახავს რეფინანსირების გაზრდილ განაკვეთს და ასევე ჩვენი სამომხმარებლო პორტფელის ძლიერ ზრდას.
  - **რესურსების მოზიდვის ხარჯმა** 2022 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 5.1%, წინა წელთან შედარებით 60 საბაზისო პუნქტით მეტი. რესურსების მოზიდვის ხარჯი ლარში წინა წელთან შედარებით 170 საბაზისო პუნქტით გაიზარდა, 9.4%-მდე, რაც ძირითადად ასახავს ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების განაკვეთის ზრდას.

**საოპერაციო ხარჯები; რისკის ხარჯი; მოგება**

| *ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული* | 1-ლი ნახ 22 | 1-ლი ნახ 21 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგოები | (158,132) | (115,896) | 36.4% |
| ადმინისტრაციული ხარჯები | (65,467) | (48,604) | 34.7% |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება | (46,060) | (40,415) | 14.0% |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | (2,411) | (1,588) | 51.8% |
| **საოპერაციო ხარჯები** | **(272,070)** | **(206,503)** | **31.8%** |
| (ზარალი) /მოგება მეკავშირე საწარმოებიდან | 376 | (4,132) | NMF |
| **საოპერაციო შემოსავალი რისკის ღირებულებამდე** | **585,686** | **404,147** | **44.9%** |
| მოსალოდნელი საკრედიტო მოგება (ზარალი) კლიენტებისთვის გაცემული კრედიტებიდან | (54,317) | (4,247) | NMF |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხებიდან | (2,180) | (1,614) | 35.1% |
| სხვა მოსალოდნელი საკრედიტო მოგება (ზარალი) და სამართლიანი საბაზრო ღირებულების შემცირება სხვა აქტივებსა და სარეზერვო სახსრებზე | (10,393) | 6,680 | NMF |
| **რისკის ხარჯი** | **(66,890)** | **819** | **NMF** |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი ერთჯერად მუხლებამდე** | **518,796** | **404,966** | **28.1%** |
| წმინდა ერთჯერადი მუხლები | (29) | (417) | -93.0% |
| **მოგება გადასახადით დაბეგვრამდე** | **518,767** | **404,549** | **28.2%** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (57,604) | (34,077) | 69.0% |
| **მოგება** | **461,163** | **370,475** | **24.5%** |

- **საოპერაციო ხარჯები** 2022 წლის პირველ ნახევარში გასულ წელთან შედარებით 31.8%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად გამოიწვია ბიზნესის ძლიერმა ზრდამ, IT და სხვა ძირითად სტრატეგიულ სფეროებში ინვესტიციების გაგრძელებამ, ინფლაციური გარემოს ფონზე. გარდა ამისა, პირველ ნახევარში საოპერაციო ხარჯები მოიცავდა თანამშრომლების ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებული იყო ჯგუფის მიერ გამოცხადებული აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრების სამსახურის შეწყვეტასთან, ასევე მენეჯმენტის აქციებზე დაფუძნებული გადახდების სქემის ცვლილებასთან ახალი მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად. 2022 წლის პირველ ნახევარში ჩვენ გავაუმჯობესეთ ხარჯებისა და შემოსავლის თანაფარდობა 31.7%-მდე, 2021 წლის პირველ ნახევარში 33.6%-თან შედარებით.

- **რისკის ხარჯი** 2022 წლის პირველ ნახევარში შემდეგ ფაქტორებს ასახავს:
  - **საკრედიტო რისკის ხარჯმა** 2022 წლის პირველ ნახევარში შეადგინა 0.7% (0.1% 2021 წლის პირველ ნახევარში). 2022 წლის პირველ ნახევარში საკრედიტო რისკის ხარჯი ასახავდა 82.8 მილიონი ლარის მოსალოდნელი

საკრედიტო ზარალის რეზერვს საცალო საბანკო მომსახურებაში და 20.3 მილიონი ლარის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს BNB-ში, რაც ნაწილობრივ გააბათილა კორპორატიულ საბანკო მომსახურებაში 46.6 მილიონი ლარის წმინდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ამობრუნებამ.

- **მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და გაუფასურების რეზერვი სხვა აქტივებზე და ვალდებულებებზე** 2022 წლის პირველ ნახევარში მოიცავდა 44.3 მილიონი ლარის ზოგიერთი ადრე გადახდილი იურიდიული გადასახდელების ამოღებას.

- **საკრედიტო პორტფელის ხარისხი.** უმოქმედო სესხების შეფარდება მთლიან სესხებთან მნიშვნელოვნად არ შეცვლილა 2022 წლის პირველ ნახევარსა და 2021 წლის 31 დეკემბერს შორის.

*ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული*

**უმოქმედო სესხები**

| | ივნ-22 | დეკ.-21 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| უმოქმედო სესხები | 436,889 | 394,720 | 10.7% |
| უმოქმედო სესხების შეფარდება მთლიან სესხებთან | 2.6% | 2.4% | |
| უმოქმედო სესხების შეფარდება მთლიან სესხებთან RB | 2.1% | 1.8% | |
| უმოქმედო სესხების შეფარდება მთლიან სესხებთან, CIB | 3.6% | 3.7% | |
| უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი | 89.2% | 94.8% | |
| უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი, კორექტირებული უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებით | 137.6% | 147.0% | |

- საერთო ჯამში, ჯგუფმა 2022 წლის პირველ ნახევარში 461.2 მლნ ლარის მოგება დააფიქსირა (24.5%-მდე წლიური ზრდა). ჯგუფის საშუალო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი (ROAE) 2022 წლის პირველ ნახევარში 29.1% იყო (28.2% 2021 წლის პირველ ნახევარში).

**ბალანსი**

| *ათასი ლარი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული* | ივნ-22 | დეკ.-21 | ცვლილება |
|---|---|---|---|
| ლიკვიდური აქტივები | 7,709,225 | 5,976,352 | 29.0% |
| ლიკვიდური აქტივები, ლარი | 3,239,197 | 2,819,537 | 14.9% |
| ლიკვიდური აქტივები, უცხოური ვალუტა | 4,470,028 | 3,156,815 | 41.6% |
| მომხმარებლებისთვის გაცემული სესხები და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები | 16,269,360 | 15,998,166 | 1.7% |
| მომხმარებლებისთვის გაცემული სესხები და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები, ლარი | 7,953,067 | 7,348,911 | 8.2% |
| მომხმარებლებისთვის გაცემული სესხები და ფინანსური ლიზინგიდან მისაღები თანხები, უცხოური ვალუტა | 8,316,293 | 8,649,255 | -3.8% |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | 15,169,232 | 14,081,438 | 7.7% |
| საკრედიტო დაწესებულებებიდან რესურსების მოზიდვის ხარჯი | 4,926,836 | 4,118,462 | 19.6% |
| DFI-ებისგან ნასესხები თანხები | 1,960,874 | 2,135,301 | -8.2% |
| მოკლევადიანი სესხები ცენტრალური ბანკებიდან | 2,242,322 | 1,413,333 | 58.7% |
| სესხები და დეპოზიტები კომერციული ბანკებიდან | 723,640 | 569,828 | 27.0% |
| გაცემული სასესხო ფასიანი ქაღალდები | 1,305,584 | 1,460,479 | -10.6% |
| | | | |
| **ლიკვიდურობა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები** | | | |
| მომხმარებლებისთვის გაცემული სესხები / კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | 107.3% | 113.6% | |
| მომხმარებლებისთვის გაცემული სესხები / კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები + DFIs | 95.0% | 98.7% | |
| ლიკვიდური აქტივები / სულ აქტივები | 30.5% | 25.8% | |
| ლიკვიდური აქტივები / სულ ვალდებულებები | 35.1% | 29.7% | |
| სებ-ის საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი | 113.5% | 124.0% | |
| სებ-ის (Basel III) ძირითადი პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 14.0% | 13.2% | |
| სებ-ის (Basel III) პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 16.4% | 15.0% | |
| სებ-ის (Basel III) ჯამური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 19.8% | 19.3% | |

**ჩვენი ბალანსი კვლავ მაღალლიკვიდურია** (სებ-ის მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი შეადგენს 113.5%-ს) **და ძლიერ კაპიტალიზებული** (სებ-ის Basel III-ის CET1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი უდრის 14.0%-ს) **კარგად დივერსიფიცირებული დაფინანსების ბაზით** თანაფარდობა მომხმარებელთა დეპოზიტებისა და თამასუქების საერთო ვალდებულებებთან შეადგენს 69.1%-ს 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.

- **საკრედიტო პორტფელი.** ჩვენი წმინდა საკრედიტო პორტფელი და ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 16,269.4 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 1.7%-ით მაღალი იყო პირველ ნახევარში. 2022 წლის პირველ ნახევარში 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით ზრდამ მუდმივ ვალუტაში 6.3% შეადგინა. ლარში დენომინირებული სესხები გაიზარდა 8.2%-ით, ხოლო ლარის სესხების წილი 2022 წლის 30 ივნისისთვის 48.9%-მდე გაიზარდა - რაც 2.9 პროცენტული პუნქტით მეტია 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით.
- **დეპოზიტები.** კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები 2022 წლის 30 ივნისს 15,169.2 მილიონ ლარს შეადგენდა, 7.7%-ით მეტს პირველ ნახევარში. 2022 წლის პირველ ნახევარში 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით დეპოზიტების ზრდამ მუდმივ ვალუტაში 13.2% შეადგინა. ლარში დენომინირებული დეპოზიტები გაიზარდა 8.5%-ით, ხოლო ლარის დეპოზიტების წილი 2022 წლის 30 ივნისისთვის 39.0%-მდე გაიზარდა - რაც 20 საბაზისო პუნქტით მეტია 2021 წლის 31 დეკემბერთან შედარებით.
- **კაპიტალის ძლიერი პოზიცია.** ბანკი ინარჩუნებს კაპიტალის ძლიერ სტრუქტურას, 2022 წლის 30 ივნისისთვის Basel III-ის ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალის და ჯამური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებით, რომლებიც შეადგენს, შესაბამისად, 14.0%-ს, 16.4%-ს და 19.8%-ს, რაც აღემატება მინიმალურ მოთხოვნილ დონეებს, რომლებიც შეადგენს 11.7%-ს, 14.0%-ს და 17.5%-ს, შესაბამისად. კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების დინამიკა 2022 წლის პირველ ნახევარში და ადგილობრივი ვალუტის 10%-იანი დევალვაციის პოტენციური გავლენა კაპიტალზე შემდეგნაირია:

| | 31 მარტ 2022 | 2Q22 მოგება | ბიზნ. ზრდა | ვალუტის გავლენა | კაპიტალის განაწ. | ზეგავლ. კაპიტ. | 30 ივნ 2022 | ლარის 10% დევალვაციის პოტ. ზემოქმ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CET1 კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 13.7% | 1.0% | -0.4% | 0.5% | -0.8% | 0.0% | 14.0% | -0.9% |
| Tier I კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 15.4% | 1.0% | -0.5% | 0.5% | -0.8% | 0.8% | 16.4% | -0.8% |
| სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 19.7% | 1.0% | -0.6% | 0.4% | -0.8% | 0.1% | 19.8% | -0.7% |

2022 წლის 31 მაისს ბანკმა ხელი მოაწერა 50 მილიონი აშშ დოლარის დამატებითი პირველი დონის კაპიტალის მუდმივ სუბორდინირებულ სინდიცირებულ კრედიტს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და Swedfund International AB-თან, როგორც კრედიტორებთან. 2022 წლის ივნისში ბანკმა გადაიხადა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან აღებული 70 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხი, საიდანაც 42 მილიონი აშშ დოლარი კვალიფიცირდება Tier II კაპიტალად.

ბანკის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები, რომლებიც ასახავს Basel III-ის კაპიტალის მოთხოვნების სრულ დანერგვას, რომელიც უნდა დასრულდეს 2023 წელს და კვლავ ექვემდებარება ყოველწლიურ მარეგულირებელ მიმოხილვებს, ამჟამად მოსალოდნელია იყოს შემდეგნაირი:

**მოსალოდნელი მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები 2022-2023 წლებისათვის**

| | დეკ-22 | დეკ-23 |
|---|---|---|
| CET1 კაპიტალის მოთხოვნა | 11.8% | 12.1% |
| Tier 1 კაპიტალის მოთხოვნა | 14.1% | 14.5% |
| ჯამური კაპიტალის მოთხოვნა | 17.6% | 17.6% |

- **კაპიტალის განაწილება:** სამეთვალყურეო საბჭო აპირებს მოიწვიოს აქციონერთა რიგგარეშე კრება 2022 წლის სექტემბერში, წინადადებით, რომ რიგგარეშე საერთო კრებამ დაამტკიცოს და გამოაცხადოს შუალედური დივიდენდი 2022 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდისთვის (დივიდენდის შემოთავაზებული ოდენობა დაკონკრეტებული იქნება რიგგარეშე საერთო კრების ოქმში და გადასახდელი ოდენობა განსაზღვრული იქნება

რიგგარეშე საერთო კრების მიერ), რომელიც გადასახდელი იქნება რიგგარეშე საერთო კრების მიერ დასამტკიცებელი განრიგის მიხედვით.

- **სანქციებთან შესაბამისობა:** საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს ფინანსური ინსტიტუტები სრულად მოქმედებენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვათა მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ დაწესებული ფინანსური სანქციების შესაბამისად. საერთაშორისო ფინანსურ სანქციებთან შესაბამისობა უზრუნველყოფილია ეფექტური სისტემებითა და კონტროლით და სისტემატურად მოწმდება ფინანსური ინსტიტუტების ადგილზე ინსპექტირების დროს, როგორც აღნიშნულია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ბოლო მოხსენებაში.[3]

- **ჯგუფის საბანკო შვილობილი კომპანია ბელორუსიაში, BNB:** გასულ კვარტალში ჩვენ გადავაფასეთ ჩვენი აქტივები BNB-ში გაუარესებული მოლოდინების გამო, რამაც გამოიწვია 49.3 მილიონი ლარის მთლიანი უარყოფითი ეფექტი კაპიტალზე 2022 წლის პირველ კვარტალში. მეორე კვარტლის განმავლობაში, BNB-მ აჩვენა მდგრადობა და ფოკუსირება მყარი ლიკვიდურობისა და კაპიტალის პოზიციების შენარჩუნებაზე. მდგრადი კვარტალური შედეგები დიდწილად განპირობებული იყო კარგი წმინდა შემოსავლით საკომისიოებიდან და წმინდა სავალუტო შემოსავლებით. კაპიტალის კოეფიციენტები, გამოთვლილი ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის (NBRB) სტანდარტების შესაბამისად, საკმაოდ აღემატებოდა მინიმალურ მოთხოვნებს 2022 წლის 30 ივნისისთვის, Tier 1 კაპიტალის ადეკვატურობის 12.8%-იანი კოეფიციენტით (მინიმალური მოთხოვნა 7.0%) და ჯამური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის 18.9%-იანი კოეფიციენტით (მინიმალური მოთხოვნა 12.5%).

[3] https://www.state.gov/reports/2022-investment-climate-statements/georgia/

# ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის 2021 წლის წლიურ ანგარიშსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ჩვენ წარმოვადგინეთ ძირითადი და ახალი რისკები და გაურკვევლობები, რომლებიც დიდი ალბათობით გავლენას მოახდენს ჩვენს ბიზნეს-მოდელზე, სტრატეგიულ ამოცანებზე, ოპერაციებზე, მომავალ შედეგებზე, გადახდისუნარიანობასა და ლიკვიდურობაზე. ასევე ვაჩვენეთ პოტენციური ზემოქმედება, ამ რისკებთან დაკავშირებული ტენდენციები და პერსპექტივები და მათი შემსუბუქების მიზნით ჩვენს მიერ განხორციელებული ქმედებები. ჩვენ განვაახლეთ აღნიშნული ინფორმაცია, რათა აგვესახა ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, რაც სრულად არის აღწერილი ქვემოთ.

რიგითობა, რომლითაც ძირითადი რისკები და გაურკვევლობებია ასახული, არ აღნიშნავს მათი პრიორიტეტულობის რიგითობას. შეუძლებელია ჩვენი ყველა რისკის მთლიანად შემსუბუქება. რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ნებისმიერი სისტემის მიზანია, მართოს და არა აღმოფხვრას ბიზნესის ამოცანების მიუღწევლობის რისკი და იგი იძლევა მხოლოდ გონივრულ და არა აბსოლუტურ გარანტიას მნიშვნელოვნად არასწორად წარმოდგენის ან ზარალისგან დაცვისთვის.

ჯგუფის წინაშე არსებული რისკების რაოდენობა ქვემოთ ჩამოთვლილს აღემატება. დამატებითმა რისკებმა და გაურკვევლობებმა, მათ შორის ისეთებმაც, რომლების შესახებ ჯგუფმა ჯერ არ იცის ან უმნიშვნელოდ მიიჩნევს, ასევე შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების შემცირება, დანახარჯები ან სხვა მოვლენები, რასაც შეიძლება მოჰყვეს ჯგუფის ფასიანი ქაღალდების ღირებულების შემცირება. ჩვენ წარმოვადგენთ რისკებს, რომლებიც, ჩვენი აზრით, უდიდეს ზემოქმედებას მოახდენს ჩვენს საქმიანობაზე და რომლებიც საფუძვლიანად იყო განხილული ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს, აუდიტის ან რისკების კომიტეტების ბოლოდროინდელ შეხვედრებზე.

## მაკრო რისკი

მაკრო რისკი არის ჩვენი ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რისკი საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების საფუძველზე.

### ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

ჯგუფის ოპერაციები ძირითადად მიმდინარეობს საქართველოში და მისი შემოსავლების უმეტესი ნაწილი მოდის საქართველოდან. საქართველოსთან დაკავშირებული მაკრო რისკის ძირითადი წყაროა ცვლილებები: (i) მშპ-ში; (ii) ინფლაციაში; (iii) საპროცენტო განაკვეთში; (iv) გაცვლით კურსში; და (v) პოლიტიკურ მოვლენებში. ამ ფაქტორებმა, ჯგუფის ფინანსურ მაჩვენებლებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე ზემოქმედების შედეგად, შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ჩვენს ბიზნესზე.

საქსტატის მიერ გამოქვეყნებული წინასწარი შეფასებით, მშპ-ის რეალური ზრდა 2022 წლის პირველ ნახევარში 10.5%-ს შეადგენდა, მიუხედავად რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის გარშემო არსებული გაურკვევლობისა. ზრდა ნაწილობრივ განპირობებული იყო შედარების ბაზის ეფექტით, თუმცა მას ასევე ხელს უწყობდა ფინანსური სახსრების მნიშვნელოვანი შემოდინება ქვეყნის გარედან და ძლიერი შიდა მოთხოვნა. „გალტ ენდ თაგარტმა“ ახლახან შეასწორა მშპ-ის 2022 წლის რეალური ზრდის პროგნოზი 9.2%-მდე.

2022 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, ქართული ვალუტა აშშ დოლართან მიმართებაში 12.0%-ით გაიზარდა (12.2%-იანი ზრდა 2022 წლის 31 მარტთან შედარებით). მკაცრმა მონეტარულმა პოლიტიკამ და ფინანსური სახსრების მდგრადმა შემოდინებამ ქვეყნის გარედან ხელი შეუწყო ბოლო პერიოდში ლარის გამყარებას. ლარის ცვალებადობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ჩვენი სასესხო პორტფელის ხარისხზე და გაზარდოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების რეზერვები და, შესაბამისად, საკრედიტო რისკის ხარჯი. ლარის გაუფასურებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს უზრუნველყოფის ღირებულებაზეც. 2022 წლის 30 ივნისისთვის, საქართველოს ბანკის მთლიანი საცალო და კორპორატიული საბანკო სესხების, შესაბამისად, 36.7% და 78.0% დენომინირებული იყო უცხოურ ვალუტაში. მთელი საცალო სესხების 5.6% და მთელი კორპორატიული სესხების 39.3% გაცემული იყო უცხოურ ვალუტაში, უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული რისკის მინიმალური ზემოქმედებით.

ინფლაციის მზარდი ზეწოლის საპასუხოდ, ცენტრალურმა ბანკებმა 2022 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები. 2022 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, ფედერალურმა რეზერვმა წლის დასაწყისიდან ფედერალური ფონდების საპროცენტო განაკვეთი 225 საბაზისო პუნქტით გაზარდა. ევროპის ცენტრალურმა ბანკმა (ECB) ივლისში ძირითადი საპროცენტო განაკვეთი ასევე გაზარდა 50 საბაზისო პუნქტით, რაც პირველად მოხდა 11 წლის განმავლობაში, და აღნიშნა, რომ საპროცენტო განაკვეთის შემდგომი ზრდა შესაბამისი იქნება. გლობალური საპროცენტო განაკვეთების ზრდა უფრო მკაცრ გლობალურ ფინანსურ პირობებს განაპირობებს. განვითარებადი ბაზრები და განვითარებადი ეკონომიკები, როგორიცაა საქართველო, განსაკუთრებით დაუცველები არიან გამკაცრებული გლობალური ფინანსური პირობების მიმართ, რადგან მათი ვალების მნიშვნელოვანი წილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. გარდა ამისა, მკაცრმა გლობალურმა ფინანსურმა პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კაპიტალის გადინება და, შესაბამისად, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება.

მაღალი ინფლაცია საქართველოსთვის გამოწვევად რჩება, რადგან უკრაინის ომმა საქონლისა და სურსათის მსოფლიო ფასები აამაღლა. გარდა ამისა, ჩინეთში ლოქდაუნის გამო მიწოდების შეფერხებამ დააჩქარა დამატებითი ინფლაციური ზეწოლა. 2022 წლის ივნისში სამომხმარებლო ფასების ინდექსის წლიურმა ინფლაციამ საქართველოში 12.8% შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 3.0%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ინფლაცია ძირითადად გამოწვეულია მიწოდების ფაქტორებით, მოთხოვნაზე ზეწოლა ასევე გაძლიერდა ბინების იჯარის გადასახადის გაზრდის გამო. 2022 წლის მარტში სებ-მა რეფინანსირების განაკვეთი დამატებით 50 საბაზისო პუნქტით, 11.0%-მდე, გაზარდა. 2021 წელს განაკვეთი სულ 250 საბაზისო პუნქტით გაიზარდა. მკაცრი მონეტარული პოლიტიკისა და მიწოდების მხარეს ფასების დროებითი ხასიათის გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ ინფლაცია 2021 წლისთვის სამიზნე მაჩვენებლის მიმართულებით შეიცვლება.

2022 წლის მარტში საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების ოფიციალური განაცხადი წარადგინა. ევროკომისიამ რეკომენდაცია გაუწია საბჭოს, რომ საქართველოს მიეცეს ევროკავშირის წევრობის პერსპექტივა და მიენიჭოს კანდიდატის სტატუსი მას შემდეგ, რაც მოგვარდება მთელი რიგი პრიორიტეტული საკითხებისა. მთავრობამ უკვე წარადგინა თავისი სტრატეგია ევროსაბჭოს მიერ დასახული პირობების შესასრულებლად მიმდინარე წლის ბოლოს საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების მიზნით. ერთ-ერთი პირობაა პოლიტიკური დეპოლარიზაციის ხელშეწყობა მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის პოლიტიკური დაძაბულობის შემცირებით. თუ მიმდინარე დაძაბულობა გამწვავდება, ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბაზრის განწყობებზე და ზრდის პერსპექტივაზე.

## შემსუბუქება

საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც სექტორების მიხედვით, ასევე სავაჭრო პარტნიორებზე დამოკიდებულების თვალსაზრისით.

ინფლაციის სამიზნე მაჩვენებლების დადგენა და მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი დაეხმარა საქართველოს, ადაპტირება მოეხდინა არახელსაყრელ გარე გარემოსთან. დედოლარიზაციის მცდელობებმა, მაკროპრუდენციალური პოლიტიკის ჩარჩოს შემუშავებამ, საზედამხედველო კონტროლის ხარისხის გაძლიერებამ და ბანკების ფინანსური გაჯანსაღებისა და კრიზისების მართვის ჩარჩოს განახლებამ ხელი შეუწყო ფინანსურ სექტორს მდგრადობის შენარჩუნებაში.

2022 წლის ივნისში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) დაამტკიცა საქართველოსთვის 280 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის სამწლიანი სარეზერვო კრედიტის შესახებ შეთანხმება. პროგრამა ფოკუსირებულია ფისკალური ბუფერების აღდგენაზე, ფისკალური ჩარჩოების გაძლიერებაზე, გარე მოწყვლადობისა და ინფლაციის შემცირებაზე, ფინანსური სექტორის მდგრადობის შენარჩუნებაზე და უფრო ძლიერი და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობაზე.

ჯგუფი მუდმივად აკონტროლებს მაკროეკონომიკურ პირობებს და ახორციელებს სტრესებისა და სცენარების ანალიზს, რათა შეამოწმოს თავისი პოზიცია არახელსაყრელ ეკონომიკურ პირობებში, მათ შორის ვალუტის არასასურველი ცვალებადობის პირობებში.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ადგენს ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტებს და ბანკის საკუთარი სახსრებით ვაჭრობის პოზიციის ლიმიტებს, რომლებიც ამჟამად უფრო კონსერვატიულია, ვიდრე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ლიმიტები.

სახაზინო დეპარტამენტი ჩვენს ღია სავალუტო პოზიციას ყოველდღიურად მართავს. ღია სავალუტო პოზიციას ასევე მონიტორინგს უწევს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობისა და ფინანსური რისკების მართვის სტრუქტურული ერთეული.

ჩვენს საკრედიტო პორტფელში გაცვლითი კურსისა და საპროცენტო განაკვეთის რისკების სამართავად ჩვენ ვახორციელებთ შემდეგ შემარბილებელ ქმედებებს:

- ჩვენ დამატებით რისკს ვანიჭებთ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ სესხებს, როდესაც შემოსავალი ლარშია, საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად. ეროვნულმა ბანკმა დანერგა ახალი მიდგომა ვალუტით გამოწვეული საკრედიტო მოთხოვნის (CICR) მიმართ. ახალი CICR მიდგომის გამოყენება სავალდებულო იქნება ბანკებისთვის 2023 წლის მარტიდან. მიდგომა აწესებს რისკის 40%-იან წონით კოეფიციენტს, თუ სესხის დოლარიზაცია 40% ან ნაკლებია. სესხის დოლარიზაციის ყოველი პროცენტული პუნქტის გაზრდისთვის 40%-იან დონეს ზემოთ, რისკის წონითი კოეფიციენტი გაიზრდება სამი პროცენტული პუნქტით 100%-მდე;

- ეროვნული ბანკის გადახდასა და შემოსავალს შორის თანაფარდობის (PTI) და სესხისა და ღირებულების თანაფარდობის (LTV) მოთხოვნები უფრო კონსერვატიულია უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების მიმართ მსესხებლის დონის გაცვლითი კურსის რისკის შესამცირებლად. PTI მოთხოვნები უცხოურ ვალუტაში სესხებზე, დიფერენცირებული მომხმარებლის ყოველთვიური წმინდა შემოსავლის მიხედვით (1,500 ლარზე დაბლა და 1,500 ლარზე მეტი), არის 5 პროცენტული პუნქტით და 20 პროცენტული პუნქტით დაბალია ლარში დენომინირებულ სესხებთან შედარებით;

- 2022 წლის 1 მაისიდან ეროვნულმა ბანკმა შემოიღო სტრესული PTI მოთხოვნები მცურავი განაკვეთის სესხებზე, რათა უზრუნველყოს ინდივიდუალური მსესხებლების ფინანსური სიმყარე აშშ დოლარისა და ევროს საპროცენტო განაკვეთების ზრდის ფონზე. მსესხებლის PTI-ის შეფასებისას კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, გააკეთონ შეღავათები საპროცენტო განაკვეთების 3 პროცენტული პუნქტით გაზრდის შემტხვევაში;

- 2021 წლის დეკემბერში სებ-მა გამოაცხადა, რომ 2022 წლის 1 იანვრის შემდეგ უცხოურ ვალუტაში გაცემული იპოთეკური სესხების მაქსიმალური ვადა 15-დან 10 წლამდე შემცირდება.

2016 წლიდან სებ-მა დანერგა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია საქართველოს ეკონომიკის დედოლარიზაციისკენ:

- 200 000 ლარამდე სესხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ ლარში;

- ლარის პრეფერენციული რეჟიმი გადაიზარდა 75%-იან LCR-ად ადგილობრივ ვალუტაში მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებზე და 100%-იან LCR-ად უცხოურ ვალუტაში მაღალი ხარისხის ლიკვიდურ აქტივებზე, ისევე, როგორც მთლიანობაში ყველა ვალუტაზე;

- 2018 წლის ივნისიდან ეროვნულმა ბანკმა რამდენჯერმე შეიტანა ცვლილება ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებში. ამჟამად კლიენტის უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა 25%-ს შეადგენს;

- გარდა ამისა, ბანკი ინარჩუნებს თავისი მომხმარებლების დეპოზიტების მინიმალურ 5%-იან ბალანსს ლარში ეროვნულ ბანკში მის საკორესპონდენტო ანგარიშზე. სადეპოზიტო სერტიფიკატების და არასუბორდინირებული დაფინანსებისათვის ეროვნული ბანკი მოითხოვს, რომ ბანკმა დაარეზერვოს ერთ წელზე ნაკლები დარჩენილი ვადის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატების და სესხების 25% უცხოურ ვალუტაში; ერთიდან ორ წლამდე დარჩენილი ვადის მქონე სადეპოზიტო სერტიფიკატების და სესხების 15% უცხოურ ვალუტაში; და ადგილობრივ ვალუტაში თავისი არასუბორდინირებული საბითუმო დაფინანსების 5% ერთ წელზე ნაკლები დარჩენილი ვადის მქონე სესხებისთვის. არ არსებობს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა სადეპოზიტო სერტიფიკატებისთვის ადგილობრივ ვალუტაში.

- 2021 წლის ივლისში, მომხმარებელთა დეპოზიტების პორტფელის დედოლარიზაციის შემდგომი მხარდაჭერის მიზნით, ეროვნულმა ბანკმა დააწესა დამატებითი ცვლილებები მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებში. ზემოთ აღნიშნული 25%-იანი და 15%-იანი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა უცხოურ ვალუტაში მოზიდულ იმავე ვადიან სამომხმარებლო დეპოზიტებზე და თამასუქებზე გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის დეპოზიტებისა და თამასუქების პორტფელის დოლარიზაციის დონე 70%-ზე მაღალია. თუ დოლარიზაცია შემცირდება 40%-მდე ან უფრო მეტად, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნა 10%-მდე დაეცემა. 40% - 70% დოლარიზაციის დონისთვის სარეზერვო მოთხოვნა იქნება 10%-25% და 10%-15%, შესაბამისად.

ჯგუფი აგრძელებს ადგილობრივი პოლიტიკური სიტუაციის, მასთან დაკავშირებული რისკებისა და მათზე საქართველოს მთავრობის რეაგირების ასფუძვლიან მონიტორინგს. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველკვარტალურად მიეწოდება უახლესი ინფორმაცია ძირითადი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური მოვლენებისა და ჯგუფზე მათი პოტენციური ზემოქმედების შესახებ.

## რეგიონში არასტაბილურობის რისკი

რეგიონში არასტაბილურობის რისკი არის ჩვენი ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების რისკი რეგიონში დაძაბულობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ადგილია  საქართველო და შემოსავლების უმეტესი ნაწილი საქართველოდან შემოდის. საქართველოს ეკონომიკა კარგად არის დივერსიფიცირებული და არ არის დამოკიდებული სხვა ქვეყანაზე. თუმცა იგი დამოკიდებულია რეგიონის ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკებზე, რომლებიც ძირითადი სავაჭრო პარტნიორები არიან. ჯგუფის შესაძლებლობაზე, განახორციელოს თავისი სტრატეგია, შესაძლოა გავლენა იქონიოს რეგიონში არსებულმა კონფლიქტებმა, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა.

### ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

იმის გამო, რომ რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სამთავრობო სანქციები დაწესდა, ეროვნულმა ბანკმა დაავალა საქართველოს ფინანსურ სექტორს, დაემორჩილოს აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის სანქციათა რეჟიმების მოქმედ მოთხოვნებს. რუსეთის წინააღმდეგ სანქციების ფარგლები ყოველდღიურად ვითარდებოდა, რაც გავლენას ახდენს რუსეთის ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორებზე, განსაკუთრებით კი ფინანსურ სექტორზე.

კიდევ ერთი რისკის ფაქტორი, რომელიც გაჩნდა რუსეთ-უკრაინის ომის კონტექსტში, არის სანქციების გაფართოება ბელარუსის, მათ შორის ზოგიერთი ბელარუსული ბანკის წინააღმდეგ. ასევე იცვლება ბელარუსის წინააღმდეგ სანქციების ფარგლები. 2022 წლის 30 ივნისისთვის ბანკს არ ჰქონია რაიმე სახის კავშირი რუსულ ბანკებთან, რომლებზეც გავლენას ახდენს აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა თუ ევროკავშირის სანქციები.

საქართველოს ეკონომიკაზე რუსეთისა და უკრაინის ბაზრების ზეგავლენა მნიშვნელოვანი, მაგრამ მართვადია. 2021 წელს საგარეო ნაკადები რუსეთიდან და უკრაინიდან საქართველოში შეადგენდა მშპ-ის 9.6%-ს. ძირითადი უარყოფითი გავლენა მოსალოდნელია ექსპორტის შემცირებით (2021 წელს რუსეთისა და უკრაინის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში იყო 14.4% და 7.2%, შესაბამისად), რასაც მოჰყვება უარყოფითი გავლენა ტურისტულ ნაკადებზე (2021 წელს რუსეთი და უკრაინა ერთად მთლიანი ტურისტული შემოსავლების 25.4%-ს შეადგენდნენ). აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რუსეთის წილი ფულად გზავნილებში საგრძნობლად შემცირდა და 2020-2021 წლებში მთლიანი ოდენობის 20%-ზე ნაკლები შეადგინა. მიუხედავად უპრეცედენტო რეგიონული დესტაბილიზაციისა, საქართველოში საგარეო შემოდინება მდგრადია. ტურიზმის აღდგენა გრძელდება, ხოლო საქონლის ექსპორტიდან შემოსავლები იზრდება საქონლის მაღალი ფასების ფონზე. გარდა ამისა, ფულადი გზავნილები მნიშვნელოვნად გაიზარდა 2022 წლის აპრილსა და მაისში, რაც ძირითადად ასახავს რეგიონიდან ტურისტებისა და მიგრანტების შემოდინებას.

რუსეთის ჯარები აგრძელებენ აფხაზეთის და ცხინვალის/სამხრეთ ოსეთის რეგიონის ოკუპაციას. რუსეთი წინააღმდეგია აღმოსავლეთით ნატოს გაფართოებისა, მათ შორის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, როგორიცაა

საქართველო, გაწევრიანებისა. ამიტომ საქართველოს პროგრესმა ევროკავშირთან და ნატო-სთან დაახლოების მიმართულებით შეიძლება გააძლიეროს დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის. 2019 წლის 8 ივლისს ძალაში შევიდა რუსეთის მიერ საქართველოში პირდაპირი ფრენების აკრძალვა, რომელიც დაწესდა თბილისში ანტისაოკუპაციო გამოსვლების გამო. სანქციამ მოკლე პერიოდით დააზარალა საქართველოს ტურიზმის სექტორი, თუმცა მან ასევე უფრო მეტი სტიმული მისცა ქვეყნის ტურისტული ბაზის შემდგომ დივერსიფიცირებას.

## შემსუბუქება

ჯგუფს დიდი ხანია მიღებული აქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სანქციების რისკთან დაკავშირებით და იგი მკაცრად არის დაცული. რუსეთისა და ბელარუსის მიმართ სანქციების დაწესების გამო, ბანკის სანქციებთან შესაბამისობის პროგრამა გაძლიერდა და სანქციების რეჟიმების მოქმედი მოთხოვნები სწრაფად შევიდა ჩვენს სისტემებში, იმავე ნულოვანი ტოლერანტობის მიდგომით, რასაც ბანკი ყოველთვის მისდევდა სანქციების მოქმედი მოთხოვნების დარღვევებთან დაკავშირებით.

ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით ცვალებად გარემოს და სანქციების განვითარებასთან ერთად, ბანკის შესაბამისობის პროგრამა ბანკის ოპერაციებს ცვალებად მოთხოვნებს მოარგებს. შემარბილებელი მექანიზმების დასამატებლად და რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების ზემოქმედების შეზღუდვის მიზნით, თუ ამ შეზღუდვების მასშტაბი კიდევ უფრო გაფართოვდება, ბანკმა რუსეთი და ბელარუსი მაღალი რისკის ქვეყნებად დაადგინა. ბანკს აქვს მკაცრი კონტროლის მექანიზმები და კლიენტების მიღების მკაფიო პოლიტიკა. მოქმედებს დეტალური შემოწმების გაძლიერებული პროცესი მაღალი რისკის იურისდიქციებში მცხოვრები კლიენტების მომსახურებასთან (სახსრების წყაროსა და ქონების გაზრდილი დოკუმენტური შემოწმების საფუძველზე) და რუსეთ/ბელარუსთან დაკავშირებულ ტრანზაქციებთან მიმართებით.

ჯგუფი ფლობს სს „ბელარუსკი ნაროდნი ბანკის“ (BNB) - ბელარუსში არსებული კომერციული ბანკის - 99.98%-ს. სანქციების რისკის მიმართ ჯგუფის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შესაბამისად, BNB-ის სამეთვალყურეო საბჭომ დაავალა BNB-ის მენეჯმენტს შეწყვიტოს ყველა შესაბამისი ურთიერთობა სანქცირებულ სუბიექტებთან მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში. 2022 წლის 30 ივნისს ჯგუფის პოტენციური დანაკარგების რისკი BNB-ისგან შეადგენდა ჯგუფის მთლიანი კაპიტალის 3.0%-ს. 2022 წლის 30 ივნისს, BNB-ის Tier 1 და ჯამური საზედამხედველო ადეკვატურობის კოეფიციენტები, შესაბამისად, შეადგენდა 12.8% და 18.9%-ს, რაც NBRB-ის მინიმალურ მოთხოვნებს, შესაბამისად, 7.0% და 12.5%-ზე მეტით აღემატებოდა.

ჯგუფი აქტიურად აკვირდება რუსეთ-უკრაინის ომის გარშემო არსებულ ვითარებას და მის შედეგებს რეგიონისთვის. ჯგუფი ატარებს სტრეს-ტესტირების ანალიზს, რათა მოახდინოს რისკის ადრეული ინდიკატორების იდენტიფიცირება და შემარბილებელი გეგმების დროულად განხორციელება. გარე შოკების მიმართ საქართველოს მდგრადობას ხელს უწყობს სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, გონივრული მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ბიზნესისთვის ხელსაყრელი გარემო და ჯანსაღი საბანკო სექტორი. სებ-ის განცხადებით, საჭიროების შემთხვევაში იგი შეამსუბუქებს ბაზრის ტურბულენტობის გავლენას. ჩვენი კორპორატიული საბანკო სესხების პორტფელი კარგად არის დივერსიფიცირებული. ჩვენ არ ველით მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ჩვენს ბიზნესზე. ჩვენს ღვინის მწარმოებელ კლიენტებს, რომლებიც ექსპორტს ახორციელებენ რუსეთსა და უკრაინაში, აქვთ ჯანსაღი კაპიტალი და საბრუნავი კაპიტალის სტრუქტურა და მიგვაჩნია, რომ ეს მათ საშუალებას მისცემს, მართონ პოტენციურად რთული გარე გარემო. კიდევ ერთი სექტორი, რომელიც შეიძლება დაზარალდეს რეგიონში არსებული არასტაბილურობით, არის სტუმარ-მასპინძლობის სექტორი. თუმცა ჩვენ ველით, რომ აღდგენა, რომელიც დაიწყო 2021 წლის მეორე ნახევარში, გაგრძელდება მიგრანტების შემოდინებით და საქართველოს ხელმისაწვდომ და მიმზიდველ ადგილად პოზიციონირებით. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის ივნისში ტურიზმიდან შემოსავალი 2019 წლის ივნისის დონის 88.7%-მდე გაიზარდა.

სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად მიეწოდება ინფორმაცია ძირითადი რეგიონული მოვლენებისა და ჯგუფზე მათი პოტენციური გავლენის შესახებ.

# საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი განიცდის ფინანსურ ზარალს, რადგან მისი კლიენტები ვერ შეასრულებენ თავიანთ სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიქმნება ბანკის საკრედიტო საქმიანობის კონტექსტში.

საკრედიტო რისკის ძირითადი წყაროებია:

- მსესხებლების უუნარობა, განრიგის შესაბამისად გადაიხადონ ძირითადი თანხა და პროცენტები;
- მსესხებლების შესახებ საკრედიტო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა ან შეზღუდული ხელმისაწვდომობა;
- პორტფელის კონცენტრაციის რისკი; და
- უზრუნველყოფის გაუფასურება.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და, შესაბამისად, ბანკის საკრედიტო რისკის ხარჯი შეიძლება გაიზარდოს, თუ ერთი დიდი მსესხებელი ან მცირე მსესხებლების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაარღვევენ ვალდებულებას. კორპორატიული საბანკო სესხების პორტფელი კონცენტრირებულია, უმაღლეს ათეულში შემავალი მსესხებლები 2022 წლის 30 ივნისს შეადგენენ მომხმარებლებისთვის გაცემული მთლიანი სესხების და ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანების 6.3%-ს, განსხვავებით 2021 წლის 31 დეკემბერს 7.2%-ისაგან.

2022 წლის 30 ივნისისთვის ბანკის მთლიანი სესხების 82.5% უზრუნველყოფილი იყო. უზრუნველყოფის ძირითადი ფორმები კორპორატიულ საბანკო და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტებში არის უძრავი ქონების, ძირითადი საშუალებების, ინვენტარის, სატრანსპორტო საშუალებების, კორპორატიული გარანტიებისა და დეპოზიტებისა და ფასიანი ქაღალდების გირავნობა. უზრუნველყოფის ყველაზე გავრცელებული ფორმა საცალო საბანკო მომსახურებაში ფიზიკური პირებისთვის გაცემულ სესხებზე არის საცხოვრებელი ბინების გირაო.

საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების ბაზრების ვარდნამ ან ეკონომიკური პირობების ზოგადმა გაუარესებამ იმ ინდუსტრიებში, რომლებშიც საქმიანობენ ბანკის კლიენტები, შეიძლება გამოიწვიოს უზრუნველყოფის ღირებულების შემცირება, მათ შორის ამ სესხების დარჩენილი გადაუხდელი ძირითადი თანხის ქვემოთ. გარდა ამისა, უძრავი ქონების ფასების კლებამ ან არასტაბილურმა ფასებმა შეიძლება გაართულოს ბანკისთვის მის ხელთ არსებული უზრუნველყოფის ზუსტი შეფასება. თუ მომავალში უზრუნველყოფის რეალური ღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდება, ბანკს შეიძლება მოეთხოვოს დამატებითი რეზერვების განთავსება და უზრუნველყოფილი სესხების ამოღების დონე მოსალოდნელზე დაბალი შეიძლება გახდეს. გარდა ამისა, კანონებისა და რეგულაციების ცვლილებებმა შეიძლება გააუფასუროს უზრუნველყოფის ღირებულება.

2021 წელს ციფრულ არხებში განახლებულმა დაკრედიტების პროცესებმა გამოიწვია არაუზრუნველყოფილი სამომხმარებლო სესხების რაოდენობის ზრდა და საცალო საბანკო მომსახურების სეგმენტში ნორმალურზე მაღალი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. გარდა ამისა, 2022 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჯგუფმა გამოაქვეყნა ინფორმაცია უფრო მაღალი რეზერვების შესახებ ბელარუსში ჯგუფის ოპერაციებთან მიმართებით, რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის ფონზე გარე გარემოს მოსალოდნელი გაუარესების გამო. ეს ნაწილობრივ გააბათილა კორპორატიული საბანკო მომსახურების მნიშვნელოვანმა აღდგენამ 2022 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში. ჯგუფის საკრედიტო რისკის ხარჯი 2022 წლის პირველ ნახევარში  იყო 0.7%, განსხვავებით 0.1%-ისგან 2021 წლის პირველ ნახევარში.  2022 წლის 30 ივნისს უმოქმედო სესხების შეფარდება მთლიან სესხებთან შეადგენდა 2.6%-ს, 2021 წლის 31 დეკემბრის 2.4%-ისგან განსხვავებით.

## შემსუბუქება

ბანკმა დანერგა საკრედიტო პოლიტიკა, რომელშიც ჩამოყალიბებულია საკრედიტო რისკის კონტროლისა და მონიტორინგის პროცედურები და ბანკის საკრედიტო რისკის მართვის სისტემები. საკრედიტო პოლიტიკა გადაისინჯება ყოველწლიურად ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად.

**კლიენტების კრედიტუნარიანობის შეფასება:** კლიენტებისთვის სესხის გაცემამდე ბანკი ახორციელებს კლიენტის მიერ სესხის გადახდის უნარის მკაცრ შეფასებას. ბანკი აფასებს შესაბამის რაოდენობრივ და თვისებრივ ზომებს (მათ შორის PTI, LTV, დავალიანებას EBITDA-ს მიმართ და სხვა კოეფიციენტებს), სებ-ის მიერ განსაზღვრული ლიმიტების ჩათვლით. კორპორატიული, მცირე და საშუალო ბიზნესის და უფრო დიდი საცალო და მიკრო სესხები ფასდება ინდივიდუალურად, ხოლო მცირე საცალო და მიკრო სესხებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესი ძირითადად ავტომატიზებულია.

ბანკი ასევე განიხილავს გარე საკრედიტო რეიტინგის ქულებს, როდესაც ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია. თუ გარე რეიტინგები არ არის ხელმისაწვდომი, ხდება შიდა რეიტინგების მინიჭება. ბანკმა შეიმუშავა შიდა ქულების მოდელები საცალო და მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმე კლიენტების კრედიტუნარიანობის შესაფასებლად.

**სასესხო პორტფელის ხარისხის მონიტორინგი:** საცალო, მიკრო და მცირე და საშუალო ბიზნესის სესხები ექვემდებარება პერიოდულ განხილვას. ბანკი ახორციელებს მონიტორინგს პოტენციური ფინანსური სირთულის ნიშნების მქონე კლიენტების იდენტიფიცირებისთვის. ჩვენ დავიწყეთ მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმე კლიენტებისთვის ქცევის შიდა ქულების მოდელების შემუშავება, რათა გამოვთვალოთ მათ მიერ სესხის დაფარვის უნარი.

5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი კორპორატიული საბანკო სესხებისთვის ბანკი ყოველკვარტალურად აახლებს მსესხებლების ფინანსურ ინფორმაციას და განიხილავს მნიშვნელოვან არაფინანსურ ცვლილებებს. 5 მილიონ აშშ დოლარამდე სესხების მონიტორინგი ხდება ნახევარ წელიწადში ერთხელ.

ბანკი მკაცრად იცავს სებ-ის მიერ კორპორატიული საბანკო სესხებისთვის დაწესებულ მომხმარებელთა ექსპოზიციის ლიმიტებს, ასევე დაწესებულ შიდა ლიმიტებს, აკონტროლებს საკრედიტო პორტფელში კონცენტრაციის დონეს და მისი უმსხვილესი მსესხებლების ფინანსურ საქმიანობას და აწარმოებს კარგად დივერსიფიცირებულ საკრედიტო პორტფელს.

ბანკის რისკების მთავარი ოფიცერი და საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტები ყოველთვიურად განიხილავენ პორტფელის საკრედიტო ხარისხს.

ბანკი კვარტალურ განახლებებს აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის ექსპოზიციების და სასესხო პორტფელის ხარისხის შესახებ, ასევე აწვდის დეტალურ ინფორმაციას მისი უმსხვილესი კორპორატიული მსესხებლების შესახებ.

**უზრუნველყოფის შეფასება:** ბანკი ამსუბუქებს საკრედიტო რისკს უზრუნველყოფის მოპოვებით და უსაფრთხოების სხვა ღონისძიებების გამოყენებით. ბანკი აკონტროლებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ადეკვატურობის განხილვისას. ზარალის დაფარვის მიზნით რეზერვების შესაქმნელად უზრუნველყოფის შეფასებისას, ბანკი ახდენს აქტივების საბაზრო ღირებულების დისკონტირებას, რათა ასახოს უზრუნველყოფის სალიკვიდაციო ღირებულება.

შემოთავაზებული უზრუნველყოფის შეფასების ანგარიშს ამზადებს აქტივების შეფასების დეპარტამენტი ან გარე აქტივების შემფასებელი, კარგი რეპუტაციის მქონე კომპანია. ანგარიში წარედგინება შესაბამის საკრედიტო კომიტეტს სესხის განაცხადთან და საკრედიტო რისკის მენეჯერის ანგარიშთან ერთად.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვა:** საკრედიტო დანაკარგების რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც დაკავშირებულია მომდევნო თორმეტ თვეში დეფოლტის ალბათობასთან, თუ არ მოხდენა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა სესხის გაცემის შემდეგ, და ასეთ შემთხვევაში რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აქტივის მუშაობის მთელი ვადის განმავლობაში. საკრედიტო დანაკარგების რეზერვი ემყარება მომავალზე გათვლილ ინფორმაციას და ითვალისწინებს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და ეკონომიკური პარამეტრების პროგნოზებს.

ბანკი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს კოლექტიურ საფუძველზე, ხოლო ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისთვის - ინდივიდუალურად, როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულია. ბანკი ქმნის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის, ვადაგადაცილებული დღეების, სესხის წარმოშობის შემდეგ საკრედიტო რისკის ცვლილებების, კომერციული, ფინანსური ან ეკონომიკური პირობების არასასურველი ცვლილების პროგნოზის გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს მსესხებლის კრედიტუნარიანობაზე, და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით, როგორიცაა გარე საბაზრო ან ზოგადი ეკონომიკური პირობები. თუ შემდგომ

პერიოდში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა მცირდება, ადრე დადგენილი მოსალოდნელი ზარალი შეიცვლება კორექტირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშით.

ბანკის საკრედიტო ზარალის რეზერვის შიდა მეთოდოლოგიით, რომელიც ეფუძნება IFRS მოთხოვნებს, ბანკი თავის საკრედიტო პორტფელს ყოფს მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო სესხების კატეგორიებად. მნიშვნელოვანი სესხებია 1.0 მლნ აშშ დოლარზე მეტი სესხები, ხოლო უმნიშვნელო - 1.0 მლნ აშშ დოლარის ქვემოთ. საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტები ინდივიდუალურად აფასებენ ყველა გადაუხდელ მნიშვნელოვან სესხს. იმ მნიშვნელოვან სესხებს, რომელთა შემთხვევაში არ აღინიშნება დარღვევა, ეძლევა კოლექტიური შეფასების განაკვეთი. ზარალის დაფარვის მიზნით რეზერვირებისთვის ყველა სესხი იყოფა სხვადასხვა ჯგუფად (როგორიცაა იპოთეკური, სამომხმარებლო და მიკრო სესხები).

2018 წლის 1 იანვრიდან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი 1.0 მილიონი აშშ დოლარამდე ოდენობის სესხები ექვემდებარება ჩამოწერას, თუ მოხდა ვადაგადაცილება 1460 დღეზე მეტით. არაუზრუნველყოფილი სესხები და უძრავი ქონების გარდა სხვა გირაოთი უზრუნველყოფილი სესხები ექვემდებარება ჩამოწერას, თუ მოხდა ვადაგადაცილება 150 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი კორპორატიული სესხები და 1.0 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ოდენობის სესხები შეიძლება ჩამოიწეროს ბანკის რისკების მთავარი ოფიცრისა და საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტების მხრიდან შეფასების შემდეგ.

**კონტრაგენტებთან დაკავშირებული რისკი:** საბანკო მომსახურების განხორციელებით, მათ შორის ბანკთაშორის ფულად ბაზარზე დაკრედიტებით, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ტრანზაქციის ანგარიშსწორებით, ვაჭრობის დაფინანსებასთან დაკავშირებული ბანკთაშორისი ოპერაციების ან ფასიანი ქაღალდების ინვესტირებით ბანკი ექვემდებარება ზარალის რისკს კონტრაგენტის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. კონტრაგენტებთან დაკავშირებული რისკის სამართავად ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისთვის გარე საკრედიტო რეიტინგისა და საერთო რისკის პროფილის საფუძველზე, ასევე ქვეყნის ლიმიტებს კონცენტრაციის სამართავად. ლიმიტები იმართება კონტრაგენტებთან დაკავშირებული რისკების ფინანსური და სამთავრობო მართვის კომიტეტის მეშვეობით, რომელიც სპეციალურად შეიქმნა კონტრაგენტებთან დაკავშირებული რისკის სამართავად. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის ბანკთაშორისი რისკის უმეტესი ნაწილი ეხებოდა „საინვესტიციო კლასის“ ბანკებს (Fitch, Moody's და Standard and Poor's-ის შეფასებების საფუძველზე).

**სხვა პროდუქტები:** ბანკი ასევე სთავაზობს მომხმარებლებს გარანტიებს/აკრედიტივებს, რამაც შეიძლება მოითხოვოს, რომ ბანკმა განახორციელოს გადახდები კლიენტების სახელით. ასეთი გადახდების ამოღება ხდება მომხმარებლებისგან გარანტიის/აკრედიტივის პირობების საფუძველზე. ეს პროდუქტები შეიცავს სესხების მსგავს რისკებს და ეს რისკები იმართება და მცირდება იმავე პოლიტიკითა და კონტროლით, როგორც სესხთან დაკავშირებული რისკები.

# ლიკვიდურობასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს შეასრულოს თავისი გადახდის ვალდებულებები, როდესაც დგება მათი გადახდის ვადა, ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში.

დაფინანსების რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფინანსების სტაბილური და დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფს საკმარისი ლიკვიდურობის იმედი აქვს მომდევნო 12 თვის განმავლობაში და შემდგომ თავისი სტრატეგიის განსახორციელებლად, ლიკვიდურობასთან და დაფინანსებასთან დაკავშირებული რისკები მაინც თან სდევს საბანკო ოპერაციებს და შეიძლება გაიზარდოს რიგი ფაქტორების გამო, როგორიც არის დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტი დამოკიდებულება ან წვდომის არარსებობა, საკრედიტო რეიტინგის ან საერთო საბაზრო სიტუაციის ცვლილებები, მაგალითად, ფინანსური ბაზრის არასტაბილურობა.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

მსოფლიოს მასშტაბით საკრედიტო ბაზრებმა ბოლო წლებში, გარდა 2020 წლისა, განიცადა და შეიძლება შემდგომშიც განიცადოს ლიკვიდურობის და გრძელვადიანი დაფინანსების შემცირება გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების გამო. კრედიტის ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით განვითარებად ბაზრებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინვესტორების ნდობის დონეზე და, შესაბამისად, ნებისმიერმა ფაქტორმა, რომელიც გავლენას ახდენს ინვესტორების ნდობაზე, როგორიც არის საკრედიტო რეიტინგის შემცირება, სახელმწიფო ინტერვენციები, ან ვალის რესტრუქტურიზაცია შესაბამის ინდუსტრიაში, შეიძლება გავლენა იქონიოს ფასწარმოქმნაზე ან/და დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე ჯგუფის კომპანიებისთვის, რომლებიც მოქმედებენ რომელიმე ამ ბაზარზე.

ჯგუფის მიმდინარე ლიკვიდურობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ფინანსური ბაზრის არახელსაყრელმა პირობებმა. თუ აქტივები, რომლებსაც ჯგუფი ფლობს ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად, არალიკვიდური გახდა ან მათი ღირებულება მკვეთრად დაეცა, ჯგუფს შეიძლება მოეთხოვოს ან გადაწყვიტოს, რომ დაეყრდნოს დაფინანსების სხვა წყაროებს თავისი საქმიანობისა და მომავალი ზრდის დასაფინანსებლად. თუმცა მხოლოდ შეზღუდული ოდენობის დაფინანსებაა მისაწვდომი საქართველოს ბანკთაშორის ბაზარზე და დაფინანსების სხვა წყაროებზე გადართვამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი რისკები, მათ შორის შესაძლებლობა იმისა, რომ დაფინანსების სხვა წყაროები იყოს უფრო ძვირი და ნაკლებად მოქნილი. გარდა ამისა, ჯგუფის გარე დაფინანსების წყაროებზე წვდომის უნარი დამოკიდებულია მის ხელთ არსებული საკრედიტო ხაზების დონეზე, ეს კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია ჯგუფის ფინანსურ და საკრედიტო მდგომარეობაზე, ისევე, როგორც ბაზრის ზოგად ლიკვიდურობაზე.

ჯგუფისთვის რისკს წარმოადგენს დიდი მოცულობის დეპოზიტების მოულოდნელი და სწრაფი გატანა მომხმარებლების მიერ და/ან ბალანსგარეშე ვალდებულებების გამოყენება, რაც უარყოფითად აისახება ჯგუფის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე. ეს შეიძლება მოხდეს მძიმე ეკონომიკური ვარდნის ან პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური არასტაბილურობის, მომხმარებელთა ნდობის მნიშვნელოვანი გაუარესების ან ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაქვეითების შემთხვევაში.

გარდა ამისა, რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომმა და პანდემიამ შესაძლოა მომავალშიც შეაფერხოს ეკონომიკური საქმიანობა გლობალურად და საქართველოში, რაც უარყოფითად იმოქმედებს ჯგუფის ლიკვიდურობისა და დაფინანსების პოზიციებზე.

## შემსუბუქება

ჯგუფი ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის იყენებს ALCO-ს მიერ დამტკიცებულ ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკის მართვის სისტემას, რომელშიც მოდელირებულია ჯგუფის შესაძლებლობა, შეასრულოს გადახდის ვალდებულებები როგორც ნორმალურ, ასევე კრიზისულ პირობებში. რეგულარულად ხდება სისტემის გადასინჯვა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მისი შესაბამისობა ჯგუფის მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობების გათვალისწინებით. გადასინჯვა მოიცავს დაფინანსების სცენარებს, საბითუმო დაფინანსების შესაძლებლობას, ლიმიტის განსაზღვრას და ლიკვიდური აქტივების მინიმალურ ფლობას, ასევე გლობალური სასესხო ბაზრების ტენდენციებს და კოლეგებისა და კონკურენტების ანალიზს.

ბანკმა შეიმუშავა მოდელი ბაზელ III ლიკვიდურობის გაიდლაინების მიხედვით. ის ინარჩუნებს მყარ ბუფერს მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტის (LCR) 100%-იან მოთხოვნის ზედა ზღვარზე, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2017 წლის სექტემბერში დაადგინა. ძლიერი მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი ამაღლებს ჯგუფის მოკლევადიან მდგრადობას. ამას გარდა, ბანკს აქვს კომფორტული ბუფერი და ის ინარჩუნებს წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) 100% მოთხოვნას ზედა ზღვარზე. აღნიშნული მოთხოვნა 2019 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) მყარი ბუფერი უზრუნველყოფს სტაბილურ დაფინანსების წყაროებს უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ეს მიდგომა შემუშავდა იმისათვის, რომ დაფინანსების სტრუქტურა საკმარისად მოქნილი ყოფილიყო ლიკვიდურობის უზრუნველსაყოფად საბაზრო პირობების ფართო დიაპაზონისთვის. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული LCR და NSFR ზომები უკვე უფრო კონსერვატიულია ბაზელ III ჩარჩოს საფუძველზე მოთხოვნილ მინიმალურ დონეებთან შედარებით. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის LCR კოეფიციენტი იყო 113.5% (124.0% 2021 წლის 31 დეკემბერს), ხოლო ბანკის NSFR კოეფიციენტი 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენდა 130.6%-ს (132.5% 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით).

ბანკმა შეიმუშავა ლიკვიდურობის საგანგებო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს რისკის ინდიკატორებს სხვადასხვა ტიპის რისკის სცენარებისთვის და შემარბილებელი მოქმედებებისთვის, რომელთა განხილვა და მონიტორინგი ხდება ALCO-ს მიერ. გეგმა შექმნილია იმისთვის, რომ ლიკვიდურობასთან დაკავშირებული პრობლემები ადრეულ ეტაპზე გამოავლინოს.

ჯგუფს გააჩნია დაფინანსების მრავალფეროვანი ბაზა, რომელიც მოიცავს დაფინანსების მოკლევადიან წყაროებს (მათ შორის საცალო საბანკო მომსახურების და კორპორატიული საბანკო მომსახურების კლიენტების დეპოზიტები, ბანკთაშორისი სესხები და სესხები საქართველოს ეროვნული ბანკიდან), და დაფინანსების გრძელვადიან წყაროებს (მათ შორის საცალო საბანკო მომსახურებისა და კორპორატიული საბანკო მომსახურების ვადიანი დეპოზიტები, სესხები საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან და გრძელვადიანი სასესხო ფასიანი ქაღალდები). 2022 წლის 30 ივნისისთვის ჯგუფის გრძელვადიანი დაფინანსების წყაროების 36%, 38% და 26% იყო, შესაბამისად, დეპოზიტები, საკრედიტო ინსტიტუტებისთვის გადასახდელი თანხები და სავალო ფასიანი ქაღალდები.

ჯგუფის დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა მომხმარებელთა დეპოზიტები და თამასუქები. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კლიენტთა დეპოზიტებისა და თამასუქების 90.1%-ის ვადიანობა შეადგენდა ერთ წელიწადს ან ნაკლებს, ამათგან 58.9% კი მოთხოვნამდე იყო გადასახდელი (88.9% 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საიდანაც მოთხოვნამდე გადასახდელი იყო 56.3%). 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით წმინდა სესხების თანაფარდობა კლიენტთა დეპოზიტებთან და თამასუქებთან შეადგენდა, შესაბამისად, 107.3%, ( 113.6% - 2021 წლის 31 დეკემბერს), ხოლო წმინდა სესხების თანაფარდობა კლიენტთა დეპოზიტებთან და თამასუქებთან და DFI-ებთან 95.0%-ს (98.7% - 2021 წლის 31 დეკემბერს).

ბანკს ძლიერი მხარდაჭერა აქვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან. 2021 წელს და 2022 წლის პირველ ნახევარში ბანკმა ხელი მოაწერა ხელშეკრულებებს არაერთი ახალი გრძელვადიანი სესხის შესახებ ადგილობრივ და უცხოურ ვალუტაში - სულ 400 მილიონი აშშ დოლარის თანხაზე. ამ თანხებიდან ნაწილი 2021 წელს და 2022 წლის პირველ ნახევარში იყო გახარჯული. 2022 წლის 30 ივნისისთვის ჯგუფს ჰქონდა დაახლოებით 688 მლნ ლარი გამოუყენებელი გრძელვადიანი, 12 წლამდე ვადით, დაფინანსება DFI-ებიდან, ასევე ძლიერი ქსელი მომდევნო 12 თვის განმავლობაში საჭირო რესურსების უზრუნველსაყოფად.

# კაპიტალის რისკი

კაპიტალის რისკს წარმოადგენს ბიზნეს-ამოცანების, რეგულირების მოთხოვნების და საბაზრო მოლოდინების შეუსრულებლობის რისკი არასაკმარისი კაპიტალის გამო.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

2017 წლის დეკემბრიდან „საქართველოს ბანკზე“ გავრცელდა „საქართველოს ეროვნული ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობის რეგულაცია, რომელიც ემყარება საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ბაზელი III-ის სახელმძღვანელო პრინციპებს და რომლის რეგულირების დისკრეცია აქვს „საქართველოს ეროვნულ ბანკს“ ადგილობრივი საბანკო ინდუსტრიის სპეციფიკის გამო. კაპიტალის ადეკვატურობის გაზრდილი მოთხოვნები ეტაპობრივად ინერგება და სრულად 2023 წლის მარტის ბოლოს ამოქმედდება.

ჩვენს შესაძლებლობაზე, შესაბამისობაში ვიყოთ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ არსებულ თუ შესწორებულ მოთხოვნებთან, შესაძლოა გავლენა იქონიოს რიგმა ფაქტორებმა, მათ შორის ისეთებმა, რომლებიც ჩვენს კონტროლს მიღმაა, როგორიცაა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ზრდა, კაპიტალის მოზიდვის ჩვენი უნარი, აქტივების ხარისხის გაუარესებით გამოწვეული დანაკარგები და შემოსავლების დონეების კლება და/ან დანახარჯების მატება, ადგილობრივი ვალუტის მერყეობა და გლობალური და საქართველოს ეკონომიკების ზოგადი შესუსტება.

მართალია, რუსეთ-უკრაინის ომს ჯერ არ უმოქმედია ბანკის კაპიტალის ადეკვატურობაზე, მაგრამ თუ კონფლიქტი გააგრძელებს ეკონომიკური აქტივობების შეფერხებას მსოფლიოსა და საქართველოში, შესაძლოა ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მდგომარეობაზე.

## შემსუბუქება

ჯგუფი ინარჩუნებს აქტიურად მართვად კაპიტალის ჯანსაღ ბაზას, რათა დაფაროს მისი ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკები. ჩვენ, როგორც კაპიტალის ადეკვატურობის მართვის ჩარჩოს შემადგენელ ნაწილს, უწყვეტად ვაკვირდებით საბაზრო პირობებს და ვატარებთ სტრესის და სცენარის ტესტირებას, რათა შევამოწმოთ ჩვენი პოზიცია უარყოფითი ეკონომიკური პირობების და საბაზრო და მარეგულირებელი ცვლილებების პირობებში. ბანკის კაპიტალის მდგომარეობა მუდმივი მონიტორინგის ქვეშაა დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან, რათა, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს რაციონალური მართვა და დროული ქმედებების განხორციელება.

ბანკი აქტიურად აკვირდება ადრეული გაფრთხილების ინდიკატორებს, როგორც რისკის მართვის კომიტეტის მიერ დამტკიცებული „რისკიანობის ჩარჩოს“ და ასევე, მარეგულირებელი „აღდგენის გეგმის“ ნაწილს, რომლებიც შემუშავებულია კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემების ადრეულ ეტაპზე გამოსავლენად, რათა დროულად გატარდეს შემამსუბუქებელი ღონისძიებები.

ბანკი რეგულარულად ატარებს კაპიტალის ოპტიმიზაციის ღონისძიებებს, რათა გაძლიერდეს ბანკის კაპიტალის პოზიცია და შესაძლებელი იყოს პოტენციური დადებითი შედეგების რეალიზება. 2019 წლის მარტში ბანკმა პირველად განათავსა 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის დამატებითი პირველადი კაპიტალის ობლიგაციები (AT1) რაც პირველ AT1 ტრანზაქციას წარმოადგენს საქართველოდან. ეს გამოშვება დაეხმარა ბანკს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურის ოპტიმიზაციაში უცხოური ვალუტის თვალსაზრისით და უზრუნველყო ბუნებრივი ჰეჯირება დოლარიზებულ ეკონომიკაში ოპერირებისთვის. გარდა ამისა, 2019 წლის დეკემბერში ბანკმა ხელი მოაწერა 107 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის 10-წლიან სუბორდინირებული სინდიცირებული სესხის ხელშეკრულებას, რაც მოზიდული იყო FMO - Dutch entrepreneurial development bank -ისა და სხვა მონაწილე მსესხებლებისგან, FMO-ს ხელმძღვანელობით და რომელიც „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ბაზელი III-ის ჩარჩოს მეორადი (Tier 2) კაპიტალის ინსტრუმენტად დაკვალიფიცირდა. 2020 წლის დეკემბერში, ბანკმა ხელი მოაწერა სინდიცირებულ მეორადი (Tier 2) კაპიტალის ხელშეკრულების შესწორებას, რომლითაც სესხის თანხა 20 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა. 2022 წლის მაისში ბანკმა ხელი მოაწერა დამატებითი პირველადი კაპიტალის (Additional Tier 1 Capital) უვადო სუბორდინირებული სინდიცირებული სესხის ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და Swedfund International AB-სთან.

ბანკის საოპერაციო შედეგები მძლავრი იყო კარგი საოპერაციო შემოსავლით, კარგად მართული ხარჯებითა და აქტივების ჯანსაღი ხარისხით, რის შედეგადაც საკუთარი კაპიტალის საშუალო რენტაბელობა მუდმივად 20%-ს აღემატებოდა (გარდა 2020 წლის 1-ლი კვარტლისა), ხოლო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნის დონეებზე მაღალი იყო. ბანკის მყარი ფინანსური შესრულების და კაპიტალის ძლიერი პოზიციის გათვალისწინებით, ჯგუფმა ერთ აქციაზე 7.70 ლარის დივიდენდი გადაიხადა 2021 წლის შემოსავლებთან მიმართებით.

ჯგუფის კაპიტალის პოზიცია მყარი რჩება და მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნის დონეებს აღემატება.

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბაზელ III-ის ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1), პირველადი კაპიტალის (Tier 1), და ჯამური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა, შესაბამისად, 14.0%-ს, 16.4%-ს და 19.8%-ს, რაც აღემატებოდა, შესაბამისად, 11.7%-იან, 14.0%-იან და 17.5%-იან მინიმალურ მოთხოვნებს.

# ბაზრის რისკი

ბაზრის რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგის რისკს, რომელსაც იწვევს ფინანსური ინსტრუმენტების მიმდინარე ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობა ბაზრის პარამეტრების ცვლილებების გამო.

ბაზრის რისკი წარმოიშვება აქტივებსა და ვალდებულებებს შორის ვადიანობის ან ვალუტის შეუსაბამობებისგან, რომლებიც დაუცველია ბაზრის მერყეობისგან.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

უცხოურ ვალუტებთან მიმართებით ლარის მერყეობამ უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე. ვალუტის გაცვლის რისკს ბანკი ანგარიშობს როგორც სარისკო პოზიციების ერთობლიობას, რაც „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ რეგულირებული კაპიტალის 20%-ით არის განსაზღვრული.

ბანკს აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკიც ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთებით დაკრედიტების ისეთი ხანგრძლივობის და მოცულობის გამო, რომელიც განსხვავდება ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთებით აღებული ვალების ხანგრძლივობისა და მოცულობისგან. აქტივებსა და ვალდებულებებზე სხვადასხვა ვადიანობის მქონე საპროცენტო მარჟები შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებების შედეგად.

შესაძლო ცვლილებას კაპიტალის ეკონომიკური ღირებულებასა და წმინდა საპროცენტო მარჟაში ბანკი ანგარიშობს „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ გამოქვეყნებული გაანგარიშების მეთოდით. ეს მეთოდი ეფუძნება შოკის და სტრესის წინასწარგანსაზღვრულ სცენარებს. „საქართველოს ეროვნულ ბანკმა“ კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მაქსიმალური ცვლილება ძირითადი საბაზო კაპიტალის (Tier 1) 15%-ით განსაზღვრა.

## შემსუბუქება

ბაზრის რისკის მართვის ბანკის პოლიტიკის ზოგადი პრინციპები განსაზღვრულია ALCO-ს მიერ. ბანკი საბაზრო რისკიანობას განსაზღვრავს სავაჭრო და არასავაჭრო პოზიციებად. სავაჭრო და არასავაჭრო პოზიციების მართვა და მონიტორინგი სხვადასხვა მგრძნობელობის ანალიზების გამოყენებით ხდება. ამ რისკებთან გასამკლავებლად ALCO კონკრეტულად ადგენს რისკის ღირებულების ლიმიტებს შესაძლო დანაკარგებზე ყოველი ტიპის ოპერაციისთვის, ხოლო ასეთ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგს CFRM ახორციელებს.

**ვალუტის გაცვლის კურსი:** ბანკის სავალუტო რისკი გამოითვლება როგორც სარისკო პოზიციების ერთობლიობა და კონტროლდება რისკის ხარჯის გაანგარიშების განსაზღვრით ბანკის სავალუტო კალათასთან მიმართებით. ბანკი იყენებს ისტორიული სიმულაციის მეთოდს, რომელიც ეფუძნება 400 სამუშაო დღის სტატისტიკურ მონაცემებს. ALCO ადგენს სარისკო სავალუტო პოზიციების ლიმიტებს როგორც დღიური ისე შიდადღიური პოზიციებისთვის. ამჟამად ბანკის საკუთრი საშუალებებით ვაჭრობის პოზიცია ლიმიტირებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ დადგენილი ბანკის მთლიანი რეგულირებადი კაპიტალის 7%-ით. გარდა ამისა, სარისკო პოზიციები ყველა ვალუტაში, გარდა ლარისა, ლიმიტირებულია „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ დადგენილი ბანკის მთლიანი რეგულირებადი კაპიტალის 1%-ით. სარისკო სავალუტო პოზიცია ასევე ლიმიტირებულია ALCO-ს მიერ რისკის ხარჯის წლიური ზღვრით, რაც 50 მილიონ ლარს შეადგენს 98.0%-იანი „ტოლერანტობის ლიმიტით“.

ALCO-ს ლიმიტები უფრო კონსერვატიულია, ვიდრე „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მოთხოვნები, რაც ბანკებს აძლევს შესაძლებლობას, შეინარჩუნონ სარისკო პოზიციები რეგულირებადი კაპიტალის 20.0%-მდე.

**საპროცენტო განაკვეთი:** ბანკის აქტივების უმეტესობას მცურავი საპროცენტო განაკვეთები აქვს, ხოლო კლიენტთა დეპოზიტების უმრავლესობას ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები. საპროცენტო განაკვეთის რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად, ბანკი მონიტორინგს უწევს საპროცენტო განაკვეთის (გადაფასების) სხვაობას და ინარჩუნებს საპროცენტო განაკვეთის მარჟას (წმინდა საპროცენტო მარჟა საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების გაუფასურებამდე გაყოფილი საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე), რომელიც საკმარისია საოპერაციო ხარჯების და რისკის ხარჯის დასაფარად.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებულ ფარგლებში, ALCO ადგენს საპროცენტო განაკვეთებს სხვადასხვა ვადიანობებისთვის, რომლებითაც ბანკს შეუძლია განათავსოს აქტივები და მოიზიდოს ვალდებულებები. მარეგულირებელი მოთხოვნის თანახმად, ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის შოკის სცენარების ზეგავლენას კაპიტალის ეკონომიკურ ღირებულებაზე და წმინდა საპროცენტო მარჟაზე და აწესებს ლიმიტებს რეგულირებად კაპიტალთან მიმართებით. ბანკის კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძნობელობა, ძირითად, საბაზო კაპიტალთან (Tier 1) დაკავშირებით მაქსიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნაზე ქვემოთ რჩება. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების კოეფიციენტი შეადგენდა 6.7%-ს, რაც 15%-იან მაქსიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნას საკამოდ ჩამოუვარდება.

**წინასწარი გადახდები:** ვადამდელი გადახდების წინა ისტორიას ბანკი აანალიზებს ვადამდელი გადახდების საშუალო შეწონილი მოქმედი განაკვეთის გაანგარიშებით თითოეულ საკრედიტო პროდუქტზე, ინდივიდუალურად, რა დროსაც იყენებს ისტორიულ განაკვეთებს თითოეული საკრედიტო პროდუქტის გადაუხდელი ნაწილის საბალანსო ღირებულების მიმართ საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით და შემდეგ ამ პროდუქტს ამრავლებს საშუალო შეწონილ მოქმედ განაკვეთებზე ყოველი პროდუქტისთვის. ეს შესაძლებლობას აძლევს ბანკს, გამოითვალოს მოსალოდნელი გაუთვალისწინებელი დანაკარგები ვადამდელი გადახდების შემთხვევაში.

## რეგულირებასთან დაკავშირებული და სამართლებრივი რისკი

რეგულირებასთან დაკავშირებული და სამართლებრივი რისკია ფინანსური ზარალის, მარეგულირებელი ცენზურის, სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენების ან რეპუტაციის შელახვის რისკი, თუ ჩვენ ვერ გამოვავლენთ, ვერ შევაფასებთ, სწორად ვერ განვმარტავთ, ვერ შესრულებთ ან ვერ ვმართავთ მარეგულირებელ და/ან სამართლებრივ მოთხოვნებს,

### ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

ჯგუფი ექვემდებარება მზარდ მარეგულირებელ მოთხოვნებს და კონკურენტული გარემო, რომელშიც ჩვენს საქმიანობას ვეწევით, შეიძლება შეიცვალოს ახალი რეგულაციების შედეგად, რისი მასშტაბის და ზემოქმედების სრულად პროგნოზირება შეუძლებელია.

ჯგუფის მთავარი კომპანია, სს „საქართველოს ბანკი“, ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მარეგულირებელ ზედამხედველობას. გარდა ამისა, ჯგუფის კომპანიები ექვემდებარებიან შესაბამის კანონებსა და რეგულაციებს საქართველოში, ხოლო ბელარუსში მდებარე საბანკო შვილობილი კომპანია BNB ექვემდებარება ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნული ბანკის მარეგულირებელ ზედამხედველობას.

რუსეთ-უკრაინის ომმა გამოიწვია მარეგულირებელი ტვირთის გაზრდა რუსეთის წინააღმდეგ გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების რეჟიმებთან დაკავშირებით. სებ-მა დაავალა საქართველოს ფინანსურ სექტორს, შეასრულოს აშშ-ის, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის სანქციების რეჟიმის მოქმედი მოთხოვნები.

### შემსუბუქება

რეგულირებასთან დაკავშირებული და სამართლებრივი რისკის სამართავად ჯგუფი შემსუბუქების შემდეგ მნიშვნელოვან ქმედებებს ახორციელებს:

**შესაბამისობის პოლიტიკა:** ჯგუფს აქვს შესაბამისობის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შესაძლებელს გახდის შესაბამისობის რისკის მართვის პრინციპების ინტეგრირებას ოპერაციებში და შეესატყვისება შესაბამის რეგულაციებს. აღნიშნული პოლიტიკა ადგენს პრინციპებსა და სტანდარტებს ჯგუფში შესაბამისობის რისკების მართვისთვის და განსაზღვრავს შესაბამისობის დამოუკიდებელი სამსახურის ძირითად როლებსა და პასუხისმგებლობებს. პოლიტიკის დაცვა სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. თანამშრომლების ინფორმირებულობის გასაზრდელად ბანკს აქვს შესაბამისი ონლაინ ტრენინგის მოდული.

**მარეგულირებელი ცვლილებების მართვა:** ჩვენი ინტეგრირებული კონტროლის ჩარჩოს შესაბამისად, ჩვენ ყურადღებით ვაფასებთ საკანონმდებლო და მარეგულირებელი ცვლილებების გავლენას ჩვენი ოფიციალური რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასების პროცესების დროს. მარეგულირებელი ცვლილებების მართვის ჩვენი სისტემა უზრუნველყოფს, რომ რეგულაციების ცვლილებები პროაქტიულად იდენტიფიცირებული იყოს იურიდიული სამსახურის, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და შესაბამისობის სამსახურის მიერ. გარდა ამისა, ჩვენ დამკვიდრებული გვაქვს სტანდარტიზებული პროცესი შესაბამისი ცვლილებების შემუშავებისა და განხორციელებისთვის სამუშაო ნაკადების, დავალებების, ამოცანების და ავტომატური შემდგომი ნაბიჯების დანერგვის გზით. მარეგულირებელი ცვლილებების მართვის პროცესის ფარგლებში ჩვენ ვაწარმოებთ კონსტრუქციულ დიალოგს მარეგულირებელ ორგანოებთან, როდესაც ეს შესაძლებელია, და ვეძებთ გარე რჩევებს კანონმდებლობის პოტენციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩვენ გვაქვს ოფიციალური ბმული და კოორდინირებული კომუნიკაციის პროცესი ეროვნულ ბანკთან.

**კლიენტების მიმართ სამართლიანი მოპყრობა:** ბანკს აქვს მომხმარებელთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც განახლდა 2021 წელს, რათა მასში ასახულიყო ახალი ადგილობრივი მარეგულირებელი მოთხოვნები. პოლიტიკა ვრცელდება პროდუქტისა და სერვისების სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე და მოიცავს მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქტის გამჭვირვალე შეთავაზებებთან და მკაფიო და ზუსტ კომუნიკაციასთან, რათა მომხმარებელს მიეცეს ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების საშუალება. აუდიტის კომიტეტი კვარტალურად იღებს ინფორმაციას ნებისმიერი შეტყობინებული მნიშვნელოვანი ინციდენტის შესახებ.

**დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების მონიტორინგი:** 2021 წელს ბანკმა გადახედა პოლიტიკასა და პროცესებს, რათა უზრუნველყოფილიყო დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების იდენტიფიცირება, შეფასება და მონიტორინგი სებ-ის მოთხოვნების შესაბამისად. განსაზღვრულია კონტროლი და პროცესი ორგანიზებულია თავდაცვის სამი ხაზის საფუძველზე.

ჯგუფის აუდიტის კომიტეტთან რეგულარულად განიხილება მნიშვნელოვანი მარეგულირებელი და სამართლებრივი ცვლილებები, ასევე მარეგულირებლის მხრიდან მნიშვნელოვანი შემოწმებები. ჩვენი შესაბამისობის რისკის მართვის ჩარჩო და პოლიტიკა ექვემდებარება გადასინჯვას ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ.

**სანქციებთან შესაბამისობა:** ჯგუფმა დიდი ხანია დანერგა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა სანქციების რისკთან მიმართებაში, რომელიც მკაცრად სრულდება. მას შემდეგ, რაც რუსეთსა და ბელარუსთან მიმართებით დაწესდა სანქციები, ბანკის სანქციების შესაბამისობის პროგრამა გაძლიერდა და სანქციების რეჟიმების მოქმედი მოთხოვნები სწრაფად შევიდა ჩვენს სისტემებში. შემარბილებელი მექანიზმების დასამატებლად და რუსეთისა და ბელარუსის წინააღმდეგ სანქციების ზემოქმედების შეზღუდვის მიზნით მათი მასშტაბის შემდგომი გაფართოების შემთხვევაში, ბანკმა რუსეთი და ბელარუსი მაღალი რისკის ქვეყნებად დაადგინა. ბანკს აქვს მკაცრი კონტროლის მექანიზმები და კლიენტების მიღების მკაფიო პოლიტიკა. მოქმედებს დეტალური შემოწმების გაძლიერებული პროცესი მაღალი რისკის იურისდიქციებში მცხოვრები კლიენტების მომსახურებასთან (სახსრების წყაროსა და ქონების გაზრდილი დოკუმენტური შემოწმების საფუძველზე) და რუსეთ/ბელარუსთან დაკავშირებულ ტრანზაქციებთან მიმართებით.

გარდა ამისა, სანქციების რისკთან დაკავშირებით ჯგუფის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის შესაბამისად, BNB-ის სამეთვალყურეო საბჭომ დაავალა BNB-ის მენეჯმენტს, შეწყვიტოს ყველა შესაბამისი ურთიერთობა სანქცირებულ სუბიექტებთან მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის ფარგლებში.

# ფინანსური დანაშაულის რისკი

ფინანსური დანაშაულის რისკი არის ჯგუფის მეშვეობით უკანონო საქმიანობის, მათ შორის ფულის გათეთრების, თაღლითობის, მექრთამეობისა და კორუფციის, გადასახადებისგან თავის არიდების, სანქციებისგან თავის არიდების, ტერორიზმის დაფინანსებისა და გავრცელების, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად ხელშეწყობის რისკი.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

ფინანსური დანაშაულის რისკები გლობალურ დონეზე კვლავ იზრდება. ჯგუფის წინაშე მკაცრი მარეგულირებელი და ზედამხედველობითი მოთხოვნები არსებობს, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური დანაშაულის რისკების მართვასთან. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ორგანოს მხრიდან იძულებითი ქმედებები, რაც გამოიწვევს ფინანსურ ზარალს და/ან ჯგუფის რეპუტაციის შელახვას.

ფინანსური დანაშაულის რისკის ძირითადი წყაროებია:

- კლიენტებისთვის პროდუქტისა და მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რისკი, რამაც შეიძლება ჯგუფი ფინანსური დანაშაულის წინაშე დააყენოს;
- არაადეკვატური კონტროლი რისკის აღმოსაჩენად და/ან ფინანსური დანაშაულის რისკის ნარჩენი ზემოქმედების და ალბათობის შესამცირებლად; და
- რისკის ზემოქმედების მიუღებელი დონის მქონე ბიზნეს საქმიანობა, რომელიც შეიძლება ვერ იყოს ადეკვატურად მართული.

გლობალურად, ტრანზაქციების/გადახდების გაზრდილი მოცულობა და სიჩქარე, ფინანსურ სერვისებში ციფრულ ტრანსფორმაციასთან ერთად, წარმოშობს ფინანსური დანაშაულის რისკის მართვის შემდეგ ტენდენციებს:

- ვინაიდან ტრანზაქციები უფრო სწრაფად სრულდება, ჯგუფს ესაჭიროება გამოვლენის უფრო მოწინავე ტექნიკისა და მონაცემების გამოყენება რისკების შესამსუბუქებლად;

- მოსალოდნელია, რომ გლობალურად გაიზრდება პირადი მონაცემების გაყალბების, სხვისი ანგარიშის ნომრის და კლიენტების ხელმოწერის ფაბრიკაციის გამოყენება. ჯგუფმა უნდა გამოიყენოს დიდი მოცულობის ინფორმაცია მონაცემთა უფრო მოწინავე ანალიტიკის და ავტომატიკის შესაძლებლობებთან ერთად, რათა შეძლოს რისკის შემსუბუქება;

- ბოლოდროინდელმა მოვლენებმა რუსეთ-უკრაინის ომის გარშემო გაზარდა სანქციებთან შესაბამისობის რისკები;

- ფულის გათეთრების პროდუქტების (ახალი და არატრადიციული) დიაგნოსტიკა - დიდი ალბათობით დამნაშავეები ყურადღებას გადაიტანენ უფრო არატრადიციულ პროდუქტებზე, მათ შორის ვაჭრობის დაფინანსებაზე, ფასიან ქაღალდებსა და ტრანზაქციების გათეთრებაზე, და, შესაბამისად, ჯგუფს დასჭირდება უფრო მოწინავე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების დანერგვა და ყოვლისმომცველი პოლიტიკა, რათა თავიდან აიცილოს და გამოავლინოს ფულის გათეთრება;

- ფინანსური დანაშაულის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ინოვაციური ფინ-ტექის გამოყენებასთან, ჯერ ბოლომდე არ არის გათვითცნობიერებული, ხოლო სანქციების მარეგულირებელი ლანდშაფტის ცვალებადობა აღსრულებისთვის გამოწვევებს ქმნის.

## შემსუბუქება

ჯგუფის მასშტაბით ფინანსური დანაშაულის რისკის მართვის პროგრამა მიზნად ისახავს, რომ ყველა ბიზნეს ქვედანაყოფი, მხარდაჭერის სამსახურები და შვილობილი კომპანიები განიხილავდნენ თავიანთი საქმიანობის ზემოქმედებას ჯგუფის რისკების პროფილზე და იღებდნენ ქმედით ზომებს ფინანსური დანაშაულის მიმართ ჯგუფის რისკების მიდგომასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ჩვენ მიზნად ვისახავთ, თავიდან ავიცილოთ კრიმინალების და ტერორისტების მიერ გამოწვეული ზიანი მომხმარებლებისა და ეკონომიკისთვის. ჩვენ აქტიურად

ვადევნებთ თვალყურს ფინანსური დანაშაულის რისკების წარმოშობას, დროულად ვატყობინებთ ყველა საკითხს შესაბამის დანაყოფებს და უზრუნველვყოფთ მათ პროაქტიულობას.

**ფულის გათეთრებასთან ბრძოლა:** ჩვენ გვაქვს ფულის გათეთრებასთან/ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ჩარჩო, რომელიც მოიცავს რისკებზე დაფუძნებულ მიდგომას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მიმართ. ჩარჩო შექმნილია ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტების (ფინანსური მოქმედების სამუშაო ჯგუფის (FATF) რეკომენდაციები) და საერთაშორისო ფინანსური სანქციების პროგრამების შესაბამისად. ყოველწლიური ტრენინგი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო პოლიტიკასა და პროცედურებში სავალდებულოა შესაბამისი პერსონალისათვის.

ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკების შესამცირებლად ჩვენ ჩამოვაყალიბეთ რისკების მართვის სტრუქტურა, რომელიც ეფუძნება თავდაცვის მოდელის სამ ხაზს. ფინანსური დანაშაულის პრევენციისა და გამოვლენის უნარის გასაძლიერებლად, ჩვენ ვაგრძელებთ ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვის სამსახურის გაძლიერებას. ჩვენ განვაახლეთ პოლიტიკა და პროცედურები, რათა ჩვენი ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვის აქტივობები უფრო ძლიერი გავხადოთ, და ჩავდეთ მნიშვნელოვანი რესურსები ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების რისკის მართვის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, მათ შორის სკრინინგისა და ფილტრაციის ინსტრუმენტების დანერგვით, რომლებიც მხარდაჭერილია მოწინავე ანალიტიკისა და ტრანზაქციათა მონიტორინგის გადაწყვეტებით. ბანკი აგრძელებს კლიენტების დეტალური შესწავლის პრაქტიკის და ტრანზაქციათა მონიტორინგის შესაძლებლობების გაუმჯობესებას, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, რისკზე დაფუძნებული სცენარებით მხარდაჭერილი მონიტორინგის, გაფრთხილებების და საეჭვო ქმედებების მოხსენებას.

**მექრთამეობა და კორუფცია:** ჩვენ მოწოდებული ვართ, თავიდან ავიცილოთ მექრთამეობა და კორუფცია შესაბამისი პოლიტიკის, პროცესებისა და ეფექტური კონტროლის განხორციელებით. ჩვენ ველით, რომ ყველა ჩვენი თანამშრომელი დაიცავს ჩვენს ეთიკის კოდექსს და ქცევის კოდექსს. ბანკს აქვს ნულოვანი ტოლერანტობა მექრთამეობისა და კორუფციის რისკების მიმართ.

ყველა თანამშრომელი გადის ყოველწლიურ სავალდებულო ტრენინგს მექრთამეობის საწინააღმდეგო და ანტიკორუფციული პოლიტიკისა და პროცედურების საკითხებში. ტრენინგი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ბანკის ანონიმური მამხილებელი არხი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის.

**თაღლითობის რისკი:** თაღლითობის რისკის შესამცირებლად ბანკმა დანერგა შემდეგი ღონისძიებები:

- პროცედურები „იცნობდე შენს თანამშრომელს“ (KYE), რომლებიც მოიცავს სკრინინგის მოთხოვნებს დაქირავების, დასაქმების და სამუშაოდან წასვლის ეტაპებზე, საშუალებას გვაძლევს, კარგად გავიგოთ თანამშრომლის ისტორია და ინტერესთა რეალური თუ პოტენციური კონფლიქტი;

- პროცედურები „იცნობდე შენს კლიენტს“ (KYC), რომლებშიც ჩამოყალიბებულია მომხმარებელთა სკრინინგის და ტრანზაქციათა მონიტორინგის პროცედურები საერთაშორისო ეკონომიკური სანქციებთან დაკავშირებულ რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე კლიენტის ვინაობის გადამოწმების პროცედურები ფულის გათეთრებისგან ბანკის დასაცავად;

- სავალდებულო ტრენინგი ყველა ახალი თანამშრომლისთვის თაღლითობის რისკის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;

- საკომუნიკაციო არხები ჩვენი მომხმარებლების ინფორმირებისთვის თაღლითობის რისკის შესახებ.

ბანკის შიდა აუდიტის სამსახური, რისკზე დაფუძნებული მიდგომით, უზრუნველყოფს ჩვენი რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და სისტემების ადეკვატურობასა და ეფექტიანობას. ფინანსური დანაშაულის რისკები აუდიტის კომიტეტის რეგულარულ დღის წესრიგშია.

2022 წლის პირველ ნახევარში ბანკში არ დაფიქსირებულა მექრთამეობის ან კორუფციის ინციდენტი და ბანკს არ გამოუყენებია საჯარიმო სანქციები მექრთამეობასთან ან კორუფციასთან დაკავშირებით.

## ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკები

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკი ინფორმაციის, მონაცემების ან საინფორმაციო სისტემების კონფიდენციალურობის, ხელშეუხებლობის ან ხელმისაწვდომობის დაკარგვის რისკია და წარმოადგენს პოტენციურ უარყოფით ზემოქმედებას ოპერაციებზე.

თუ გავითვალისწინებთ მუდმივად განვითარებადი, მტრული კიბერ-საფრთხეების გარემოს, გასაგები გახდება მუდმივი ინვესტირების მნიშვნელობა ადმინისტრაციული და ტექნიკური კონტროლის საშუალებებში, რომლებიც გვეხმარება არსებული და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილებაში, გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებაში. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება შესაძლებლობები ბოროტი განზრახვის მქონე აქტორებისთვის, განსაკუთრებით შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- ნულოვანი დღის შეტევები, რომლებიც იყენებენ ადრე უცნობ მოწყვლადობას;
- შემთხვევები, როცა უშუალო კონტროლის საშუალებები არა აქვს კიბერ-უსაფრთხოების იმ სისტემებს, რომლებისკენაც მიმართულია კიბერ-შეტევა (მაგალითად, ჩვენი მომხმარებლები და მესამე პირი მომსახურების მომწოდებლები), რაც საბოლოოდ ზღუდავს გარკვეული საფრთხეებისგან ჩვენი თავდაცვის უნარს; და
- თანამშრომლების მიერ ჩვენი პოლიტიკის, პროცედურებისა და ტექნიკური კონტროლის დაცვის უგულებელყოფა.

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკი წარმოდგენს ისეთი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებულ რისკს, როგორიცაა შენახული ან სხვაგვარად დამუშავებული პერსონალური მონაცემების შემთხვევითი ან არაკანონიერი განადგურება, დაკარგვა, შეცვლა, უფლებამოსილების გარეშე გამჟღავნება ან წვდომა, რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს ფინანსური დანაკარგები, რეპუტაციის შელახვა ან სხვა მნიშვნელოვანი უარყოფითი ეკონომიკური ან სოციალური ზემოქმედება.

### ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკი უმაღლესი გლობალური რისკია ორგანიზაციებისთვის, განსაკუთრებით ფინანსური სამსახურებისთვის. ბანკი რჩება ინფორმაციული უსაფრთხოების ხელყოფის მცდელობების სამიზნედ. ადამიანურ მსხვერპლთან ერთად უკრაინაში შეჭრა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დასპონსორებული კიბერ-შეტევის საყოველთაო საფრთხის მკაფიო შეხსენებას, რომლის მიზანია საინფორმაციო-ტექნოლოგიური სისტემების დარღვევა და გათიშვა.

2022 წლის 1 იანვარს, საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ბანკი აღიარებული იქნა ქვეყნის ერთ-ერთ კრიტიკულ საინფორმაციო სუბიექტად, რაც ნიშნავს, რომ მისი საინფორმაციო სისტემის უწყვეტი მუშაობა მნიშვნელოვანია ქვეყნის თავდაცვისა და/ან ეკონომიკური უსაფრთხოებისთვის და, ასევე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და/ან საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის. არსებულმა კანონმდებლობამ საკმაოდ დიდი მოცულობის მოვალეობები დააკისრა ბანკს, რამაც გამოწვია მოქმედ პროცედურულ დოკუმენტებსა და დადგენილ პრაქტიკაში მცირე ცვლილებების შეტანის საჭიროება.

### შემსუბუქება

ჩვენ გვაქვს ინტეგრირებული კონტროლის ჩარჩო და პოლიტიკა, რომელიც მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების, წვდომისა და მოწყვლადობის მართვას. ბანკი აანალიზებს და ინვესტიციებს ახორციელებს თავისი კონტროლის გარემოში, რათა დარწმუნდეს, რომ სპობს იმ რისკებს, რომლებთანაც მას უწევს შეხება.

ჩვენ შევქმენით ინფორმაციული უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის სერიოზული პროგრამა, რომელიც შესაბამისობაშია არსებულ საქმიანობასთან და მარეგულირებელ მოთხოვნებთან, და ჩვენ მუდმივად ვაფართოებთ პროგრამას, რათა შევძლოთ ეფექტიანი რეაგირება ახალ საფრთხეებზე.

ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკების შერბილების საშუალებას კონტროლის შემდეგი საშუალებები გვაძლევს:

**ნულოვანი დღის შეტევები:** ამ რისკის შესარბილებლად ჩვენ რეგულარულად ვუწევთ მონიტორინგს განცხადებებს ნულოვანი დღის მოწყვლადობის შესახებ, რასაც შეუძლია უარყოფითი გავლენის მოხდენა ჩვენს სისტემებზე. თუ აღმოჩნდება ამგვარი მოწყვლადობა, სპეციალური გუნდი უზრუნველყოფს რაც შეიძლება სწრაფად კონცენტრირებას მასზე. უფრო მეტიც, ჩვენ ვიყენებთ ღრმად ეშელონირებული დაცვის მიდგომას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გვაქვს უსაფრთხოების მრავალი დამატებითი ფენა და თუ ერთი მექანიზმი ვერ იმუშავებს, დაუყოვნებლივ გააქტიურდება სხვა მექანიზმი შეტევის თავიდან აცილების მიზნით.

**მომხმარებელზე მიმართული ფიშინგი:** ბოროტი განზრახვის მქონე აქტორებს შეუძლიათ მომხმარებელზე მიმართული ფიშინგის წარმატებული შეტევების განხორციელება მომხმარებლების ყალბი ვებსაიტებით, სოციალური ქსელით, ელ.ფოსტით და სხვა გზებით მოტყუებით. აღნიშნული რისკის შესამცირებლად ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ საკითხებზე:

- ჩვენი ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლის საშუალებების გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს მომხმარებელთა ანგარიშებში უფლებამოსილების არმქონე წვდომის აღმოჩენა; და

- ინფორმირებულობის ასამაღლებელი კამპანიების ჩატარება, რათა ჩვენმა მომხმარებლებმა და ფართო საზოგადოებამ შეძლოს ფიშინგის ამოცნობა და დროული რეაგირება უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით.

**კიბერ-შეტევა მოწოდების ჯაჭვზე**: ბოროტი განზრახვის მქონე აქტორებს შეუძლიათ უკანონო წვდომის განხორციელება ჩვენი მესამე პირი მომსახურების მომწოდებელთა სისტემებში. ბანკი ფოკუსირებულია ამგვარი რისკის შერბილებაზე შემდეგი გზებით:

- ინფორმაციული უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის დეტალური შემოწმების ინტეგრირება მესამე პირი მომსახურების მომწოდებლის შერჩევის პროცესში რისკის იმ დონის დასადგენად, რომლის წინაშე დგას მესამე პირი მომსახურების პოტენციური მომწოდებელი;

- დარწმუნება იმაში, რომ მესამე პირ მომსახურების მომწოდებლებთან თანამშრომლობის დაწყებამდე დადგენილი რისკების შერბილების მიზნით დანერგილია აუცილებელი სახელშეკრულებო და ტექნიკური კონტროლის საშუალებები; და

- მესამე პირი მომსახურების არსებული მომწოდებლების მონიტორინგი, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ ინფორმაციული უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის შეთანხმებული მოთხოვნების შესრულების შემოწმების მიზნით. ურთიერთობათა შეწყვეტა ექვემდებარება გასვლასთან დაკავშირებული პროცედურების გავლას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბანკის ინფორმაციის კონფიდენციალურობის, ხელშეუხებლობისა და ხელმისაწვდომობის დაცვა.

**თანამშრომლების მიერ ჩვენი პოლიტიკის, პროცედურებისა და ტექნიკური კონტროლის საშუალებების უგულებელყოფა:** ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან და მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკის მართვა მთლიანად ბანკში ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს. ჩვენ მუდმივად ვაქცევთ ყურადღებას ჩვენი თანამშრომლების აღჭურვას სათანადო ცოდნით და შესაბამისი ინსტრუმენტებით, რათა მათ შეძლონ ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების პრევენცია, დადგენა, შერბილება და შეტყობინება.

ყოველწლიური ტრენინგი ინფორმაციულ უსაფრთხოებასა და მონაცემთა დაცვაში სავალდებულოა ბანკის ყველა შესაბამისი თანამშრომლისთვის. COVID-19 პანდემიის დროს ჩვენ დისტანციურად მუშაობას მოვარგეთ ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების შერბილებასთან დაკავშირებული კურსი. კურსი კვლავაც რჩება ტრენინგის სავალდებულო ნაწილად ყველა თანამშრომლისთვის. ჩვენ ვახორციელებთ მონაცემთა დაცვის უწყვეტ და როლებზე დაფუძნებულ ტრენინგს, რათა ჩვენმა თანამშრომლებმა იცოდნენ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული რისკები და ათვითცნობიერებდნენ თავის როლს ამგვარი რისკების შემსუბუქებაში.

ჩვენ წამოვიწყეთ ფიშინგის კვარტალური კამპანიები ჩვენი თანამშრომლების ფიშინგის აღმოჩენის და მასზე სათანადო რეაგირების უნარის შემოწმების მიზნით. პერიოდულად ჩვენ ვაგზავნით ელ.შეტყობინებებს და ვაზიარებთ პოსტებს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხეების შესახებ შიდა საკომუნიკაციო არხებით. მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლების მიმართ განხორციელებული იქნა ფიშინგის მცდელობები, რაიმე სერიოზულ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

დაბოლოს, ჩვენ ვაღიარებთ, რომ ბანკში ინფორმაციული უსაფრთხოების კონტროლის საშუალებების გაფართოებასთან დაკავშირებული ჩვენი ძალისხმევის მიუხედავად, მცირე რაოდენობის შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს დასაბუთებული საქმიანი საჭიროება იმისა, რომ არსებული პოლიტიკა, პროცედურები და ტექნიკური კონტროლის საშუალებები არ გამოიყენებოდეს კონტროლირებულად. ამ მიზნით ჩვენ გავაუმჯობესეთ ჩვენი მიდგომა ინფორმაციული უსაფრთხოების გამონაკლისების მართვისადმი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ მოქნილობას, მთლიან წარმოდგენას საერთო რისკებზე, რომლებიც ჩნდება გამონაკლისების შედეგად, და მათ პროაქტიულ მართვას.

**წვდომის მართვა:** ჩვენ გვაქვს წვდომის როლებზე დაფუძნებული კონტროლი, რომელიც ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების ადაპტირების და არსებული თანამშრომლების როტაციის პროცესების ავტომატიზებას, შესაძლებელს ხდის ქსელზე შეზღუდულ წვდომას ინდივიდუალური მომხმარებლების როლებზე დაყრდნობით და, ამგვარად, შეესაბამება მინიმალური პრივილეგიის პრინციპს, რომელსაც იცავს ბანკი. უფრო მეტიც, ბანკმა სათანადო ნაბიჯები გადადგა ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკის შესახებ ინფორმირებულობის ასამაღლებლად პრივილეგირებულ მომხმარებელთა, ანუ წვდომის პრივილეგირებული უფლებების მქონე თანამშრომელთა შორის, რისთვისაც მათ მიაწოდა სავალდებულო და სპეციალურად შერჩეული სახელმძღვანელო მითითებები. ჩვენ ასევე განვახორციელეთ პრივილეგირებულ მომხმარებელთა შეფასების ნახევარწლიური პროცესი.

ბანკი არ ანიჭებს პრივილეგირებული წვდომის უფლებებს მესამე პირებს გამართლებული და დასაბუთებული საქმიანი საჭიროების გარეშე. ამგვარი საჭიროების შემთხვევაშიც კი პრივილეგირებული წვდომის უფლების მქონე მესამე პირებს მოეთხოვებათ მრავალფაქტორიანი ავთენტიფიკაციის გამოყენება, ხოლო ბანკი მართავს და მონიტორინგს უწევს მათ ქმედებებს პრივილეგირებული წვდომის მართვის გადაწყვეტის საშუალებით.

**რეაგირება ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტზე:** ზემოხსენებული ძირითადი რისკების წარმატებით შემსუბუქების მიზნით ჩვენი ინციდენტებზე რეაგირების გეგმა უფრო მეტად შევუსაბამეთ სფეროს სტანდარტს და მიღებულ საუკეთესო პრაქტიკას, როგორც ეს განსაზღვრულია სტანდარტებისა და ტექნოლოგიის ეროვნული ინსტიტუტის (NIST) კომპიუტერულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტის მართვის სახელმძღვანელოში. ჩვენ, ასევე, უწყვეტად ვატარებთ დარღვევისა და თავდასხმის სიმულაციებს, რაც გვაძლევს ჩვენი ქსელის ბოროტგანმზრახველთა თვალით დანახვის საშუალებას; ვამოწმებთ დაცვის საშუალებებს და უსაფრთხოების კონფიგურაციას, ვახორციელებთ მუდმივ მონიტორინგს და ვაუმჯობესებთ ჩვენი დაცვის მდგომარეობას. ჩვენ, ასევე, ხელახლა ვამუშავებთ ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირების გეგმას. ვიყენებთ დამატებით განზომილებებს, როგორიცაა გამოვლენის საშუალო დრო, რეაგირების საშუალო დრო და ცრუდადებითი კოეფიციენტი ჩვენი უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრის მუშაობის უკეთ თვალყურის დევნებისთვის. ამ მაჩვენებლებს აკვირდებიან მთელ უსაფრთხოების საოპერაციო ცენტრთან და მისი გუნდის თითოეულ წევრთან დაკავშირებით. 2022 წელს განზრახული გვაქვს მსოფლიოში ცნობილი მომწოდებლის ჩართვა „წითელი გუნდური შეფასების“ (Red Teaming Assessment) ჩატარების მიზნით - ეს არის მიზანზე დაფუძნებული მტრული საქმიანობა, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციის ისტორიულ ხედვას მტრის პერსპექტივიდან. ამგვარი შეფასების ჩატარების მიზანია გაზომვა იმისა, თუ რამდენად კარგად შეუძლია ორგანიზაციას რეალურ პირობებში თავდასხმისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

**რუსეთ-უკრაინის ომი:** რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის საპასუხოდ ბანკმა გააძლიერა რუსეთიდან მომავალი საფრთხეების მონიტორინგი. თუმცა შემოტევის მცდელობები გაზრდილია, ჩვენ არ მოველით, რომ ისინი შეძლებენ რაიმე ნეგატიური ზემოქმედების მოხდენას ბანკზე.

2022 წლის განმავლობაში ჩვენ გავზარდეთ ჩვენი შესაძლებლობები ვანდალებისგან დაცული სარეზერვო საცავის დანერგვით. აღნიშნულის შედეგად არც გარეშე და არც შიდა ბოროტმოქმედ ძალებს არ შეუძლიათ რაიმე ზიანის მიყენება ბანკის მონაცემთა ბაზის ძირითადი რეზერვისთვის.

ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკი იზომება რისკის მიმართ მზადყოფნის წინასწარ დადგენილი მაჩვენებლებით და ზღვრებით, ხოლო ანგარიში მისი მუშაობის შესახებ ყოველკვარტალურად ბარდება რისკების კომიტეტს. ბანკის შიდა აუდიტის სამსახური, რისკზე დაფუძნებული მიდგომით, უზრუნველყოფს რწმენას ჩვენი რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და სისტემების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის მიმართ. ინფორმაციული უსაფრთხოება რეგულარულად დგას რისკების კომიტეტის დღის წესრიგში. ჩვენ ასევე ვიწვევთ გარეშე აუდიტორებს კიბერ-უსაფრთხოების აუდიტის ჩასატარებლად.

**მონაცემთა დაცვის პოლიტიკა:** ჩვენ გვაქვს მონაცემთა დაცვის ყოვლისმომცველი პოლიტიკა და სტანდარტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს მუშაობას კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული რეგულაციების და

თანამედროვე პრინციპების შესაბამისად. ეს პოლიტიკა და პროცედურები გამოკვეთენ კონფიდენციალურობის იმ პრინციპებსა და სტანდარტებს, რომლებსაც ჩვენ ვიცავთ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. ეს პრინციპები და სტანდარტები:

- რეგულარულად განიხილება, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი ასახავენ არსებულ სამართლებრივ, მარეგულირებელ, მიღებული პრაქტიკის და შიდა პოლიტიკის მოთხოვნებს;
- განიხილება ყოველწლიურად და მტკიცდება მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ;
- შესაბამისობაში მოგვყავს სფეროს აღიარებულ სტანდარტებთან.

კონფიდენციალურობის სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს მტკიცე ორგანიზაციულ სტრუქტურას. ამ მიზნით ჩვენ დავნიშნეთ სფეროს მონაცემთა დაცვის პირველი სპეციალისტი, რომლის პასუხისმგებლობაში შედის, და არა მხოლოდ, შემდეგი:

- ბანკის თანამშრომლებისთვის რეკომენდაციების მიწოდება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულება;
- ბანკში არსებული მონაცემთა დამუშავების პროცედურების კვლევა და მოქმედ კანონმდებლობასთან მათი შესაბამისობის შეფასება;
- ბიზნეს-სტრუქტურული ერთეულების კონსულტირება კონფიდენციალურობის საკითხებზე, განსაკუთრებით ახალი პროცესის ან პროდუქტის დანერგვისას;
- კავშირი ზედამხედველ ორგანოსთან კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- შიდა პოლიტიკისა და პროცედურების, ასევე, ინფორმირებულობის გაზრდის პროგრამების შემუშავება და პრაქტიკული გამოყენება.

კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები მხედველობაში მიიღება ყველა ახალ პროცესსა და პროექტში. სულ უფრო ხშირად ვხედავთ, რომ თანამშრომლები აქტიურად ურთიერთქმედებენ მონაცემთა დაცვის სპეციალისტთან და ატარებენ კონფიდენციალურ მონაცემებზე ზემოქმედების შეფასებას. ამგვარი შეფასებები უზრუნველყოფენ ჩვენი პროექტების შესაბამისობას მონაცემთა დაცვის კანონთან მათი ამოქმედების მომენტისთვის.

**გამჭვირვალობა:** გამჭვირვალობა ჩვენი კონფიდენციალურობის პროგრამის ძირითადი ელემენტია. ჩვენი მომხმარებლები მარტივ ენაზე იღებენ ინფორმაციას კონფიდენციალურობის თაობაზე, მათ შორის იგებენ, როგორ ხდება მათი პერსონალური ინფორმაციის შეგროვება, გამოყენება, გამჟღავნება, გადაცემა და დაცვა. კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული ჩვენი ვალდებულებები ასახულია ჩვენს განცხადებაში კონფიდენციალურობის შესახებ.

მონაცემთა დაცვის სპეციალისტი, სულ მცირე, წელიწადში ორჯერ აბარებს აუდიტის კომიტეტს ანგარიშებს ბანკის კონფიდენციალურობის სტრატეგიის განხორციელების შესახებ. აღნიშნულის შედეგად ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და სამეთვალყურეო საბჭო ყოველთვის ინფორმირებულნი არიან უახლესი ცნობებით კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე.

## საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი არის ფინანსური და არაფინანსური ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესების, ადამიანებისა და სისტემების ან გარე მოვლენების შედეგად.

საოპერაციო რისკს შეიძლება შედეგად მოჰყვეს შემდეგი გარემოებებით წარმოქმნილი ზარალი:

- შიდა და გარე თაღლითობა, ქურდობა;
- ბიზნესის წარუმატებლობა და სისტემის ჩავარდნა;
- დასაქმების პრაქტიკა;
- კლიენტებთან, პროდუქტებსა და საქმიანობასთან დაკავშირებული პრაქტიკა;
- ფიზიკური აქტივებისა და ინფრასტრუქტურისთვის მიყენებული ზიანი; და
- აღსრულება, მიწოდება და პროცესების მართვა.

### ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

საოპერაციო რისკების მართვის ნაკლოვანებებმა ან არაეფექტურობამ შეიძლება გამოიწვიოს არაზუსტი ფინანსური, მარეგულირებელი ან რისკების შესახებ ანგარიშგება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის რისკების პროფილის ზუსტ და დროულ გაგებაზე ჩვენი ძირითადი დაინტერესებული მხარეების მიერ. ტენდენციები, რომლებიც განაპირობებენ ტრანსფორმაციის აუცილებლობას, გარდა ზემოთ აღნიშნული ახლად წარმოქმნილი რისკებისა, გამომდინარეობს მრავალი წყაროდან:

- საბანკო პროდუქტებისა და სერვისების მიმართ კლიენტების მოლოდინები შეიცვლება ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების ახალი მოდელების გაჩენით, რაც აიძულებს ბანკებს, გადახედონ თავიანთ ბიზნეს-მოდელებს და გაუმკლავდნენ ახალ საოპერაციო რისკებს;
- დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის დაჩქარება IT და საოპერაციო მდგრადობას უფრო დახვეწილს გახდის. ცვლილებების სიჩქარემ და ინოვაციების საჭიროებამ ხელი შეუწყო ტექნოლოგიების დანერგვას, რომელთა შემოღება ფრთხილად მართვას საჭიროებს;
- კვალიფიციური კადრების ფონდს მოუწევს საინფორმაციო ტექნოლოგიების უფრო მეტად გამოყენება და გადასვლა მონაცემთა მცოდნე პროფილებზე, რათა დაეწიოს პროცესების დიგიტალიზაციისა და ავტომატიზაციის გაზრდილ დონეს.

### შემსუბუქება

საოპერაციო რისკის სამართავად, ჯგუფმა დანერგა პოლიტიკა და პროცედურები და ჩამოაყალიბა საოპერაციო რისკების ჩარჩო საოპერაციო რისკების პროგნოზირების, შერბილების, კონტროლისა და კომუნიკაციისთვის და ჯგუფში შიდა კონტროლის გარემოს საერთო ეფექტურობისთვის. საოპერაციო რისკებთან დაკავშირებული როლებისა და პასუხისმგებლობების თავდაცვის სამ ხაზს შორის ეფექტური განაწილებით ჯგუფი ახორციელებს იდენტიფიცირებას, მონიტორინგს, ატარებს ზომებს, წარადგენს ანგარიშებს, მართავს რისკებს და ახორციელებს შესაბამის კონტროლს. ჯგუფმა განახორციელა რისკისა და კონტროლის თვითშეფასების (RCSA) პროცესი, რომლის მეშვეობითაც ფასდება და განიხილება საოპერაციო რისკები და კონტროლის ეფექტიანობა, რაც უზრუნველყოფს გონივრულ გარანტიას, რომ საქმიანობის ყველა ამოცანა შესრულდება.

**შიდა კონტროლი:** ჩვენ შევქმენით შიდა კონტროლი, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის ქმედით და ეფექტიან ოპერაციებს, იცავს მის აქტივებს, აწარმოებს სანდო ფინანსურ ანგარიშებს და შეესაბამება მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს.

შიდა კონტროლის ჩარჩოს შემდეგი ელემენტები საშუალებას გვაძლევს, შევამციროთ საოპერაციო რისკები:

- ჩამოყალიბდა მკაფიო უფლებამოსილებები და პროცესები დამტკიცების მიზნებისათვის;
- რისკის ძირითადი ინდიკატორებისა და გაფრთხილების სისტემის საფუძვლიანი მონიტორინგი ლიმიტების დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება;
- თანამშრომლების დასაქმების, სწავლისა და განვითარების შესაბამისი პრაქტიკა ექსპერტიზის შესანარჩუნებლად;
- უწყვეტი პროცესები იმ ბიზნეს-მიმართულებების ან პროდუქტების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც სავარაუდოდ ნაკლებად ან ზედმეტად მუშაობენ გონივრულ მოლოდინებთან შედარებით;
- ტრანზაქციებისა და ანგარიშების რეგულარული შემოწმება და შეჯერება; და
- შვებულებების პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლების არყოფნას სამსახურში არანაკლებ ათი სამუშაო დღის განმავლობაში.

**პოლიტიკა და სტანდარტები:** საოპერაციო რისკების მართვის დეპარტამენტი შეიმუშავებს და აწარმოებს ჩარჩოს და პოლიტიკისა და სტანდარტების ყოვლისმომცველ კომპლექტს. ამ პოლიტიკას და სტანდარტებს განიხილავენ და ამტკიცებენ შესაბამისი მმართველობითი ორგანოები, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი შესაბამისობა აღიარებულ ინდუსტრიულ სტანდარტებთან, როგორიცაა ბაზელი და EBA, ასევე მათი ხელმისაწვდომობა ყველა შესაბამისი თანამშრომლისთვის შიდა არხებით. საოპერაციო რისკების მართვის კომიტეტი პასუხისმგებელია საოპერაციო რისკის აპეტიტისა და ტოლერანტობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების დადგენასა და ზედამხედველობაზე. ბანკის დირექტორთა საბჭო და რისკების კომიტეტი ასევე პასუხისმგებელნი არიან რისკის აპეტიტის დადგენაზე.

**მოვალეობების გამიჯვნა:** რისკებისა და კონტროლის არსებული ჩარჩოები მოითხოვს მოვალეობათა სათანადო განაწილებას ისე, რომ აღმოიფხვრას ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი მოვალეობები, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს დანაკარგების, შეცდომებისა თუ სხვა არასათანადო ქმედებების შენიღბვა.

**ბიზნესის მდგრადობა და უწყვეტობა:** ჩვენ ვდგავართ დამანგრეველი მოვლენების საფრთხის წინაშე, რომლებიც შეიძლება იყოს ძალიან ძლიერი და შეიძლება შეუძლებელიც კი გახადოს ჩვენს საქმიანობასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება ნაწილობრივ ან მთლიანად. ინციდენტებს, რომლებიც აზიანებენ ბანკის ინფრასტრუქტურას, მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას, შეიძლება მოჰყვეს მნიშვნელოვანი ფინანსური დანაკარგები ჯგუფისთვის და, ასევე, მთლიანად სფეროსთვის. ამგვარი რისკების მიმართ მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ჯგუფმა ჩამოაყალიბა ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რომელიც მორგებულია ჩვენი ოპერაციების ბუნებასთან, მოცულობასა და სირთულესთან. გეგმა ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის სცენარებს, რომელთა მიმართაც ჯგუფი შეიძლება მოწყვლადი აღმოჩნდეს, მათ შორის სისტემისა და ტექნოლოგიების გათიშვასაც.

ჯგუფი მუდმივად ახორციელებს საქმიანობაზე ზემოქმედების ანალიზის, ტესტირების, ტრენინგისა და ცნობიერების ამაღლების, ასევე, კომუნიკაციისა და კრიზისის მართვის პროგრამებს და ამზადებს აღდგენის სტრატეგიებს. ჩვენ ვადგენთ და კიდევ ერთხელ ვამოწმებთ საქმიანობის კრიტიკულ ოპერაციებს, ციკლურად ან საჭიროების მიხედვით, ძირითად შიდა და გარე დამოკიდებულებებს და შესაბამის მდგრადობის დონეებს. დადგენილი ფეთქებადსაშიში, დამანგრეველი სცენარები ფასდება მათი ფინანსური, საოპერაციო და რეპუტაციასთან დაკავშირებული ზემოქმედების მიხედვით, ხოლო გამომდინარე რისკის შეფასება წარმოადგენს აღდგენის მიზნებისა და ზომების, საბოლოოდ კი აღდგენის გეგმის საფუძველს.

**მესამე პირებთან ურთიერთობა:** ჯგუფის პოლიტიკა უზრუნველყოფს მესამე პირებთან ურთიერთობის ინიციატივების მიმართ დადგენილი პროცესის დაცვას, დეტალური შემოწმების, რისკის შეფასებისა და არსებული გარანტიების ჩათვლით. ქვემოთ მოყვანილი საკითხები ხელს უწყობენ მესამე პირებთან ურთიერთობის რისკის ეფექტიან მონიტორინგსა და მართვას:

- სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრავენ, არის თუ არა საჭირო აუთსორსინგი და როგორ შეიძლება საქმიანობათა გაცემა აუთსორსინგზე;
- დეტალური შემოწმება მომსახურების პოტენციური მომწოდებლების შერჩევისას; და პროცესები დაკავშირებული რისკების, მათ შორის მომსახურების მომწოდებლის ფინანსური მდგომარეობის, დადგენის, მართვისა და მონიტორინგისათვის;
- სანდო კონტრაქტების გაფორმება აუთსორსინგთან დაკავშირებით.

**ცნობიერების ამაღლების პროგრამები:** ჩვენ ვატარებთ ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს, რათა ჩვენმა თანამშრომლებმა შეძლონ არსებული და პოტენციური რისკების ამოცნობა. ამგვარი ტრენინგი სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის.

ბანკის შიდა აუდიტი, რისკებზე დაფუძნებულ მიდგომაზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს რისკის მართვის ადეკვატურობისა და ეფექტიანობის, შიდა კონტროლის საშუალებებისა და სისტემების მუშაობის გარანტიას. საოპერაციო რისკები ყოველკვარტალურად განიხილება რისკების კომიტეტის საბჭოს მიერ.

## ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული რისკი

ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული რისკი არის ჯგუფის სტრატეგიული მიზნების შეუსრულებლობის, ოპერაციული შეფერხების, ფინანსური ზარალის და/ან რეპუტაციის დაზიანების რისკი ადამიანური კაპიტალის არაეფექტიანი მართვის შედეგად.

ჩვენ წინაშე შემდეგი ძირითადი რისკები არსებობს:

- თანამშრომლების დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება, მათ შორის, პერსპექტიული საკადრო რეზერვის იდენტიფიცირება და სწორი ადამიანებისთვის სწორი როლების მინიჭება;
- არაეფექტიანი ხელმძღვანელობა, სუსტი შესრულება და არასათანადო ანაზღაურების პოლიტიკა;
- თანამშრომლებთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნის შეუსრულებლობა;
- ადამიანებთან დაკავშირებული იმგვარი პროცესების ეფექტიანად შემუშავების უუნარობა, რომლებიც უზრუნველყოფენ თანაბარ შესაძლებლობებსა და მრავალფეროვნებას ჯგუფში.

### ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

თანამშრომლები ჩვენი ბიზნესის წარმატების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია. იმისათვის, რომ მათ შეძლონ სწრაფად სწავლა და ინოვაციების მიღება, ორგანიზაციები გლობალურად მეტ ყურადღებას უთმობენ კადრების მართვის სათანადო შესაძლებლობების ჩამოყალიბებას, მათ შორის მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობების შექმნას, საუკეთესო თანამშრომლების დაქირავებას, განვითარებას და შენარჩუნებას და სწორი ადამიანებისთვის სწორი როლების მინიჭებას. დემოგრაფიულმა ცვლილებებმა ასევე ცხადყო, რომ საჭიროა უფრო ღრმად დაფიქრება იმის თაობაზე, თუ რა სახის გამოცდილებას აფასებენ თანამშრომლები და როგორ შეიძლება მათი ღირებულებებისა და მოტივაციების ორგანიზაციის ღირებულებებსა და ამოცანებთან საუკეთესო გზით დაკავშირება.

ორგანიზაციის მასშტაბით ბიზნეს პროცესებში დიგიტალიზაციის ზრდამ და მონაცემთა გაფართოებული ანალიტიკისა და ხელოვნური ინტელექტის მნიშვნელობის მიმართ მზარდმა ყურადღებამ ჩვენს ერთ-ერთ პრიორიტეტად აქცია საინფორმაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული და მონაცემთა მეცნიერების პროფესიონალების დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება. გლობალიზაცია და პანდემიით დაჩქარებული სამუშაო პროცესების შაბლონების ცვლილება კიდევ უფრო რთულს ხდის ამ სფეროებში საუკეთესო კადრების დაქირავებას კვალიფიციური კანდიდატების სიმცირისა და სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობის გამო, როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე.

### შემსუბუქება

ჯგუფი ახორციელებს შემსუბუქების შემდეგ ზომებს ადამიანური კაპიტალის რისკებთან დაკავშირებით:

- ჩვენ ვიზიდავთ ახალგაზრდა კადრებს დასაქმების ბაზრობებში მონაწილეობის და სტაჟირებისა და სტუდენტების განვითარების ფართო პროგრამების განხორციელების მეშვეობით. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ წამყვან ქართულ ბიზნეს-სკოლებთან და უნივერსიტეტებთან სხვადასხვა სფეროში საუკეთესო კადრების მოსაზიდად. ჩვენ გვაქვს სტუდენტების განვითარების პროგრამის Leaderator, რომელიც ნიჭიერ სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, ჰქონდეთ ბანკის 360° ხედვა, იმუშაონ რეალურ პროექტებზე და მიიღონ ქოუჩინგი და მხარდაჭერა ბანკის აღმასრულებელი თანამშრომლებისგან და საშუალო რგოლის მენეჯერებისგან. პროგრამა ასევე გვეხმარება საინფორმაციო ტექნოლოგიების, ციფრული და მონაცემთა მეცნიერებისა და ანალიტიკის სტუდენტების მოზიდვაში, რადგან ის იძლევა მაღალი კვალიფიკაციის მიღებისა და სწრაფი პროფესიული ზრდის გარანტიას საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო ტექნიკურ გუნდში.

- ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს თანამშრომლებს სწავლის შესაძლებლობებს, რათა გააუმჯობესონ თავიანთი კომპეტენციები და უნარები კარიერის განმავლობაში.

- ჩვენ ვთავაზობთ ჩვენს თანამშრომლებს კონკურენტულ ანაზღაურებას და ბენეფიტების პაკეტს და მხარს ვუჭერთ მუშაობა-ცხოვრების ბალანსს. ვაკვირდებით თანამშრომელთა ანაზღაურების ტენდენციებს ფინანსურ

სექტორში შრომის ბაზრის კომპენსაციის კვლევების მეშვეობით. ჩვენი ანაზღაურების სტრუქტურა დაფუძნებულია თანამშრომელთა მუშაობის მიმოხილვებზე, რაც ჩვენი მუდმივი უკუკავშირის პროცესის ნაწილია. ჩვენ ვხვეწთ ჩვენს სამუშაო არქიტექტურსდ და შეფასების სტრუქტურებს სამუშაოს გათანაბრების პროექტის განხორციელებით, რათა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი ანაზღაურების სისტემა და პრაქტიკა უფრო მკაფიო და გამჭვირვალე იყოს თანამშრომლებისთვის, რაც მათ საშუალებას მისცემს, სათანადოდ დაგეგმონ თავიანთი კარიერული წინსვლა.

- ჩვენ გვაქვს ფორუმები და საკომუნიკაციო არხები, რომლებიც საშუალებას იძლევა, რომ თანამშრომელთა მოსაზრებები და შეხედულებები მთელ ორგანიზაციაში იქნეს გაგებული, მაგალითად, გვაქვს აღმასრულებელი დირექტორის ვლოგი სამუშაო ადგილზე (CEO vlog on Workplace) - ეს არის რეგულარული პირდაპირი სესიები თანამშრომლებთან მიმდინარე მოვლენების შესახებ, შეხვედრები „თანამშრომლის ხმა“ (Employee Voice) სამეთვალყურეო საბჭოსთან, სამუშაო კოლექტივის შეხვედრები (Town Hall meetings) და სწრაფი კვარტალური ბიზნეს-მიმოხილვები (QBRs).

- ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ადამიანური რესურსების პოლიტიკა და პრაქტიკა შემუშავდეს და განხორციელდეს ჩვენი ბიზნეს-საქმიანობის მხარდასაჭერად და შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენ რეგულარულად მიმოვიხილავთ ჩვენს პოლიტიკას და პროცედურებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი ასახავს საუკეთესო პრაქტიკას, ორგანიზაციულ ცვლილებებს და საკანონმდებლო მოთხოვნებს. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გვერდი 111, თავი „მდგრადი ბიზნესი“.

- პანდემიის დროს ჩვენ უზრუნველვყავით სამუშაო ადგილის უსაფრთხოება და შემოვიღეთ სრულად დისტანციური და ჰიბრიდული სამუშაოები. ჩვენ დავაარსეთ „ჯანმრთელობის კლუბი“ - ონლაინ მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია, დაეხმაროს თანამშრომლებს ამ რთულ დროს და გაზარდოს ინფორმირებულობა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ასპექტების შესახებ.

- 2022 წელს დავიწყეთ ჰიბრიდული სამუშაო მოწყობის ოფიციალურად დამკვიდრება და ბექ ოფისის თანამშრომლების უმრავლესობას მივეცით საშუალება, მოქნილად შეუთავსონ სახლიდან მუშაობა ოფისში მუშაობას.

- ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს რიგი რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების მეშვეობით, როგორიცაა რეგულარული ჩაღრმავებული ინტერვიუები თითოეულ ცალკეულ თანამშრომელთან, eNPS, ჩართულობის ქულები, შიდა მობილურობა, შენარჩუნება და თანამშრომელთა ბრუნვა. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს რისკების კომიტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის აპეტიტის რაოდენობრივი მაჩვენებლები და ლიმიტები, რომლებსაც რეგულარულად ვაკვირდებით და მათი შესრულება ყოველკვარტალურად ეცნობება რისკების კომიტეტს.

კომერციული ბანკების ეთიკის კოდექსთან და პროფესიული ქცევის სტანდარტებთან დაკავშირებული ეთიკური პრინციპებისა და სტანდარტების ყველა დარღვევა კვარტალურად ეცნობება ბანკის აუდიტის კომიტეტს.

# COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რისკი

COVID-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რისკი არის საქართველოში არსებული პანდემიის რისკი, რომელიც გავლენას ახდენს ცხოვრებასა და საარსებო წყაროებზე, რაც გამოიწვევს შემდგომ შეზღუდვებს და ნეგატიურ ზემოქმედებას ჩვენს მომხმარებლებზე, თანამშრომლებზე და ზოგადად ბიზნესის შედეგებზე.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

COVID-19-ის გლობალური აფეთქება, რომელიც სრულმასშტაბიან პანდემიად 2020 წლის დასაწყისში გამოცადდა, ჯერ კიდევ გრძელდება. COVID-19-ის ახალმა ვარიანტებმა და ვაქცინაციის დაბალმა მაჩვენებლებმა შეიძლება შეაფერხოს აღდგენა პოტენციური შეზღუდვებისა და გარე მოთხოვნის შემცირების გამო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დივერსიფიცირებულია როგორც სექტორების, ისე სავაჭრო პარტნიორების თვალსაზრისით, საქართველოში სტუმარ-მასპინძლობის სექტორზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედებაა მოსალოდნელი, თუ პანდემია გახანგრძლივდება. ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის სხვა სფეროებზეც, როგორიცაა უძრავი ქონების სექტორი.

საქართველოში ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად შენელდა 2020 წელს COVID-19-ის პანდემიის ფონზე, რასაც შედეგად 2020 წელს რეალური მშპ-ის 6.8%-იანი კლება მოჰყვა. მთავრობამ სწრაფი რეაგირება მოახდინა ამ ვითარებაზე ბიზნესისა და შინამეურნეობების მხარდაჭერის ღონისძიებების შემოღებით. აღნიშნულ ღონისძიებებს შორის იყო ჯანდაცვის ხარჯების დაფინანსება, ფულადი დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის და მცირე და საშუალო ბიზნესის და საწარმოების მხარდაჭერა იმ სექტორებში, რომლებმაც ყველაზე მძიმე დარტყმა განიცადეს.

2022 წლის პირველ ნახევარში საქართველოში COVID-19-ის შემთხვევები მკვეთრად შემცირდა და შეზღუდვების უმეტესობა სრულად მოიხსნა. ნიღბის ტარების ვალდებულება მხოლოდ ჯანდაცვის დაწესებულებებში რჩება. ამჟამად საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 45.5% სრულად არის აცრილი.

## შემსუბუქება

ჯგუფმა დანერგა მედეგობის პროტოკოლები და ყოვლისმომცველი ბიზნესის უწყვეტობის გეგმა (BCP), რომელიც მიზნად ისახავს ჩვენს ბიზნესსა და საზოგადოებაზე პანდემიის უარყოფითი გავლენის შერბილებას. ბიზნესის უწყვეტობის გეგმის შემუშავება 2020 წლის იანვრის ბოლოს დავიწყეთ, როდესაც გაჩნდა ცნობები COVID-19-ის გავრცელების შესახებ, რათა საჭიროების შემთხვევაში შეგვძლებოდა ჩვენი ოპერაციების სწრაფად ადაპტირება და ჩვენი თანამშრომლებისა და კლიენტების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ჩვენი ბიზნესის უწყვეტობის გეგმა ეფუძნებოდა ოთხ მთავარ საკითხს: ოპერაციული უწყვეტობა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სისტემის და თემების ხელშეწყობა, მნიშვნელოვანი ლიკვიდურობა და კაპიტალის სიძლიერის შენარჩუნება.

მიმდინარე COVID-19 პანდემიის დროს გაურკვევლობებზე უკეთესად რეაგირების და ძლიერი ოპერაციული მდგრადობის შენარჩუნების მიზნით ჩვენ ასევე შევიმუშავეთ აღდგენის გეგმა, რომელიც მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ და მიზანმიმართულ ქმედებებს, რათა შეგვეძლოს გავუმკლავდეთ მძიმე ფინანსურ სტრესს. გეგმა მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის, ლიკვიდურობის, მომგებიანობის, მაკროეკონომიკური და აქტივების ხარისხის ადრეული გაფრთხილების ინდიკატორებს, რათა უზრუნველყოს სხვადასხვა რისკის მატერიალიზაციის შედეგად შესაძლო ფინანსური გაუარესების დროული და ქმედითი გამოვლენა.

ჩვენ ვაგრძელებთ COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებულ მოვლენებზე დაკვირვებას და ჩვენს ბიზნესზე მათი გავლენის შეფასებას. ჩვენ გავაგრძელებთ აუცილებელ ქმედებებს წარმოქმნილი გარემოებების პროაქტიულად სამართავად.

# მოდელის რისკი

მოდელის რისკი წარმოადგენს პოტენციური უარყოფითი შედეგების რისკს, რაც წარმოიშვება გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც მოდელის შედეგებზეა დამყარებული და შესაძლოა მცდარი იყოს არასწორი დაშვებების, შეუსაბამო ცვლადების, სუსტი ალგორითმების და უხარისხო მონაცემების გამოყენების გამო. ჩვენ ვაღიარებთ მოდელის რისკის მართვის გამართული პროცესების და კონტროლის მნიშვნელობას ზემოაღნიშნული რისკების ეფექტიანად მართვის საქმეში.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

რაც უფრო მეტად კომპლექსური და ციფრული ხდება საბანკო ოპერაციები, მით უფრო მეტად მნიშვნელოვანია მოდელები გადაწყვეტილების მიღებისთვის. სტატისტიკური, მანქანური სწავლების მოდელების და ხელოვნური ინტელექტის მზარდი გამოყენება გვეხმარება, გავაუმჯობესოთ გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მოვიპოვოთ უპირატესობა კონკურენტული ბაზრის ანალიზში. საბანკო ოპერაციებში მოდელის გამოყენების სიკეთით სარგებლობისთვის უმნიშვნელოვანესია მოდელის რისკის შეფასების საიმედო ჩარჩოს ქონა და დადასტურების პრაქტიკა. ბანკი იყენებს მონაცემთა 100-ზე მეტ მოდელს, რომლებიც მოიცავს ბიზნეს-პროცესებს, მათ შორის დაკრედიტებას, გაყიდვებს, ავტომატიზაციას და მომხმარებლის კმაყოფილებას.

2022 წლის მასში ძალაში შევიდა „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ განახლებული რეგულაცია „მონაცემებზე დაფუძნებული სტატისტიკური, ხელოვნური ინტელექტის და მანქანური სწავლების მოდელების რისკების მართვის“ შესახებ. მარეგულირებელმა ორგანომ დამატებითი მოთხოვნები განსაზღვრა მოდელის განვითარების, დადასტურების, მონიტორინგისა და გამოყენების მიმართულებებით. ყველა რელევანტური (რეგულირების ფარგლებში) ახალი და არსებული მოდელი შესაბამისობაში უნდა იქნეს ამ ახალ მოთხოვნებთან მოყვანილი 2022 წლის ოქტომბრამდე.

## შემსუბუქება

ბანკი აქტიურად აძლიერებს მოდელის რისკის მართვის საკუთარ ჩარჩოს, რომლის გადახედვა და დახვეწა უწყვეტად მიმდინარებს, რათა ადეკვატურად მოხდეს მოდელის ძირითადი რისკების გათვალისწინება. მოდელის რისკის მართვის შესახებ ბანკის პოლიტიკით დამატებით განსაზღვრულია შემდეგი:

- იმ პირთა როლების და პასუხისმგებლობების სეგრეგაცია, რომლებიც მონაწილეობენ მოდელის განვითარების ციკლში, მათ შორის მოდელის შემუშავების მფლობელობა, დამოუკიდებელი ზედამხედველობა და დამტკიცება; და
- კონტროლი მთავარი მექანიზმები მონაცემთა საიმედოობის, მოდელის განვითარების, დადასტურების, განხორციელების, რეტროსპექტული ტესტირების და მონიტორინგის თვალსაზრისით.

ბანკის დამოუკიდებელი რისკის ფუნქცია ადასტურებს, რომ ყოველი ახალი მოდელი შესაბამისობაშია მარეგულირებელ მოთხოვნებთან იმით, რომ ფოკუსირებულია გამოყენებული ალგორითმების საიმედოობაზე, მოდელის პროგნოზირების უნარსა და კომპლექსურობაზე, ბიზნესის ამოცანებსა და დაშვებებზე და მონაცემთა ხარისხზე. გარდა ამისა, მოდელის ეფექტიანი შესრულების უზრუნველსაყოფად, ბანკმა დანერგა ავტომატური პროცესები მოდელის შესრულების მიმდინარე მონიტორინგისთვის. მოდელის რისკის მნიშვნელობის მიხედვით, ხდება მოდელის შესრულების შესახებ ავტომატური შეტყობინებების გენერირება შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის ციკლურად (ყოველთვიურად, კვარტალურად, საგანგებოდ).

ბანკი ინარჩუნებს მოდელის განვითარების სტრუქტურულ ციკლს, რეკალიბრაციის ჩათვლით. ყველა ახალი მოდელი ან არსებულ მოდელში ცვლილება დამტკიცებული უნდა იქნეს მთავარი რისკის ოფიცრის მიერ, რათა მოხდეს მოდელის შემდგომი დანერგვა და გამოყენება. მოდელთან დაკავშირებული საკითხები რეგულარულად ეცნობება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო ბანკის ზედა დონის მენეჯმენტი საქმის კურსშია მოდელის ძირითადი რისკების შესახებ.

# კლიმატთან დაკავშირებული რისკი

კლიმატთან დაკავშირებული რისკი არის ფინანსური ზარალის და/ან ჯგუფის რეპუტაციის დაზიანების რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას დაბალ ნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად და, ასევე, ფაქტიური ფიზიკური ზიანის გამო, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მწვავე და ქრონიკული ამინდების შედეგად კლიმატის ცვლილებების ფონზე. სხვა საკითხებთან ერთად, ადაპტაციამ და ფიზიკურმა რისკებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ჩვენი მომხმარებლების მუშაობის შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე და მათ უნარზე, დაფარონ სესხები.

## ძირითადი ფაქტორები / ტენდენციები

ძირითადი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის ინვესტორები და კრედიტორები, სულ უფრო მეტად ითხოვენ კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული რისკის შეფასებას და სათბურის გაზების ემისიების შესახებ ინფორმაციას. 2021 წლის 1 იანვრიდან ჯგუფის ფაქტობრივ მშობელ კომპანიას - “Bank of Georgia Group PLC“, როგორც გაერთიანებული სამეფოს პრემიუმ სიაში შეყვანილ კომპანიას, მოეთხოვება ინფორმაციის გამჟღავნება კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის (TCFD) რეკომენდაციების შესაბამისად.

2021 წელს საქართველომ დაიწყო თავისი განახლებული ეროვნულად განსაზღვრული წვლილის დოკუმენტი (NDC), გამოაქვეყნა მეოთხე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციის საფუძველზე (მათ შორის განახლებული სათბურის გაზების ინვენტარიზაცია), მიიღო კლიმატის ცვლილების სტრატეგია (2030) და სამოქმედო გეგმა (2021-2023), შეიმუშავა ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული გეგმა (2021-2030) და დაბალი ემისიის გრძელვადიანი სტრატეგია (LT-LEDS). აღნიშნულმა სტრატეგიებმა და მათმა განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები საქართველოს ეკონომიკაში და გაზარდოს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და ადაპტაციის მნიშვნელობა.

ჩვენ ვაღიარებთ კლიმატის ცვლილებას, როგორც განვითარებად რისკს და ვმუშაობთ კლიმატთან დაკავშირებული როგორც ფიზიკური, ასევე ადაპტაციის რისკების ინტეგრირებაზე რისკების მართვის საერთო ჩარჩოში და ბანკის მასშტაბით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში.

## შემსუბუქება

2022 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ჩვენ ვაგრძელებდით კლიმატთან დაკავშირებული რისკების ინტეგრირებას რისკების მართვის ჩარჩოში და ბიზნესის მდგრადობის შეფასებებში. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კლიმატთან დაკავშირებული რისკების შერბილებაზე შემდეგი ნაბიჯებით:

- პროცესის შემუშავება ჩვენი ბიზნეს-კლიენტებისთვის სექტორისა და ადგილმდებარეობისთვის სპეციფიკური კლიმატის რისკების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის მიზნით, რომელიც განხორციელდება სესხის შეფასების დროს ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის პროცესის ფარგლებში;

- შესაბამისი მონაცემების შეგროვება სათბურის გაზებთან ინტენსიური დაკავშირებული კორპორატიული კლიენტებისთვის მე-3 კატეგორიის ფარგლებში დაფინანსებული ემისიების გამოსათვლელად;

- საქართველოს ეკონომიკის გამწვანების შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რაც დაეხმარება ბანკს გაიგოს, სად და როგორ შესთავაზოს მწვანე დაფინანსება და განიხილოს ტრანსფორმაციული შესაძლებლობები კლიენტებთან და კრედიტორებთან;

- ბანკის მასშტაბით კლიმატის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება კორპორატიულ და მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დეპარტამენტებში მომუშავე ბანკირებისა და რისკების მენეჯერებისთვის ტრენინგების ჩატარებით.

ბანკის ოპერაციებში კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მართვის შემდგომი ჩართვის სხვა ინიციატივები მოიცავს გარემოზე და სოციალურ ზემოქმედების კომიტეტის შექმნას, რომელიც შედგება დირექტორთა საბჭოს წევრებისა და ბანკის უფროსი რგოლის ხელმძღვანელებისგან. კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის კლიმატის, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და ზემოქმედების მონიტორინგზე, რომლებიც წარმოიქმნება

ძირითადად ჩვენი საკრედიტო საქმიანობის შედეგად. კომიტეტი წელიწადში ორჯერ აბარებს ანგარიშს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს.

# განცხადება პასუხისმგებლობის შესახებ

ჩვენ, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ვადასტურებთ, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია:

- შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის 34-ე საერთაშორისო სტანდარტის: „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ - შესაბამისად და ასახავს ჯგუფის აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგება-ზარალის ჭეშმარიტ და სამართლიან ხედვას;
- მენეჯმენტის წინამდებარე შუალედური ანგარიში შეიცავს ინფორმაციის სამართლიან მიმოხილვას, რომელსაც ითხოვს „ბანკი-ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცებას შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი (მნიშვნელოვანი მოვლენების მითითება წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში და სხვადასხვა ძირითადი რისკის და გაურკვევლობის აღწერა წლის დარჩენილი ექვსი თვის განმავლობაში); და
- მენეჯმენტის წინამდებარე შუალედური ანგარიში შეიცავს ინფორმაციის სამართლიან მიმოხილვას, რომელსაც ითხოვს „ბანკი-ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობის და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცებას შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის (გ) ქვეპუნქტი (მოვლენების, ჯგუფის საქმიანობის შედეგებისა და მდგომარეობის, აგრეთვე არსებული ძირითადი რისკების გამჟღავნება და აღწერა).

ჯგუფის ფინანსური და ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზების და ყველა სხვა არსებული ინფორმაციის და მოვლენებზე შესაძლო შედეგების ან პასუხების გათვალისწინების შემდეგ, სამეთვალყურეო საბჭო დარწმუნებულია, რომ ჯგუფს აქვს ადეკვატური რესურსები ოპერატიული არსებობის გასაგრძელებლად ახლო მომავალში და, შესაბამისად, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, მიიღონ უწყვეტი საქმიანობის პრინციპი, როგორც მენეჯმენტის წინამდებარე შუალედური ანგარიშის მომზადების საფუძველი.

ხელმოწერილი და დამოწმებულია დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს სახელით:

**მელ კარვილი**
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

**არჩილ გაჩეჩილაძე**
გენერალური დირექტორი

2022 წლის 30 აგვისტო

# განცხადება პასუხისმგებლობის შესახებ

ჩვენ, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, ვადასტურებთ, რომ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია:

- შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის 34-ე საერთაშორისო სტანდარტის: „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ - შესაბამისად და ასახავს ჯგუფის აქტივების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და მოგება-ზარალის ჭეშმარიტ და სამართლიან ხედვას;
- მენეჯმენტის წინამდებარე შუალედური ანგარიში შეიცავს ინფორმაციის სამართლიან მიმოხილვას, რომელსაც ითხოვს „ბანკი-ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჟვირვალობის და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცებას შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი (მნიშვნელოვანი მოვლენების მითითება წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში და სხვადასხვა ძირითადი რისკის და გაურკვევლობის აღწერა წლის დარჩენილი ექვსი თვის განმავლობაში); და
- მენეჯმენტის წინამდებარე შუალედური ანგარიში შეიცავს ინფორმაციის სამართლიან მიმოხილვას, რომელსაც ითხოვს „ბანკი-ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჟვირვალობის და ემიტენტისთვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცებას შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის (გ) ქვეპუნქტი (მოვლენების, ჯგუფის საქმიანობის შედეგებისა და მდგომარეობის, აგრეთვე არსებული ძირითადი რისკების გამჟღავნება და აღწერა).

ჯგუფის ფინანსური და ფულადი სახსრების ნაკადების პროგნოზების და ყველა სხვა არსებული ინფორმაციის და მოვლენებზე შესაძლო შედეგების ან პასუხების გათვალისწინების შემდეგ, სამეთვალყურეო საბჭო დარწმუნებულია, რომ ჯგუფს აქვს ადეკვატური რესურსები ოპერატიული არსებობის გასაგრძელებლად ახლო მომავალში და, შესაბამისად, დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, მიიღონ უწყვეტი საქმიანობის პრინციპი, როგორც მენეჯმენტის წინამდებარე შუალედური ანგარიშის მომზადების საფუძველი.

ხელმოწერილი და დამოწმებულია დირექტორთა საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს სახელით:

**მელ კარვილი**
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

**არჩილ გაჩეჩილაძე**
გენერალური დირექტორი

2022 წლის 30 აგვისტო

# გლოსარიუმი

- **შესრულების ალტერნატიული ღონისძიებები (APM)**. ამ ანგარიშში მენეჯმენტი იყენებს სხვადასხვა APM-ს, რაც, მისი აზრით, დამატებით სასარგებლო ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური საქმიანობის გასაგებად. ეს APM-ები არ არის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით და შეიძლება პირდაპირ არ ედრებოდეს სხვა კომპანიებს, რომლებიც მსგავს ზომებს იყენებენ. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ ეს APM-ები უზრუნველყოფს ჩვენი ფინანსური მაჩვენებლების საუკეთესო წარმოდგენას, რადგან ეს ზომები გამოიყენება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო მუშაობის შესაფასებლად და ყოველდღიური საოპერაციო გადაწყვეტილებების მისაღებად.
- **საბაზო მოგება ერთ აქციაზე.** მოგება იმ პერიოდისთვის, რომელიც უკავშირდება ჯგუფის აქციონერებს, გაყოფილი იმავე წლის განმავლობაში მიმოქცევადი ჩვეულებრივი აქციების შეწონილ რაოდენობაზე.
- **ერთი აქციის საბალანსო ღირებულება.** მთლიანი კაპიტალი, რომელიც უკავშირდება ჯგუფის აქციონერებს, გაყოფილი პერიოდის ბოლოს მიმოქცევად ჩვეულებრივ აქციებზე; პერიოდის ბოლოს მიმოქცევადი ჩვეულებრივი აქციები ტოლია პერიოდის ბოლოს ჩვეულებრივი აქციების რაოდენობას გამოკლებული პერიოდის ბოლოს სახაზინო აქციები.
- **საკრედიტო რისკის ხარჯი.** პერიოდის მოსალოდნელი ზარალი კლიენტებისთვის გაცემულ სესხებსა და ფინანსური ლიზინგის დებიტორულ დავალიანებაზე, გაყოფილი კლიენტების ყოველთვიურ საშუალო მთლიან სესხებზე და იმავე პერიოდის ფინანსური ლიზინგის დებიტორულ დავალიანებაზე.
- **დეპოზიტების ღირებულება.** საპროცენტო ხარჯი პერიოდის კლიენტის დეპოზიტებზე და თამასუქებზე გაყოფილი კლიენტის საშუალო თვიურ დეპოზიტებზე და თამასუქებზე.
- **რესურსების მოზიდვის ხარჯი.** პერიოდის საპროცენტო ხარჯები გაყოფილი ყოველთვიურ საშუალო საპროცენტო ვალდებულებებზე.
- **ხარჯების და შემოსავლების თანაფარდობა.** საოპერაციო ხარჯები გაყოფილი საოპერაციო შემოსავლებზე.
- **საპროცენტო ვალდებულებები**. დავალიანება საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტთა დეპოზიტები და თამასუქები და ემიტირებული ფასიანი ქაღალდები.
- **საპროცენტო შემოსავლის მომტანი აქტივები (ფულადი სახსრების გარდა)**. საკრედიტო ინსტიტუტებიდან, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან (კორპორაციული აქციების გამოკლებით) მისაღები თანხები და კლიენტებზე გაცემული წმინდა სესხები და დებიტორული დავალიანება ფინანსური ლიზინგიდან.
- **ფინანსური ლევერიჯი (ჯერადი).** მთლიანი ვალდებულებები გაყოფილი მთლიან კაპიტალზე.
- **ლიკვიდური აქტივები.** ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები, საკრედიტო ინსტიტუტებიდან და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მისაღები თანხები.
- **მოკლევადიანი ლიკვიდურობის კოეფიციენტი (LCR).** მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (განისაზღვრება სებ-ის მიერ) გაყოფილი ფულადი სახსრების გადინებაზე მომდევნო 30 დღის განმავლობაში (სებ-ის განმარტებით).
- **სესხის სარგებელი**. საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემული სესხებიდან და ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებიდან გაყოფილი კლიენტებზე გაცემულ ყოველთვიურ საშუალო მთლიან სესხებსა და ფინანსური ლიზინგის დებიტორულ დავალიანებაზე.
- **საქართველოს ეროვნული ბანკის (Basel III) I დონის საბაზო კაპიტალის (CET1) ადეკვატურობის კოეფიციენტი.** I დონის საბაზო კაპიტალი გაყოფილი რისკით შეწონილ აქტივებზე, როცა ორივე გამოანგარიშებულია სებ-ის

ინსტრუქციების შესაბამისად.

- **საქართველოს ეროვნული ბანკის (Basel III) I დონის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი.** I დონის კაპიტალი გაყოფილი რისკით შეწონილ აქტივებზე, როცა ორივე გამოანგარიშებულია სებ-ის ინსტრუქციების შესაბამისად.
- **საქართველოს ეროვნული ბანკის (Basel III) ჯამური საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი.** მთლიანი მარეგულირებელი კაპიტალი გაყოფილი მთლიან რისკით შეწონილ აქტივებზე, როცა ორივე გამოითვლება სებ-ის ინსტრუქციების შესაბამისად.
- **წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM).** პერიოდის წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაყოფილი ყოველთვიური საშუალო საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებზე, იმავე პერიოდის ნაღდი ფულის გამოკლებით.
- **წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)**. სტაბილური დაფინანსების არსებული ოდენობა (სებ-ის განმარტებით) გაყოფილი სტაბილური დაფინანსების საჭირო ოდენობაზე (სებ-ის განმარტებით).
- **უმოქმედო სესხები (NPL).** 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული სესხების ძირითადი თანხა და პროცენტი და ნებისმიერი დამატებითი პოტენციური ზარალი მენეჯმენტის შეფასებით.
- **უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი.** სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის უზრუნველყოფა და ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანება გაყოფილი უმოქმედო სესხებზე.
- **უმოქმედო სესხების დაფარვის კოეფიციენტი, კორექტირებული უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებით**. სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის უზრუნველყოფა და ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანება გაყოფილი უმოქმედო სესხებზე (უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულება ემატება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის უზრუნველყოფას).
- **საოპერაციო ლევერიჯი**. საოპერაციო შემოსავლის პროცენტული ცვლილება მინუს საოპერაციო ხარჯების პროცენტული ცვლილება.
- **საშუალო აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი (ROAA)**. პერიოდის მოგება გაყოფილი იმავე პერიოდის ყოველთვიურ საშუალო მთლიან აქტივებზე.
- **საშუალო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტი (ROAE).** მოგება იმ პერიოდისათვის, რომელიც ჯგუფის აქციონერებს უკავშირდება, გაყოფილი ჯგუფის აქციონერებთან დაკავშირებულ ყოველთვიურ საშუალო კაპიტალზე იმავე პერიოდისათვის.
- **NMF** - არ არის მნიშვნელოვანი.

# სს „საქართველოს ბანკი და შვილობილი კომპანიები“
# შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 30 ივნისი*

შინაარსი

დამოუკიდებელი მიმოხილვის ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება. ..... 1
მოგება-ზარალის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება.....2
სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება. ..... 3
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება. .. 4
ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება ..... 5

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა..... 7
2. მომზადების საფუძველი ..... 8
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა..... 9
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... 11
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ..... 14
6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები..... 17
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ..... 17
8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები ..... 18
9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები.... 19
10. გადასახადები..... 34
11. სხვა აქტივები და სხვა ვალდებულებები..... 34
12. კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები..... 36
13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე..... 37
14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები..... 38
15. პირობითი ვალდებულებები ..... 39
16. საკუთარი კაპიტალი..... 40
17. წმინდა საპროცენტო შემოსავალი..... 41
18. წმინდა საკომისიო შემოსავალი..... 42
19. მოსალოდნელი საკრედიტო და გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებსა და ანარიცხებზე43
20. რისკის მართვა..... 44
21. სამართლიანი ღირებულების შეფასება..... 45
22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი..... 49
23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები..... 51
24. კაპიტალის ადეკვატურობა..... 52

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 005, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

Building a better working world

# შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ანგარიში

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება-ზარალის შემოკლებული შეუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და შერჩეული გამარტებითი შენიშვნებისგან.
ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბასს (IAS) 34-ის *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“* მიხედვით. ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვითი შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## მიმოხილვითი შემოწმების მასშტაბი

შემოწმებას წარვმართავდით მიმოხილვითი შემოწმების ჩატარების 2410-ე საერთაშორისო სტანდარტის *“საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვითი შემოწმება“* შესაბამისად. შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება ძირითადად გულისხმობს საფინანსო და ბუღალტრულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვას და ანალიტიკური თუ სხვა მიმოხილვითი პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვითი შემოწმება თავისი მასშტაბით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე გაცილებით უფრო მცირეა და ამიტომ იგი არ გვაძლევს საშუალებას, მოვიპოვოთ იმის რწმუნება, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა ის არსებითი საკითხი, რომლებიც აუდიტის პროცესში ვლინდება ხოლმე. შესაბამისად, აუდიტორულ მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 005, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

Building a better working world

## დასკვნა

მიმოხილვითი შემოწმების პროცესში არ აღმოგვიჩენია მიზეზები, რომლებიც, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ბასს 34-ის, *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“*, შესაბამისად მომზადებაში ეჭვის შეტანის საფუძველს მოგვცემდა.

რუსლან ხოროშვილი
შპს „იუაის“ სახელით

2022 წლის 29 აგვისტო

EY LLC
Kote Abkhazi Street, 44
Tbilisi, 0105, Georgia
Tel: +995 (32) 215 8811
Fax: +995 (32) 215 8822
www.ey.com/ge

შპს იუაი
საქართველო, 0105 თბილისი
კოტე აფხაზის ქუჩა 44
ტელ: +995 (32) 215 8811
ფაქსი: +995 (32) 215 8822

# შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვის ანგარიში

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკის“ და მისი შვილობილი კომპანიების თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით მომზადებული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება-ზარალის შემოკლებული შეუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ამავე თარიღით დამთავრებული ექვსთვიანი პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, და შერჩეული გამარტებითი შენიშვნებისგან.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე ბასს (IAS) 34-ის *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“* მიხედვით. ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული მიმოხილვითი შემოწმების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

## მიმოხილვითი შემოწმების მასშტაბი

შემოწმებას წარვმართავდით მიმოხილვითი შემოწმების ჩატარების 2410-ე საერთაშორისო სტანდარტის *“საწარმოს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ ჩატარებული შუალედური ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვითი შემოწმება“* შესაბამისად. შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმოხილვითი შემოწმება ძირითადად გულისხმობს საფინანსო და ბუღალტრულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირების გამოკითხვას და ანალიტიკური თუ სხვა მიმოხილვითი პროცედურების ჩატარებას. მიმოხილვითი შემოწმება თავისი მასშტაბით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ჩატარებულ აუდიტორულ შემოწმებაზე გაცილებით უფრო მცირეა და ამიტომ იგი არ გვაძლევს საშუალებას, მოვიპოვოთ იმის რწმუნება, რომ ჩვენთვის ცნობილი გახდება ყველა ის არსებითი საკითხი, რომლებიც აუდიტის პროცესში ვლინდება ხოლმე. შესაბამისად, აუდიტორულ მოსაზრებას არ გამოვთქვამთ.

Building a better working world

## დასკვნა

მიმოხილვითი შემოწმების პროცესში არ აღმოგვიჩენია მიზეზები, რომლებიც, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, თანდართული შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ბასს 34-ის, *„შუალედური ფინანსური ანგარიშგება“*, შესაბამისად მომზადებაში ეჭვის შეტანის საფუძველს მოგვცემდა.

რუსლან ხოროშვილი
შპს „იუაის“ სახელით

2022 წლის 29 აგვისტო

# ფინანსური მდგომარეობის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნები | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 6 | 2,762,427 | 1,494,452 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 7 | 1,751,791 | 1,917,939 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 8 | 3,195,007 | 2,563,961 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | 9 | 16,269,360 | 15,998,166 |
| დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები | | 17,947 | 23,432 |
| გადახდილი ავანსები | | 65,240 | 58,160 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | | 5,414 | 6,243 |
| აქტივის გამოყენების უფლება | | 85,078 | 77,676 |
| საინვესტიციო ქონება | | 193,173 | 231,707 |
| ძირითადი საშუალებები | | 352,245 | 343,025 |
| გუდვილი | | 33,453 | 33,453 |
| არამატერიალური აქტივები | | 126,125 | 124,775 |
| მოგების გადასახადი აქტივები | 10 | 816 | 292 |
| სხვა აქტივები | 11 | 345,054 | 241,200 |
| გასაყიდად გამიზნული აქტივები | | 43,137 | 46,731 |
| **სულ აქტივები** | | **25,246,267** | **23,161,212** |
| **ვალდებულებები** | | | |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | 12 | 15,169,232 | 14,081,438 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 13 | 4,926,836 | 4,118,462 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 14 | 1,305,584 | 1,460,479 |
| საიჯარო ვალდებულებები | | 89,416 | 85,098 |
| დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი | | 76,019 | 76,600 |
| მოგების გადასახადის ვალდებულებები | 10 | 50,420 | 110,868 |
| სხვა ვალდებულებები | 11 | 325,451 | 177,044 |
| **სულ ვალდებულებები** | | **21,942,958** | **20,109,989** |
| **საკუთარი კაპიტალი** | 16 | | |
| სააქციო კაპიტალი | | 27,994 | 27,994 |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი | | 172,215 | 180,969 |
| გამოსყიდული აქციები | | (10) | (10) |
| სხვა რეზერვები | | (68,205) | (24,070) |
| გაუნაწილებელი მოგება | | 3,171,315 | 2,866,340 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **3,303,309** | **3,051,223** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **25,246,267** | **23,161,212** |

**ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:**

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

მელ კარვილი — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

29 აგვისტო, 2022 წ.

*7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

# ფინანსური მდგომარეობის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნები | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 6 | 2,762,427 | 1,494,452 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 7 | 1,751,791 | 1,917,939 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 8 | 3,195,007 | 2,563,961 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | 9 | 16,269,360 | 15,998,166 |
| დებიტორული დავალიანება და სხვა სესხები | | 17,947 | 23,432 |
| გადახდილი ავანსები | | 65,240 | 58,160 |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები | | 5,414 | 6,243 |
| აქტივის გამოყენების უფლება | | 85,078 | 77,676 |
| საინვესტიციო ქონება | | 193,173 | 231,707 |
| ძირითადი საშუალებები | | 352,245 | 343,025 |
| გუდვილი | | 33,453 | 33,453 |
| არამატერიალური აქტივები | | 126,125 | 124,775 |
| მოგების გადასახადი აქტივები | 10 | 816 | 292 |
| სხვა აქტივები | 11 | 345,054 | 241,200 |
| გასაყიდად გამიზნული აქტივები | | 43,137 | 46,731 |
| **სულ აქტივები** | | **25,246,267** | **23,161,212** |
| **ვალდებულებები** | | | |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | 12 | 15,169,232 | 14,081,438 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 13 | 4,926,836 | 4,118,462 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 14 | 1,305,584 | 1,460,479 |
| საიჯარო ვალდებულებები | | 89,416 | 85,098 |
| დარიცხვები და გადავადებული შემოსავალი | | 76,019 | 76,600 |
| მოგების გადასახადის ვალდებულებები | 10 | 50,420 | 110,868 |
| სხვა ვალდებულებები | 11 | 325,451 | 177,044 |
| **სულ ვალდებულებები** | | **21,942,958** | **20,109,989** |
| **საკუთარი კაპიტალი** | 16 | | |
| საარქიო კაპიტალი | | 27,994 | 27,994 |
| დამატებით შეტანილი კაპიტალი | | 172,215 | 180,969 |
| გამოსყიდული აქციები | | (10) | (10) |
| სხვა რეზერვები | | (68,205) | (24,070) |
| გაუნაწილებელი მოგება | | 3,171,315 | 2,866,340 |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **3,303,309** | **3,051,223** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | **25,246,267** | **23,161,212** |

**ხელმოწერილია და წებადართულია გამოსაცემად დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ:**

არჩილ გაჩეჩილაძე — გენერალური დირექტორი

სულხან გვალია — ფინანსური დირექტორი

მელ კარვილი — სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

29 აგვისტო, 2022 წ.

*7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## მოგება-ზარალის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნები | ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული | |
|---|---|---|---|
| | | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი | | 1,054,056 | 848,684 |
| სხვა საპროცენტო შემოსავალი | | 11,405 | 14,143 |
| **საპროცენტო შემოსავალი** | | **1,065,461** | **862,827** |
| საპროცენტო ხარჯი | | (509,999) | (421,558) |
| ანაბრის დაზღვევის საკომისიო | | (8,301) | (7,163) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 17 | **547,161** | **434,106** |
| მიღებული გასამრჯელო და საკომისიო | | 237,468 | 168,949 |
| საკომისიო ხარჯი | | (121,341) | (78,361) |
| **მიღებული გასამრჯელო და საკომისიო, წმინდა** | 18 | **116,127** | **90,588** |
| წმინდა სავალუტო შემოსულობა | | 188,823 | 40,505 |
| წმინდა სხვა შემოსავალი | | 5,269 | 49,583 |
| **საოპერაციო შემოსავალი** | | **857,380** | **614,782** |
| ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | | (158,132) | (115,896) |
| ადმინისტრაციული ხარჯები | | (65,467) | (48,604) |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება | | (46,060) | (40,415) |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | | (2,411) | (1,588) |
| **საოპერაციო დანახარჯები** | | **(272,070)** | **(206,503)** |
| მოგება მეკავშირე საწარმოებიდან | | 376 | (4,132) |
| **საოპერაციო შემოსავალი რისკის ხარჯამდე** | | **585,686** | **404,147** |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე | 19 | (54,317) | (4,247) |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე | 19 | (2,180) | (1,614) |
| სხვა მოსალოდნელი საკრედიტო (ზარალი) / ამოღება | 19 | (5,204) | 11,733 |
| სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვის ხარჯი და | | (5,189) | (5,053) |
| **რისკის ღირებულება** | | **(66,890)** | **819** |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე** | | **518,796** | **404,966** |
| წმინდა არარეგულარული მუხლები | | (29) | (417) |
| **მოგება გადასახადით დაბეგვრამდე** | | **518,767** | **404,549** |
| მოგების გადასახადის სარგებელი (ხარჯი) | 10 | (57,604) | (34,077) |
| **პერიოდის მოგება** | | **461,163** | **370,472** |
| **საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე** | 16 | 16.4796 | 13.2388 |

*7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

# სრული შემოსავლის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნები | ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული | |
|---|---|---|---|
| | | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* |
| **პერიოდის მოგება** | | **461,163** | **370,472** |
| **სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი** | | | |
| *სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდში რეკლასიფიცირდება მოგების ან ზარალის მუხლში:* | | | |
| – სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციების სამართლიანი ღირებულების წმინდა ცვლილება, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით | 8 | (40,615) | (32,493) |
| – რეალიზებული შემოსულობა ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით | | (330) | (25,338) |
| – ცვლილება იმ სავალო ფასიან ქაღალდებში ინვესტიციებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და რეკლასიფიცირებული მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში | | 3,006 | (1,134) |
| – ზარალი საკურსო სხვაობებიდან | | (16,950) | (2,738) |
| **წმინდა სხვა სრული (ზარალი) შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირებაც ხდება** | | **(54,889)** | **(61,703)** |
| *სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), რომლის შემდეგ პერიოდზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც არ ხდება:* | | | |
| – წმინდა შემოსავა (ზარალი) ინვესტიციებიდან წილობრივ ინსტრუმენტებში, რომლებიც არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით | | (369) | 1,185 |
| **წმინდა სხვა სრული შემოსავალი (ზარალი), რომლის რეკლასიფიცირება არ ხდება მომდევნო პერიოდების მოგება-ზარალში** | | **(369)** | **1,185** |
| **სხვა სრული შემოსავალი (ზარალი) პერიოდის განმავლობაში, გადასახადის გარეშე** | | **(55,258)** | **(60,518)** |
| **პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი** | | **405,905** | **309,954** |

*7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ათას ლარში)*

| | *სააქციო კაპიტალი* | *დამატებით შეტანილი კაპიტალი* | *გამოსყიდული აქციები* | *სხვა რეზერვები* | *გაუნაწილებელი მოგება* | *სულ კაპიტალი* |
|---|---|---|---|---|---|---|
| **2020 წლის 31 დეკემბერი** | **27,994** | **216,974** | **(10)** | **47,997** | **2,195,345** | **2,488,300** |
| 2021 წლის 31 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება (არააუდიტირებული) | - | - | - | - | 370,472 | 370,472 |
| 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთივანი პერიოდის სხვა სრული შემოსავალი (არააუდიტირებული) | - | - | - | (59,794) | (724) | (60,518) |
| **2021 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)** | **-** | **-** | **-** | **(59,794)** | **369,748** | **309,954** |
| საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდებით | - | 21,678 | - | - | - | 21,678 |
| შენატანები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდების პროგრამის ფარგლებში | - | (39,262) | - | - | - | (39,262) |
| **2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)** | **27,994** | **199,390** | **(10)** | **(11,797)** | **2,565,093** | **2,780,670** |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **27,994** | **180,969** | **(10)** | **(24,070)** | **2,866,340** | **3,051,223** |
| 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მოგება (არააუდიტირებული) | - | - | - | - | 461,163 | 461,163 |
| 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის სხვა სრული შემოსავალი (არააუდიტირებული) | - | - | - | (44,135) | (11,123) | (55,258) |
| **2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი (არააუდიტირებული)** | **-** | **-** | **-** | **(44,135)** | **450,040** | **405,905** |
| საკუთარი კაპიტალის ზრდა წილობრივი გადახდებით | - | 47,680 | - | - | - | 47,680 |
| ბანკის აქციონერებზე გაცემული დივიდენდები (შენიშვნა 16) | - | - | - | - | (145,065) | (145,065) |
| შენატანები წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდების პროგრამის ფარგლებში | - | (56,434) | - | - | - | (56,434) |
| **2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)** | **27,994** | **172,215** | **(10)** | **(68,205)** | **3,171,315** | **3,303,309** |

*7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

# ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნები | ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული | |
|---|---|---|---|
| | | 2022 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული) | 2021 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | | | |
| მიღებული პროცენტი | | 1,021,873 | 874,550 |
| გადახდილი პროცენტი | | (502,728) | (424,814) |
| მიღებული საკომისიო | | 219,821 | 168,984 |
| გადახდილი საკომისიო | | (121,341) | (78,361) |
| წმინდა ფულადი ნაკადები უძრავი ქონებიდან | | 9,115 | 17,650 |
| წმინდა რეალიზებული შემოსულობა უცხოური ვალუტებიდან | | 192,889 | 56,957 |
| მომხმარებლებზე გაცემული ჩამოწერილი სესხების ამოღება | | 55,307 | 33,250 |
| სხვა მიღებული შემოსავალი (გადახდილი ხარჯი) | | 1,594 | 1,480 |
| გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი | | (110,452) | (94,218) |
| გადახდილი ზოგადი, ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები | | (67,996) | (57,290) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე** | | **698,082** | **498,188** |
| *საოპერაციო აქტივების წმინდა (ზრდა) კლება* | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 65,273 | (91,871) |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | | (1,057,475) | (1,040,882) |
| გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები | | (35,233) | (1,715) |
| *საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა (კლება)* | | | |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | | 749,622 | (15,925) |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | | 50,300 | (42,375) |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | | 1,612,570 | 241,662 |
| სხვა ვალდებულებები | | 32,971 | 5,697 |
| **საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე** | | **2,116,110** | **(447,221)** |
| მოგების გადახდილი გადასახადი | | (118,612) | - |
| **საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **1,997,498** | **(447,221)** |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) ფულადი ნაკადები** | | | |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვა (შესყიდვა), წმინდა | | (654,630) | 357,612 |
| შემოსულობა საინვესტიციო ქონების და გასაყიდად გამიზნული აქტივების გაყიდვიდან | | 40,099 | 61,150 |
| შემოსავალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან | | 7,575 | 142 |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შესყიდვა | | (61,864) | (48,377) |
| მიღებული დივიდენდები | | - | 401 |
| **საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები** | | **(668,820)** | **370,928** |

*7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

## ფულადი ნაკადების შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ანგარიშგება

## 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის

*(ათას ლარში)*

| | შენიშვნები | ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული | |
|---|---|---|---|
| | | 2022 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული) | 2021 წლის 30 ივნისი (არაუდიტირებული) |
| **ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები** | | | |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა | | (99,148) | (19,625) |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ძირითადი ნაწილის დაფარვა | | (31,397) | (15,614) |
| ამონაგები დამატებითი პირველადი კაპიტალიდან | | 148,120 | - |
| საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები | | (8,570) | (14,492) |
| შეწატანები წილობრივი გადახდის პროგრამის ფარგლებში | | (56,434) | (60,205) |
| **ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები** | | **(47,429)** | **(109,936)** |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | | (13,230) | (92,790) |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე | | (44) | 15 |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება** | | **1,267,975** | **(279,004)** |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში** | 6 | **1,494,452** | **1,983,188** |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს** | 6 | **2,762,427** | **1,704,184** |

*7-53 გვერდებზე დართული შერჩეული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.*

*(ათას ლარში)*

## 1. ძირითადი საქმიანობა

სს „საქართველოს ბანკი“ 1994 წლის 21 ოქტომბერს დაარსდა როგორც სააქციო საზოგადოება („სს“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“ ან „საქართველოს ცენტრალური ბანკი“) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო ლიცენზიის საფუძველზე.

ბანკი იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გასცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ და აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს. ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საქართველოს ყველა დიდ ქალაქში ბანკის 212 ფილიალი მოქმედებს (2021 წლის 31 დეკემბერი: 211). ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი 0160, გაგარინის ქ. 29. ბანკის საიდენტიფიკაციო ნომერია 204378869.

ბანკი და მისი დანარჩენი შვილობილი კომპანიები, ძირითადად, საქართველოსა და ბელარუსში დაფუძნებული კომპანიების ჯგუფია (შემდგომში „ჯგუფი“). მათი ძირითადი საქმიანობაა საბანკო მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. ეს

ბანკი არის ჯგუფის ძირითადი საოპერაციო ერთეული და მასზე მოდის ჯგუფის საქმიანობის დიდი წილი.

2022 წლის 30 ივნისისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ბიჯეო ჯგუფი“ („სს „ბიჯეო“) ბანკის მთავარი აქციონერი იყო:

| | *შემდეგი თარიღის მდგომარეობით* | |
|---|---|---|
| **აქციონერი** | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
| სს „ბიჯეო ჯგუფი“ | 79.78% | 79.78% |
| საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფი“ | 19.78% | 19.78% |
| სხვა* | 0.44% | 0.44% |
| **სულ** | **100.00%** | **100.00%** |

* საქართველოს საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული აქციები

*(ათას ლარში)*

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდის შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი („ბასს“) 34-ის „შუალედური ფინანსური ანგარიშგება“ შესაბამისად.

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს გაცხადებულ შემოსავალსა და ხარჯზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის საუკეთესო განსჯას შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, ფაქტობრივი შედეგები შეფასებებისგან შეიძლება განსხვავდებოდეს.

დაშვებები და მნიშვნელოვანი შეფასებები, გარდა იმ დაშვებებისა და შეფასებებისა, რომლებიც გაცხადებულია შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, შეესაბამება იმ დაშვებებსა და შეფასებებს, რომელთა მიხედვითაც ჯგუფმა 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა.

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულად არ მოიცავს იმ ინფორმაციას და განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის მოითხოვება, ამიტომ ის ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობითა და ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად უნდა იქნეს წაკითხული, რომელიც ხელმოწერილი და გამოსაშვებად დამტკიცებულია 2022 წლის 14 აპრილს.

ეს შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თითო აქციის ღირებულებების გარდა, რომლებიც წარმოდგენილია ქართულ ლარში, და თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ არის აუდიტირებული; ჩაუტარდა მიმოხილვითი შემოწმება აუდიტორების მიერ და მათი მოსაზრება შეტანილია წინამდებარე ანგარიშში.

### ფუნქციონირებადი საწარმო

ბანკის დირექტორთა საბჭომ შეაფასა, ჯგუფს შესწევს თუ არა უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და მიიაჩნია, რომ ჯგუფს აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას ისეთი არსებითი განუსაზღვრელობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენებდა ჯგუფის უნარს, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ განჭვრეტად მომავალში. აქედან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

*(ათას ლარში)*

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

**კონსოლიდაციის საფუძველი**

ამ შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და გამოთვლის მეთოდები შეესაბამება იმ პოლიტიკასა და მეთოდებს, რომლებიც გაცხადებულია ჯგუფის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

**2022 წლის 1 იანვრიდან მოქმედი ცვლილებები**

*შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“*

ცვლილებები განაახლებს კონცეპტუალური საფუძვლების მოძველებულ მითითებას ფასს 3-ში ისე, რომ მნიშვნელოვნად არ ცვლის სტანდარტის მოთხოვნებს, როგორც ეს ქვემოთ არის შეჯამებული:

- ფასს 3-ის განახლება ისე, რომ იგი მიუთითებდეს 2018 წლის კონცეპტუალურ საფუძვლებს, და არა 1989 წლის საფუძვლებს;
- ფასს 3-ისთვის მოთხოვნის დამატება, რომ ბასს 37-ის და ფასიკ 21-ის ფარგლებში შემდგარი გარიგებების და სხვა მოვლენების შემთხვევაში შემძენმა გამოიყენოს ბასს 37 ან ფასიკ 21 (კონცეპტუალური საფუძვლების მაგივრად), რათა განსაზღვროს საწარმოთა გაერთიანებისას მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები; და
- ფასს 3-ისთვის მკაფიო განაცხადის დამატება, რომ შემძენი არ აღიარებს საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილ პირობით აქტივებს.

ამ ცვლილებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*შესწორებები ბასს (IAS) 37-ში „წამგებიანი კონტრაქტები – კონტრაქტის შესრულების ხარჯები“*

ცვლილებები აზუსტებს, რომ „ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ მოიცავს „დანახარჯებს, რომლები პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულებას“. დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულებას შეიძლება იყოს ან ხელშეკრულების შესრულების ნაზარდი დანახარჯები (ამის მაგალითია პირდაპირი შრომითი ხარჯი, მასალის ხარჯი) ან სხვა დანახარჯების განაწილება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ხელშეკრულების შესრულებას (ამის მაგალითია ცვეთის დანარიცხის გადანაწილება ძირითადი საშუალებების ერთეულზე, რომელიც გამოიყენება ხელშეკრულების შესრულებისას).

ამ ცვლილებას არანაირი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ფასს-ის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება – 2018-2020 წ.წ.*

ფასს 1 – ცვლილება შვილობილ საწარმოს, რომელიც იყენებს ფასს 1-ის დ16(ა) მუხლს, უფლებას აძლევს, კუმულაციური საკურსო სხვაობა შეაფასოს მშობელი კომპანიის მიერ გაცხადებული თანხებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის მიხედვით.

ფასს 9 – ცვლილება განმარტავს, რომელი საკომისიოები უნდა გაითვალისწინოს საწარმომ, როდესაც იყენებს „10 პროცენტის“ ტესტს ფასს 9-ის ბ3.3.6 მუხლში იმის შესაფასებლად შეწყვიტოს თუ არა ფინანსური ვალდებულების აღიარება. ამ საკომისიოებში საწარმოს შეაქვს მხოლოდ საწარმოს (მსესხებელს) და კრედიტორს შორის გადახდილი ან მიღებული საკომისიოები, მათ შორის ისინიც, რომლებიც საწარმომ ან კრედიტორმა ერთმანეთის სახელით გადაიხადეს ან მიიღეს.

*(ათას ლარში)*

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

*ფასს-ის სტანდარტების წლიური გაუმჯობესება – 2018-2020 წ.წ. (გაგრძელება)*

ფასს 16 – ფასს 15-ზე დართულ მე-13 საილუსტრაციო მაგალითში შესული ცვლილების შედეგად, მაგალითი აღარ შეიცავს მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ანაზღაურების ილუსტრაციას, რათა აღიკვეთოს პოტენციური გაუგებრობა საიჯარო შეღავათების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება წარმოიშვას იმის გამო, თუ როგორ არის საიჯარო შეღავათები ილუსტრირებული ამ მაგალითში.
ამ ცვლილებებს არანაირი არსებითი გავლენა არ მოუხდენია ჯგუფის შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება – დასაკუთრებული აქტივები (მიწა და შენობა-ნაგებობები)*

დასაკუთრებული აქტივები წარმოადგენს არაფინანსურ აქტივებს, რომლებიც ჯგუფმა მოიპოვა დეფოლტის სიტუაციაში არსებული სესხების ამოღებით. ყველა დასაკუთრებული მიწა და შენობა-ნაგებობა თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირებული იყო, როგორც საინვესტიციო ქონება, იმ პირობით, რომ ისინი იმართებოდა კაპიტალის ღირებულების ზრდის ან საიჯარო შემოსავლის მიღების მიზნით. 2022 წლიდან მოყოლებული, ჯგუფმა განაახლა თავისი ქონების მართვის სტრატეგია და გადაწყვიტა, ასეთი ქონების რეალიზაციის უმეტესი ნაწილი უფრო სწრაფი ტემპით მოეხდინა. შესაბამისად, ყველა დასაკუთრებული უზრუნველყოფა, მათ შორის მიწა და შენობა-ნაგებობები, ახლა კლასიფიცირებულია, ან როგორც საინვესტიციო ქონება, ან დასაკუთრებული აქტივები, იმისდა მიხედვით, თუ რა არის ჯგუფის განზრახვა ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით.

დასაკუთრებული აქტივები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა მიღებად ღირებულებას შორის უმცირესით და ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება სხვა აქტივებში.
სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში ცვლილება ძალაში შევიდა პერსპექტიულად 2022 წლის 1 იანვრიდან. ამის შედეგად, 2022 წლის განმავლობაში დასაკუთრებული 45.4 მილიონი ლარის აქტივები 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კლასიფიცირდა სხვა აქტივებად.

*აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები ფულადი სახით*

2022 წელს ჯგუფმა დანერგა ანაზღაურების ახალი პოლიტიკა დირექტორთა საბჭო და მატერიალური რისკის ამღები (MRT) ძირითადი თანამშრომლებისთვის. ახალი პოლიტიკის მიხედვით, ანაზღაურების ფიქსირებული კომპონენტის ნაწილი გამოიხატება ფულადი სახით ხელშეკრულების თარიღისთვის და გადაიხდება აქციების იმ რაოდენობის გადაცემით, რომელიც გადაცემის თარიღისთვის ეკვივალენტურია ფიქსირებული ფულადი ღირებულებისა. ასეთ აქციებზე უფლების გადაცემა ხდება დაუყოვნებლივ, გადაცემის წლის შემდეგ და ექვემდებარება შენარჩუნების/ფლობის 4 წლამდე ვადას. გენერალური დირექტორის შემთხვევაში, აქციების სახით გადახდილი ანაზღაურება განისაზღვრება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო დირექტორთა საბჭოს სხვა წევრებისა და მატერიალური რისკის ამღები პირების შემთხვევაში ანაზღაურება განისაზღვრება ყოველწლიურად. ანაზღაურების ცვალებად ნაწილს რაც შეეხება, იგი გაიცემა ყოველწლიურად ნულოვანი დანახარჯის მქონე ოფციონის სახით საჯარო სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკის ჯგუფის“ აქციებზე და ასევე ფულადი სახით არის ფიქსირებული. ასეთი აქციების გადაცემა ექვემდებარება უფლების გადაცემას და შენარჩუნების/ფლობის ვადას. ფულადი სახით გამოხატული აქციების გადაცემა აღირიცხება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებები და ფასდება მათი ფულადი ღირებულების მიხედვით (გადაცემის დროისთვის), რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ფულის დროითი ღირებულების შესაბამისად. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის ფარგლებში საკუთარი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“).

*(ათას ლარში)*

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

შემოკლებულ შუალედურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, ჯგუფის დირექტორთა საბჭო და ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას იყენებენ თავიანთ შეხედულებებსა და შეფასებებს. ქვემოთ შეჯამებულია მთავარი შეფასებები და მოსაზრებები.

*ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდოლოგიის დახვეწა*

წინა პერიოდებში, კოვიდ-19-ის პანდემიის უპრეცედენტო ხასიათისა და მასთან დაკავშირებული განუსაზღვრელობების გამო, ჯგუფმა გამოიყენა ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის არსებულ მეთოდოლოგიასთან მიმართებით. ეს დაშვებები უკავშირდება კოვიდ-19-ის გამო რესტრუქტურიზებული სესხების ეტაპებს და ასევე დეფოლტის აღმოფხვრისა და სესხების ამოღების მაჩვენებლებს. თუ გონივრული ვადაა გასული იმისათვის, რომ სტატისტიკამ სათანადოდ ასახოს კოვიდ-19-ის ეფექტები, ჯგუფმა გადაწყვიტა, გააუქმოს შესაბამისი ხელმძღვანელობის დაშვებები ცვლილებებზე, რაც დადებითად აისახებოდა ჯგუფის საერთო მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე. გარდა ამისა, ხელმძღვანელობამ თავიდან შეაფასა უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის ვადა დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გამოსათვლელად, რის შედეგადაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზარდა. ამან, ცვლილებებზე ხელმძღვანელობის დაშვებების გაუქმებასთან და მეთოდოლოგიაში სხვა მცირედ გაუმჯობესებებთან ერთად, განაპირობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის 21.4 მილიონი ლარით შემცირება ჯგუფისთვის.

*საპროგნოზო ინფორმაცია*

**საპროგნოზო ცვლადების დაშვებები**

იმისათვის, რომ ჯგუფმა საკრედიტო ზარალის რეზერვში ასახოს საპროგნოზო ინფორმაცია, იგი იყენებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცემულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს საქართველოში მოქმედი შვილობილი კომპანიებისთვის, ხოლო ბელარუსის ეროვნული ბანკი იყენებს ბელარუსში მოქმედი არასამთავრობო კვლევითი ცენტრისგან მიღებულ ინფორმაციას. მაკროეკონომიკური ცვლადები, რომლებსაც ეს პროგნოზები შეიცავს და რომლებიც ჯგუფმა გამოიყენა თავის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელში, მოიცავს: მშპ-ის ზრდა, სავალუტო კურსი და ინფლაციის ტემპი.

ქვემოთ წარმოდგენილია 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით თითოეული გეოგრაფიული სეგმენტისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოსათვლელად გამოყენებული პერიოდის ბოლოს ყველაზე მნიშვნელოვანი დაშვებები. ყველა პორტფელისთვის გამოყენებულია „საბაზო“, „ოპტიმისტური“ და „პესიმისტური“ სცენარები.

*(ათას ლარში)*

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

### საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)
### საქართველო

| მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორები | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი | მინიჭებული წონა | 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით | | | მინიჭებული წონა | 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2021 | 2022 | 2023 | | 2021 | 2022 | 2023 |
| **მშპ-ის პროცენტული ზრდა** | | | | | | | | | |
| | ოპტიმისტური | 25% | 6.00% | 5.50% | 5.00% | 25% | 6.00% | 5.00% | 4.50% |
| | საბაზისო | 50% | 4.50% | 5.00% | 5.50% | 50% | 5.00% | 4.00% | 4.50% |
| | პესიმისტური | 25% | 3.00% | 4.00% | 5.50% | 25% | 2.00% | 4.00% | 5.00% |
| **ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსი** | | | | | | | | | |
| | ოპტიმისტური | 25% | 3.00% | 2.00% | 0.00% | 25% | 4.00% | 2.00% | 2.00% |
| | საბაზისო | 50% | 0.00% | 0.00% | 0.00% | 50% | 0.00% | 0.00% | 0.00% |
| | პესიმისტური | 25% | -10.00% | -3.00% | 5.00% | 25% | -10.00% | 2.00% | 3.00% |
| **სფი ინფლაციის ტემპი %** | | | | | | | | | |
| | ოპტიმისტური | 25% | 9.00% | 3.00% | 3.00% | 25% | 5.50% | 3.00% | 3.00% |
| | საბაზისო | 50% | 9.50% | 3.00% | 2.50% | 50% | 7.00% | 2.50% | 3.00% |
| | პესიმისტური | 25% | 11.00% | 5.50% | 3.00% | 25% | 8.00% | 4.00% | 3.00% |

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ეყრდნობა სებ-ის მაკროეკონომიკურ პროგნოზებს 2022 წლის ივნისის მდგომარეობით.

### ბელარუსი

| მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორები | მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის | მინიჭებული წონა | 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით | | | | მინიჭებული წონა | 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 2022Q3 | 2022Q4 | 2023Q1 | 2023Q2 | | 2022Q1 | 2022Q2 | 2022Q3 | 2022Q4 |
| **მშპ-ის პროცენტული ზრდა** | | | | | | | | | | | |
| | ოპტიმისტური | 10% | -7.28% | -6.72% | -5.82% | 3.03% | 25% | 1.57% | 1.38% | 3.49% | 5.25% |
| | საბაზისო | 50% | -8.59% | -8.81% | -8.51% | -0.57% | 50% | 0.22% | -0.63% | 0.77% | 1.88% |
| | პესიმისტური | 40% | -9.90% | -10.90% | -11.20% | -4.18% | 25% | -1.13% | -2.64% | -1.95% | -1.49% |
| **ბელარუსული რუბლი/აშშ დოლარის სავალუტო კურსი, %** | | | | | | | | | | | |
| | ოპტიმისტური | 10% | 2.40% | 1.56% | 2.31% | 1.83% | 25% | 0.53% | 0.21% | 0.42% | 1.06% |
| | საბაზისო | 50% | 4.91% | 4.32% | 3.79% | 2.56% | 50% | 3.84% | 2.14% | 1.90% | 1.87% |
| | პესიმისტური | 40% | 7.14% | 6.67% | 5.00% | 3.13% | 25% | 6.79% | 3.94% | 2.93% | 2.51% |
| **სფი ინფლაციის ტემპი %** | | | | | | | | | | | |
| | ოპტიმისტური | 10% | 15.21% | 13.58% | 9.70% | -0.04% | 25% | 1.31% | -0.03% | -0.90% | -0.66% |
| | საბაზისო | 50% | 18.81% | 18.78% | 16.50% | 8.25% | 50% | 3.14% | 1.74% | 0.74% | 1.70% |
| | პესიმისტური | 40% | 22.41% | 23.98% | 23.30% | 16.55% | 25% | 4.91% | 3.40% | 2.23% | 3.97% |

ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ეყრდნობა 2022 წლის ივნისის მდგომარეობით გამოქვეყნებულ მაკროეკონომიკურ პროგნოზებს.

ყველა სხვა პარამეტრი თუ უცვლელი დარჩება, მშპ-ის ზრდა, ადგილობრივი ვალუტის გამყარება და ინფლაციის ტემპის შემცირება გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შემცირებას, ხოლო ამის საპირისპირო ცვლილებები გამოიწვევდა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ზრდას. მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე.

*(ათას ლარში)*

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

### საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)

მას მოჰყვება სავალუტო კურსი და ინფლაცია. საცალო პორტფელზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ნაკლებად მოქმედებს სავალუტო კურსი, რადგან დიდი წილი ლარში გამოხატულ დავალიანებაზე მოდის. თუმცა, საცალო პორტფელიდან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მოქმედებს ინფლაცია, რომელსაც საწარმოს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე მნიშვნელოვანი გავლენა არ აქვს.

ცხრილში ნაჩვენებია აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხების მგრძნობელობა ამ მოდელში გამოყენებული საპროგნოზო დაშვებების მიმართ. ამ მიზნით, თითოეულ მაკროეკონომიკურ სცენარს ინდივიდუალურად 100%-იანი წონა მიენიჭა და გადაანგარიშდა შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მგრძნობელობა საპროგნოზო დაშვებების მიმართ

| | *2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით* | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები** | *გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი* | *გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა* | *მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა სცენარების მიხედვით* | | |
| | | | *ოპტიმისტური* | *საბაზისო* | *პესიმისტური* |
| კომერციული სესხები | 150,941 | 2.90% | 2.75% | 2.87% | 3.00% |
| იპოთეკური სესხები | 38,290 | 0.95% | 0.94% | 0.95% | 0.97% |
| მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები | 75,163 | 1.92% | 1.86% | 1.91% | 1.98% |
| სამომხმარებლო სესხები | 150,698 | 4.62% | 4.52% | 4.59% | 4.72% |
| სალომბარდო სესხები | 2,998 | 1.74% | 1.74% | 1.74% | 1.74% |

| | *2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით* | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **მთავარი განმაპირობებელი ფაქტორები** | *გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი* | *გაცხადებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა* | *მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გადაფარვა სცენარების მიხედვით* | | |
| | | | *ოპტიმისტური* | *საბაზისო* | *პესიმისტური* |
| კომერციული სესხები | 156,237 | 2.90% | 2.89% | 2.90% | 2.93% |
| იპოთეკური სესხები | 33,036 | 0.82% | 0.80% | 0.81% | 0.85% |
| მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები | 74,441 | 1.99% | 1.93% | 1.96% | 2.13% |
| სამომხმარებლო სესხები | 136,035 | 4.56% | 4.46% | 4.54% | 4.70% |
| სალომბარდო სესხები | 2,074 | 1.25% | 1.25% | 1.25% | 1.26% |

*ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება*

როდესაც შემოკლებული შუალედური კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების მიღება აქტიური ბაზრებიდან ვერ ხერხდება, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდით, მათ შორის მათემატიკური მოდელებით. ამ მეთოდებისთვის ინფორმაცია აიღება ბაზრიდან, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულება შეფასების საფუძველზე განისაზღვრება (21-ე შენიშვნა).

*(ათას ლარში)*

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

### საპროგნოზო ცვლადების დაშვებები (გაგრძელება)

*საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა*

ჯგუფი თავის საინვესტიციო ქონებას საკმარისი სიხშირით აფასებს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. საინვესტიციო ქონების შეფასების ბოლო თარიღი იყო 2020 წლის 31 დეკემბერი.

იმის დასადგენად, უძრავი ქონების ბაზარზე მოხდა თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილება ბოლო შეფასების თარიღიდან, რაც მიანიშნებდა იმაზე, რომ საინვესტიციო ქონება არ არის აღრიცხული სამართლიანი ღირებულებით საანგარიშგებო თარიღისთვის, ჯგუფმა უძრავი ქონების ბაზრის საკვლევად დამოუკიდებელი შემფასებელი დაიქირავა. კვლევის შედეგებმა გამოავლინა უძრავი ქონების ფასების აღმავალი ტენდენცია აშშ დოლარში, რაც დააბალანსა აშშ დოლარის მიმართ ლარის გამყარებამ. ამის შედეგად, 2020 წლის ბოლოდან უძრავი ქონების ბაზარზე ლარში ეკვივალენტური ფასის არსებითი ცვლილება არ დაფიქსირებულა. შესაბამისად, გადაფასება საანგარიშგებო თარიღისთვის არ მომხდარა.

## 5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

ჯგუფი ახდენს შემოსავლის დეზაგრეგირებას მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან თითოეული სეგმენტის პროდუქტების და მომსახურებების მიხედვით, რადგან ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ გზით ყველაზე ნათლად ასახავს იმას, თუ როგორ მოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები შემოსავლებისა და ფულადი ნაკადების ხასიათზე, ოდენობაზე, დროულობასა და გაურკვევლობაზე.

მართვის მიზნებისათვის ჯგუფი დაყოფილია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად პროდუქტებისა და მომსახურების მიხედვით:

- საცალო საბანკო მომსახურება (ბელარუსის ეროვნული ბანკის საცალო საბანკო მომსახურების გამოკლებით) - ძირითადად გულისხმობს სამომხმარებლო, იპოთეკური სესხების, ოვერდრაფტების, საკრედიტო ბარათების და სხვა საკრედიტო პროდუქტების გაცემას, ფულადი გზავნილების და ანგარიშსწორების მომსახურებას, იურიდიული და ფიზიკური პირების ანაბრების მართვას. საცალო საბანკო მომსახურების მიმართულება კონცენტრირებულია მზარდ საცალო, მასობრივ საცალო და მასობრივ შეძლებულ სეგმენტებზე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებთან და მიკრობიზნესებთან ერთად.
- კორპორაციული / საინვესტიციო ბანკინგი - მოიცავს კორპორატიულ საბანკო მომსახურებას და ინვესტიციის მართვის ოპერაციებს საქართველოში. კორპორატიული საბანკო მომსახურება ძირითადად გულისხმობს სესხებისა და სხვა საკრედიტო პროდუქტების გაცემას, ფულად გზავნილებსა და ანგარიშსწორების მომსახურებას, დოკუმენტური ოპერაციების მხარდაჭერას და კორპორატიული მომხმარებლებისთვის შემნახველი და ვადიანი ანაბრების მართვას; ინვესტიციის მართვის ბიზნესი, ძირითადად, გულისხმობს კერძო საბანკო მომსახურების გაწევას შეძლებული კლიენტებისთვის და საბროკერო მომსახურებას „გალტ ენდ თაგარტის“ მეშვეობით.
- „ბელარუსის ეროვნული ბანკი“ - ძირითადად ნიშნავს სს „ბელარუსკი ნაროდნი ბანკს“, რომელიც ძირითადად საცალო და კორპორაციულ საბანკო მომსახურებას სწევს ბელარუსში.

ხელმძღვანელობა აკონტროლებს თავისი სეგმენტების საოპერაციო შედეგებს ცალ-ცალკე, რათა მიიღოს გადაწყვეტილებები რესურსების განაწილებასა და შესრულებული საქმიანობის შეფასებაზე. სეგმენტის საქმიანობა, რომელიც ქვემოთ მოყვანილ ცხრილშია განმარტებული, ისევე ფასდება, როგორც მოგება ან ზარალი მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

*(ათას ლარში)*

## 5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

საოპერაციო სეგმენტებს შორის გარიგებები ხდება გაშლილი ხელის პრინციპით, ანუ მესამე პირებთან შემდგარი გარიგებების მსგავსად.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული, ბელარუსის ეროვნული ბანკის გარდა, რომელიც ბელარუსში საქმიანობს.

2021 წელსა და 2020 წლის 6 თვის განმავლობაში არცერთ გარე მომხმარებელთან ან კონტრაჰენტთან დადებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავალი არ შეადგენდა ჯგუფის საოპერაციო შემოსავლის 10%-ს ან მეტს.

ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების თაობაზე 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის:

| | *საცალო საბანკო საქმიანობა* | *კორპორატიული საინვესტიციო საბანკო საქმიანობა* | *ბელარუსის ეროვნული ბანკი* | *გაქვითვები* | *სულ ჯგუფი* |
|---|---|---|---|---|---|
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 353,897 | 172,120 | 21,098 | 46 | 547,161 |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 90,387 | 21,844 | 3,896 | - | 116,127 |
| წმინდა სავალუტო შემოსულობა | 109,267 | 47,022 | 32,534 | - | 188,823 |
| წმინდა სხვა შემოსავალი | 2,036 | 5,042 | (1,809) | - | 5,269 |
| **საოპერაციო შემოსავალი** | **555,587** | **246,028** | **55,719** | **46** | **857,380** |
| საოპერაციო დანახარჯები | (202,523) | (44,664) | (24,837) | (46) | (272,070) |
| მოგება მეკავშირე საწარმოებიდან | 376 | - | - | - | 376 |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი რისკის ღირებულების განსაზღვრამდე** | **353,440** | **201,364** | **30,882** | **-** | **585,686** |
| რისკის ღირებულება | (84,871) | 42,143 | (24,162) | - | (66,890) |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე** | **268,569** | **243,507** | **6,720** | **-** | **518,796** |
| წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი | - | - | (29) | - | (29) |
| **დასაბეგრი მოგება** | **268,569** | **243,507** | **6,691** | **-** | **518,767** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (29,553) | (26,764) | (1,287) | - | (57,604) |
| **პერიოდის მოგება** | **239,016** | **216,743** | **5,404** | **-** | **461,163** |
| **აქტივები და ვალდებულებები** | | | | | |
| სულ აქტივები | 16,714,251 | 7,573,789 | 985,687 | (27,460) | 25,246,267 |
| სულ ვალდებულებები | 14,794,776 | 6,305,397 | 870,245 | (27,460) | 21,942,958 |
| **სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ** | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 45,637 | 1,240 | 727 | - | 47,604 |
| არამატერიალური აქტივები | 12,889 | 834 | 2,081 | - | 15,804 |
| **კაპიტალური დანახარჯები** | **58,526** | **2,074** | **2,808** | **-** | **63,408** |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება | (41,356) | (2,088) | (2,616) | - | (46,060) |

*(ათას ლარში)*

## 5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ცხრილში წარმოდგენილია მოგება-ზარალის ანგარიშგების ინფორმაცია ჯგუფის საოპერაციო სეგმენტების შესახებ 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული ექვსთვიანი პერიოდისთვის და გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| | *საცალო საბანკო საქმიანობა* | *კორპორატიული საინვესტიციო საბანკო* | *ბელარუსის ეროვნული ბანკი* | *გაქვითვები* | *სულ ჯგუფი* |
|---|---|---|---|---|---|
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 274,092 | 141,904 | 18,099 | 11 | 434,106 |
| წმინდა საკომისიო შემოსავალი | 68,607 | 18,789 | 3,192 | - | 90,588 |
| წმინდა სავალუტო შემოსულობა | 21,988 | 11,942 | 6,575 | - | 40,505 |
| წმინდა სხვა შემოსავალი | 17,288 | 32,584 | (185) | (104) | 49,583 |
| **საოპერაციო შემოსავალი** | **381,975** | **205,219** | **27,681** | **(93)** | **614,782** |
| საოპერაციო დანახარჯები | (155,111) | (33,488) | (17,997) | 93 | (206,503) |
| მოგება მეკავშირე საწარმოებიდან | (4,132) | - | - | - | (4,132) |
| **საოპერაციო შემოსავალი რისკის ღირებულების განსაზღვრამდე** | **222,732** | **171,731** | **9,684** | **-** | **404,147** |
| რისკის ღირებულება | (40,516) | 41,030 | 305 | - | 819 |
| **წმინდა საოპერაციო შემოსავალი არარეგულარულ მუხლებამდე** | **182,216** | **212,761** | **9,989** | **-** | **404,966** |
| წმინდა არარეგულარული ხარჯი/ზარალი | - | (74) | (343) | - | (417) |
| **დასაბეგრი მოგება** | **182,216** | **212,687** | **9,646** | **-** | **404,549** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | (14,994) | (17,136) | (1,947) | - | (34,077) |
| **პერიოდის მოგება** | **167,222** | **195,551** | **7,699** | **-** | **370,472** |
| **აქტივები და ვალდებულებები** | | | | | |
| სულ აქტივები | 14,790,294 | 7,392,592 | 980,920 | (2,594) | 23,161,212 |
| სულ ვალდებულებები | 13,056,451 | 6,209,869 | 846,263 | (2,594) | 20,109,989 |
| **სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ** | | | | | |
| ძირითადი საშუალებები | 25,759 | 1,569 | 275 | - | 27,603 |
| არამატერიალური აქტივები | 16,302 | 1,418 | 2,792 | - | 20,512 |
| **კაპიტალური დანახარჯები** | **42,061** | **2,987** | **3,067** | **-** | **48,115** |
| ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება | (34,198) | (3,825) | (2,392) | - | (40,415) |

*(ათას ლარში)*

## 6. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| ნაღდი ფული სალაროში | 770,142 | 774,253 |
| მიმდინარე ანგარიშები ცენტრალურ ბანკებში, სავალდებულო რეზერვების გარდა | 188,185 | 126,627 |
| მიმდინარე ანგარიშები საკრედიტო დაწესებულებებში | 1,014,598 | 364,912 |
| 90-დღემდე ვადის მქონე ანაბრები საკრედიტო დაწესებულებები | 789,571 | 228,685 |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მთლიანი** | **2,762,496** | **1,494,477** |
| გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი | (69) | (25) |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, წმინდა** | **2,762,427** | **1,494,452** |

ზემოაღნიშნული ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან 2022 წლის 30 ივნისისთვის 1,614,416 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 417,228 ლარი) იყო განთავსებული მიმდინარე და ვადიან ანაბრებზე ეთგოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ და ცენტრალურ ბანკებში, რომლებიც კონტრაჰენტებად გამოდიან ჯგუფის მიერ განხორციელებულ საერთაშორისო ანგარიშსწორების ოპერაციებში. ჯგუფმა მიიღო 1.73%-მდე წლიური პროცენტი ამ ანაბრებზე (2021 წლის 31 დეკემბერი: 0.07%-მდე). ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაჰენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ამასთან, მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

## 7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| სავალდებულო რეზერვები ცენტრალურ ბანკებში | 1,740,550 | 1,898,052 |
| ვადიანი ანაბრები 90 დღეზე მეტი ვადით | 7,322 | 15,488 |
| ღია ვალდებულებების უზრუნველსაყოფად გამოყენებული ანაბრები | 4,421 | 4,730 |
| **მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, მთლიანი** | **1,752,293** | **1,918,270** |
| გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი | (502) | (331) |
| **მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, წმინდა** | **1,751,791** | **1,917,939** |

ცენტრალურ ბანკებში განთავსებული სავალდებულო რეზერვები წარმოადგენს სებ-ში და ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში განთავსებულ თანხებს. საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საქართველოს ეროვნულ ბანკში და ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში დეპოზიტების (სავალდებულო რეზერვი) გახსნა, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულებების მიერ მოზიდული თანხების მოცულობაზე. ნორმატიული აქტის შესაბამისად, ჯგუფს შეზღუდული აქვს დეპოზიტზე არსებული თანხების გამოტანის უფლება. ჯგუფს არ მიუღია პროცენტი საქართველოს ეროვნულ ბანკსა და ბელარუსის რესპუბლიკის ეროვნულ ბანკში განთავსებულ სავალდებულო რეზერვებზე 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში.

*(ათას ლარში)*

## 8. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - სავალო ინსტრუმენტები | 3,078,647 | 2,558,542 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც განიხილება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - წილობრივი ინსტრუმენტები | 4,558 | 5,419 |
| **საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები** | **3,083,205** | **2,563,961** |

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 111,909 | - |
| გამოკლებული: საკრედიტო ზარალის რეზერვი | (107) | - |
| **ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, წმინდა** | **111,802** | - |

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები* | 1,711,420 | 1,312,001 |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები** | 150,410 | 82,196 |
| უცხოური სახაზინო ობლიგაციები | 111,477 | 79,156 |
| ცენტრალური ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები | 87,008 | 39,410 |
| სხვა სავალო ინსტრუმენტები*** | 1,018,332 | 1,045,779 |
| **სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით – სავალო ინსტრუმენტები** | **3,078,647** | **2,558,542** |

** სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები უზრუნველყოფილი იყო 1,075,366 ლარის სახაზინო ობლიგაციებით (2021 წ.: 490,592 ლარი), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანაბრები უზრუნველყოფილი იყო 251,216 ლარის სახაზინო ობლიგაციებით (2021 წ.: 220,480 ლარი), ხოლო ჯგუფის საცავში სებ-ის მიერ განთავსებული ფულადი სახსრები უზრუნველყოფილი იყო 75,499 ლარის სახაზინო ობლიგაციებით (2021 წ.: 14,720 ლარი).*

***სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი სესხები უზრუნველყოფილი იყო 251,840 ლარის კორპორატიული ობლიგაციებით (2021 წლის 31 დეკემბერი: ნული ლარი), ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანაბრები უზრუნველყოფილი იყო 288,568 ლარის კორპორატიული ობლიგაციებით (2021 წლის 31 დეკემბერი: 109,109 ლარი).*

სხვა სავალო ინსტრუმენტები 2022 წლის 30 ივნისისთვის ძირითადად მოიცავდა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის მიერ გამოშვებულ 517,146 ლარის ობლიგაციებს (2021 წლის 31 დეკემბერი: 521,394 ლარი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ გამოშვებულ 199,685 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2021 წლის 31 დეკემბერი: 203,351 ლარი), ნიდერლანდების განვითარების საფინანსო კომპანიის მიერ გამოშვებულ 263,730 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2021 წლის 31 დეკემბერი: 163,593 ლარი), შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ გამოშვებულ 50,222 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2021 წლის 31 დეკემბერი: 65,407 ლარი) და აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოშვებულ 61,620 ლარის ობლიგაციებს, რომლებიც ლარშია გამოხატული (2021 წლის 31 დეკემბერი: 61,609 ლარი).

უცხოური სახაზინო ობლიგაციები შედგება ლიეტუვის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციებისგან ნული ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 15,992 ლარი), ბელარუსის რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციებისგან 40,424 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 63,164 ლარი) და დიდი ბრიტანეთის სახაზინო თამასუქებისგან 71,053 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერი: ნული ლარი).

*(ათას ლარში)*

## 9. მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| კომერციული სესხები | 5,207,484 | 5,380,396 |
| იპოთეკური სესხები | 4,020,973 | 4,022,058 |
| მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები | 3,914,718 | 3,731,756 |
| სამომხმარებლო სესხები | 3,264,026 | 2,981,305 |
| სალომბარდო სესხები | 172,119 | 165,417 |
| **მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული** | **16,579,320** | **16,280,932** |
| გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი | (418,090) | (401,823) |
| **მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით, წმინდა** | **16,161,230** | **15,879,109** |
| **ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება (მთლიანი)** | **115,812** | **124,952** |
| გამოკლებული - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი | (7,682) | (5,895) |
| **ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები, წმინდა** | **108,130** | **119,057** |
| **სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები** | **16,269,360** | **15,998,166** |

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, მომხმარებლებზე გაცემული 1,180,461 ლარის საბალანსო ღირებულების სესხებით (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,125,955 ლარი) იყო უზრუნველყოფილი სებ-დან მიღებული მოკლევადიანი სესხები.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი**

| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
| მიმდინარე ანგარიშები | 8,046,002 | 7,053,360 |
| ვადიანი ანაბრები | 7,123,230 | 7,028,078 |
| **კლიენტების ანაბრები და თამასუქები** | **15,169,232** | **14,081,438** |

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კლიენტების მიმართ ვალდებულებები 2,007,758 ლარის (13%) ოდენობით ათ უმსხვილეს მეანაბრეზე (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,953,107 ლარი (14%)) მოდიოდა.

ვალდებულებები მომხმარებლების წინაშე მოიცავს ანგარიშებს მომხმარებლების შემდეგ ტიპებთან:

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
| ფიზიკური პირები | 9,176,873 | 8,399,292 |
| კერძო საწარმოები | 5,114,319 | 5,060,010 |
| სახელმწიფო და სახელმწიფო საკუთრებში მყოფი სუბიექტები | 878,040 | 622,136 |
| **კლიენტების ანაბრები და თამასუქები** | **15,169,232** | **14,081,438** |

მომხმარებელთა ანგარიშები საქმიანობის სფეროების მიხედვით:

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
| ფიზიკური პირები | 9,176,873 | 8,399,292 |
| სახელმწიფო მომსახურება | 869,614 | 613,710 |
| ვაჭრობა | 1,153,048 | 1,433,939 |
| ფინანსური შუამავლობა | 956,660 | 853,235 |
| მშენებლობა | 635,772 | 664,695 |
| ტრანსპორტი და კომუნიკაცია | 496,892 | 399,010 |
| მომსახურება | 482,622 | 443,864 |
| წარმოება | 463,682 | 361,158 |
| უძრავი ქონება | 191,314 | 214,670 |
| ელექტროენერგიის, გაზის მიწოდება და წყალმომარაგება | 112,691 | 112,244 |
| მასპინძლობის ბიზნესი | 101,890 | 70,375 |
| სხვა | 528,174 | 515,246 |
| **კლიენტების ანაბრები და თამასუქები** | **15,169,232** | **14,081,438** |

*(ათას ლარში)*

## 13. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე მოიცავს:

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | 2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული) | 2021 წლის 31 დეკემბერი |
| მოკლევადიანი სესხები საქართველოს ეროვნული ბანკიდან | 2,242,322 | 1,413,333 |
| საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებისგან ნასესხები | 1,448,631 | 1,667,915 |
| საკორესპონდენტო ანგარიშები | 392,313 | 170,411 |
| დამატებითი პირველადი კაპიტალი | 147,161 | |
| ვადიანი ანაბრები და შიდა საბანკო სესხები | 118,581 | 198,037 |
| | **4,349,008** | **3,449,696** |
| არაკონვერტირებადი სუბორდინირებული ვალი | 577,828 | 668,766 |
| **ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ** | **4,926,836** | **4,118,462** |

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა 2022 წლის 30 ივნისამდე (არააუდიტირებული) გადაიხადა საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებისგან აშშ დოლარში ნასესხებ სახსრებზე (2021 წლის 31 დეკემბერი: 2021 წლის 31 დეკემბრამდე). 2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის განმავლობაში ჯგუფმა 4.18%-მდე გადაიხადა აშშ დოლარში აღებულ სუბორდინირებულ სესხზე (2021 წლის 31 დეკემბერი: 4.18%-მდე).

საერთაშორისო ფინანსური დაწესებულებებისგან ზოგი გრძელვადიანი სესხი აღებულია გარკვეული პირობებით („კრედიტორის პირობები“), რომ ჯგუფი შეინარჩუნებს კაპიტალის ადეკვატურობის გარკვეულ ლიმიტებს, ლიკვიდურობას, სავალუტო პოზიციებს, საკრედიტო რისკების მოცულობას, მოზიდული სახსრების წილს და ა.შ. 2022 წლის 30 ივნისისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებისგან აღებულ მნიშვნელოვან სესხებზე აკმაყოფილებდა კრედიტორთა ყველა პირობას.

2022 წლის 31 მაისს ბანკმა გააფორმა 50 მილიონი აშშ დოლარის დამატებითი პირველადი კაპიტალის უვადო სუბორდინირებული სინდიცირებული სესხის ხელშეკრულება კრედიტორებთან – ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან და Swedfund International AB-თან ხუთწლიანი ვადით. ეს თანხა მთლიანად იყო ათვისებული 2022 წლის 30 ივნისისთვის.

2022 წლის ივნისში ბანკმა დაფარა მიმდინარე 70 მილიონი აშშ დოლარი საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისგან მიღებული თავდაპირველი 90 მილიონი აშშ დოლარის სუბორდინირებული სესხიდან, საიდანაც 42 მილიონი აშშ დოლარი მიეკუთვნება მეორად კაპიტალს.

*(ათას ლარში)*

## 14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები მოიცავს შემდეგს:

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
| გამოშვებული ევროობლიგაციები და თამასუქები | 803,709 | 938,372 |
| დამატებითი პირველადი კაპიტალის გამოშვებული თამასუქები | 289,718 | 306,239 |
| ადგილობრივი ობლიგაციები | 45,220 | 87,384 |
| სადეპოზიტო სერთიფიკატები | 166,937 | 128,484 |
| **გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები** | **1,305,584** | **1,460,479** |

### ცვლილებები ფინანსური საქმიანობით გამოწვეულ ვალდებულებებში

| | გამოშვებული ევროობლიგაციები და თამასუქები | დამატებითი პირველადი კაპიტალის გამოშვებული თამასუქები |
|---|---|---|
| **საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **1,442,298** | **282,407** |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ძირითადი ნაწილის დაფარვა | (440,410) | - |
| სხვა მოძრაობა | (36,582) | 29,570 |
| **საბალანსო ღირებულება 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)** | **965,306** | **311,977** |
| **საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით** | **938,372** | **306,239** |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა | (99,148) | - |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების ძირითადი ნაწილის დაფარვა | (31,397) | - |
| სხვა მოძრაობა | (4,118) | (16,521) |
| **საბალანსო ღირებულება 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით (არააუდიტირებული)** | **803,709** | **289,718** |

*(ათას ლარში)*

## 15. პირობითი ვალდებულებები

**იურიდიული საკითხები**

*საი-ინვესტი*

2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკს ჰქონდა სასამართლო დავა შპს „საი-ინვესტთან“ („საი-ინვესტი“) 7 მილიონი ევროს ოდენობის ანაბარზე გირაოსთან დაკავშირებით, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო სს „საქართველოს ბანკის“ მიმართ შპს „სპორტ ინვესტის“ სესხები. შპს „საი-ინვესტმა“ ანაბარზე გირაოს კანონიერება საქართველოს სასამართლო სისტემაში გაასაჩივრა. მისი სარჩელი სააპელაციო სასამართლომ არსებითად დააკმაყოფილა, რაც ბანკის აზრით, მცდარი და უსაფუძვლო გადაწყვეტილებაა და რომელიც ბანკმა გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. საქმეს ამჟამად განიხილავს უზენაესი სასამართლო და გადაწყვეტილების გამოტანა 2022 წლის განმავლობაშია მოსალოდნელი. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით ამ სარჩელის გამო არსებითი ზარალის მიღების დაბალი ალბათობა არსებობს, შესაბამისად, ანარიცხები ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ შეუქმნია.

**პირობითი ფინანსური ვალდებულებები**

2022 წლის 30 ივნისისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის პირობითი ფინანსური ვალდებულებები ასე გამოიყურება:

| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
|---|---|---|
| **საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები** | | |
| გაცემული გარანტიები | 1,567,143 | 1,686,913 |
| აკრედიტივები | 83,130 | 71,676 |
| გაცემული სესხების აუთვისებელი ნაწილი | 691,055 | 809,481 |
| | **2,341,328** | **2,568,070** |
| გამოკლებული აკრედიტივებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი ფულადი სახსრები (შენიშვნა 11) | (121,365) | (117,379) |
| გამოკლებული - ანარიცხები | (5,026) | (5,793) |
| **ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან** | | |
| 1 წლამდე | 1,625 | 1,875 |
| 1 წელზე გვიან, მაგრამ არაუგვიანეს 5 წლისა | 2,471 | 2,486 |
| 5 წელზე მეტი | 718 | 986 |
| | **4,814** | **5,347** |
| პირობითი ვალდებულებები კაპიტალური დანახარჯებიდან | **9,690** | **4,539** |

** 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გაცემული მთლიანი გარანტიებიდან ჯგუფის ფინანსური და ვალდებულების შესრულების გარანტიები შეადგენდა 679,438 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,030,122 ლარი) და 887,705 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 656,791 ლარი), შესაბამისად.*

ჯგუფი თავის აუთვისებელ სასესხო ნაშთებს წარმოადგენს ხელშეკრულებების პირობების და ამ თანხების გაცემასთან დაკავშირებით არსებული პრაქტიკის მიხედვით. ნაშთები ვალდებულებების სახით წარმოდგენილია, თუ ჯგუფს აქვს აუთვისებელი თანხების დამატებითი დამტკიცების გარეშე გაცემის დამკვიდრებული პრაქტიკა.

*(ათას ლარში)*

## 16. საკუთარი კაპიტალი

**სააქციო კაპიტალი**

2022 წლის 30 ივნისისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული საწესდებო კაპიტალი 43,308,125 ჩვეულებრივი აქციისგან შედგებოდა. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება ერთი (1) ლარია. 2022 წლის 30 ივნისის, 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გამოშვებული და მიმოქცევაში არსებული აქციები უცვლელი დარჩა, 27,993,660 გამოშვებული აქციის დონეზე, რაც 27,994 ლარს შეესაბამება.

| | ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა | ჩვეულებრივი აქციების თანხობრივი ოდენობა |
|---|---|---|
| **2020 წლის 31 დეკემბერი** | **27,993,660** | **27,994** |
| **2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)** | **27,993,660** | **27,994** |
| **2021 წლის 31 დეკემბერი** | **27,993,660** | **27,994** |
| **2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)** | **27,993,660** | **27,994** |

**გამოსყიდული აქციები**

ჯგუფის მფლობელობაში არსებული გამოსყიდული აქციების რაოდენობა 2022 წლის 30 ივნისისთვის შეადგენდა 10,173-ს (2021 წლის 31 დეკემბერი: 10,173), რომელთა ნომინალური ღირებულება იყო 10 ლარი (2021 წლის 31 დეკემბერი: 10 ლარი).

**დივიდენდები**

აქციონერებს ლარში გამოხატული დივიდენდების მიღების უფლება აქვთ.

2022 წლის 20 ივნისს სს „საქართველოს ბანკის“ საბჭომ გამოაცხადა 2021 წლის საბოლოო დივიდენდები 1 აქციაზე 5.18 ლარის ოდენობით. 2022 წლის 5 ივლისს აქციონერებმა მიიღეს საბოლოო დივიდენდები სულ 145,065 ლარის ოდენობით.

2021 წლის 17 აგვისტოს სს „საქართველოს ბანკის“ საბჭომ გამოაცხადა 2021 წლის შუალედური დივიდენდები 1 აქციაზე 2.52 ლარის ოდენობით. 2021 წლის 5 ნოემბერს აქციონერებმა მიიღეს შუალედური მოგების დივიდენდები სულ 70,390 ლარის ოდენობით.

**სხვა რეზერვების ხასიათი და დანიშნულება**

*საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან არარეალიზებული შემოსულობა (ზარალი)*
ეს რეზერვი ასახავს საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში შესულ ცვლილებებს.

*არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან/ყიდვიდან ან გაზავებიდან მიღებული არარეალიზებული შემოსულობა (ზარალი)*
ეს რეზერვი ასახავს არსებულ შვილობილ კომპანიებში წილის გაყიდვიდან/ყიდვიდან ან გაზავებიდან მიღებულ არარეალიზებულ შემოსულობას (ზარალს)

*უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი*
უცხოური ვალუტის კონვერტაციის რეზერვი გამოიყენება იმისათვის, რომ აღრიცხოს ლარისგან განსხვავებული სამუშაო ვალუტის მქონე შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებების გადაანგარიშების შედეგად წარმოშობილი საკურსო სხვაობები.

მოძრაობა ამ ანგარიშზე 2022 წლის 31 ივნისით და 2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდების განმავლობაში წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში.

*(ათას ლარში)*

## 16. საკუთარი კაპიტალი (გაგრძელება)

**შემოსავალი აქციაზე**

| | *ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული* | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* |
| ***საბაზისო და განზავებული შემოსავალი ერთ აქციაზე*** | | |
| ბანკის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებისთვის განკუთვნილი პერიოდის მოგება | 461,163 | 370,472 |
| პერიოდის განმავლობაში მიმოქცევაში არსებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა | 27,983,827 | 27,983,827 |
| შემოსავალი აქციაზე | 16.4796 | 13.2388 |

## 17. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

| | *ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული* | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდი-ტირებული)* | *2021 წლის 30 ივნისი (არააუდი-ტირებული)* |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი | **1,054,056** | **848,684** |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან | 914,489 | 749,303 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან | 135,019 | 94,587 |
| საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებიდან | 13,217 | 8,922 |
| წმინდა ზარალი ფინანსური აქტივების მოდიფიკაციიდან | (8,669) | (4,128) |
| სხვა საპროცენტო შემოსავალი | **11,405** | **14,143** |
| ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნებიდან | 11,405 | 14,133 |
| სხვა აქტივებიდან | - | 10 |
| **საპროცენტო შემოსავალი** | **1,065,461** | **862,827** |
| კლიენტების ანაბრებსა და თამასუქებზე | (267,805) | (255,990) |
| საკრედიტო დაწესებულებების წინაშე ვალდებულებებზე | (202,427) | (123,883) |
| გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე | (49,550) | (56,780) |
| სავალუტო სვოპების პროცენტის ელემენტი | 12,093 | 18,016 |
| საიჯარო ვალდებულებაზე | (2,310) | (2,921) |
| **საპროცენტო ხარჯი** | **(509,999)** | **(421,558)** |
| ანაბრის დაზღვევის საკომისიო | (8,301) | (7,163) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **547,161** | **434,106** |

*(ათას ლარში)*

## 18. წმინდა საკომისიო შემოსავალი

| | ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები | 189,964 | 134,797 |
| გარანტიები და აკრედიტივები | 17,382 | 17,043 |
| საკასო ოპერაციები | 13,765 | 8,266 |
| ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები | 13,671 | 5,374 |
| საბროკერო მომსახურების ღირებულება | 16 | 45 |
| სხვა | 2,670 | 3,424 |
| **მიღებული გასამრჯელო და საკომისიო** | **237,468** | **168,949** |
| | | |
| საანგარიშსწორებო ოპერაციები | (107,637) | (69,977) |
| გარანტიები და აკრედიტივები | (219) | (351) |
| საკასო ოპერაციები | (9,169) | (3,824) |
| ვალუტის კონვერტაციის ოპერაციები | (1,519) | (685) |
| სადაზღვევო ბროკერის მომსახურების ღირებულება | (595) | (530) |
| სხვა | (2,202) | (2,994) |
| **საკომისიო ხარჯი** | **(121,341)** | **(78,361)** |
| **წმინდა საკომისიო შემოსავალი** | **116,127** | **90,588** |

*(ათას ლარში)*

## 19. მოსალოდნელი საკრედიტო და გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებსა და ანარიცხებზე

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული პერიოდისთვის:

| | 1-ლი სტადია | მე-2 სტადია | მე-3 სტადია | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კოლექტიური | კოლექტიური | ინდივიდუალური | კოლექტიური | POCI | სულ |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | (44) | - | - | - | - | (44) |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | (192) | - | - | - | - | (192) |
| ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები - სავალო ინსტრუმენტები | (456) | - | - | - | - | (456) |
| სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები -სავალო ინსტრუმენტები | (3,006) | - | - | - | - | (3,006) |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით | 15,833 | (17,302) | 16,289 | (57,469) | (11,668) | (54,317) |
| ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | 53 | (108) | (274) | (1,090) | (761) | (2,180) |
| სხვა ფინანსური აქტივები | (1,908) | - | - | - | - | (1,908) |
| ფინანსური გარანტიები | 119 | 10 | 22 | 3 | - | 154 |
| კლიენტების აკრედიტივი | (7) | - | 65 | - | - | 58 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 33 | 157 | - | - | - | 190 |
| **2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის** | **10,425** | **(17,243)** | **16,102** | **(58,556)** | **(12,429)** | **(61,701)** |

| | 1-ლი სტადია | მე-2 სტადია | მე-3 სტადია | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | კოლექტიური | კოლექტიური | ინდივიდუალური | კოლექტიური | POCI | სულ |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | 15 | - | - | - | - | 15 |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | 23 | - | - | - | - | 23 |
| სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები -სავალო ინსტრუმენტები | 1,134 | - | - | - | - | 1,134 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით | 1,604 | 30,301 | 3,852 | (39,651) | (353) | (4,247) |
| ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | (314) | (58) | (714) | (528) | - | (1,614) |
| სხვა ფინანსური აქტივები | (252) | - | - | - | - | (252) |
| ფინანსური გარანტიები | 6,623 | 63 | 3,746 | (8) | - | 10,424 |
| კლიენტების აკრედიტივი | 1,515 | - | 315 | - | - | 1,830 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | (1,085) | (356) | - | - | - | (1,441) |
| **2021 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდისთვის** | **9,263** | **29,950** | **7,199** | **(40,187)** | **(353)** | **5,872** |

ცხრილში ნაჩვენებია გაუფასურების რეზერვის ხარჯი სხვა აქტივებსა და ანარიცხებზე მოგება-ზარალის ანგარიშგებაში:

| | *ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული* | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* |
| იურიდიული მომსახურების ღირებულება | (785) | 799 |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი | 4,780 | 1,274 |
| გასაყიდად გამიზნული აქტივების გაუფასურების ხარჯი | 1,194 | 1,558 |
| რეზერვი იურიდიული სარჩელებისთვის | - | 1,422 |
| | **5,189** | **5,053** |

*(ათას ლარში)*

## 20. რისკის მართვა

**ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა**

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა ძირითადი სადეპოზიტო ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის მიხედვით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

ჯგუფი ფლობს საკმაოდ რეალიზებადი და დივერსიფიცირებული აქტივების პორტფელს, რომელთა ლიკვიდაციაც მარტივად არის შესაძლებელი ფულადი ნაკადების მოულოდნელი შეწყვეტის შემთხვევაში. ჯგუფი ასევე ფლობს საკრედიტო ხაზებს, რომლებიც შეუძლია გამოიყენოს ლიკვიდურობის მიზნით. ამასთან, ჯგუფი ფლობს ფულად დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობაც დამოკიდებულია მოზიდულ სამომხმარებლო სახსრებზე.

ბანკის ლიკვიდურობის პოზიციას ჯგუფი ინდივიდუალურად აფასებს და მართავს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული ლიკვიდურობის კოეფიციენტების მიხედვით. ბანკები ვალდებულები არიან, რომ შეინარჩუნონ ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრა როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების თანაფარდობა წმინდა ფულად გადინებებთან მომდევნო 30 დღის განმავლობაში. ბრძანების თანახმად, სტრესულ პერიოდებს თუ არ ჩავთვლით, კოეფიციენტი 100%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტი 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 0.0% იყო (2021 წლის 31 დეკემბერი: 124.0%).

ბანკს საკმარისი ბუფერი აქვს, რომელიც აღემატება წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის 100%-იან მოთხოვნას, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 სექტემბერს. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის სოლიდური ბუფერი ნიშნავს სტაბილურ დაფინანსების წყაროებს ხანგრძლივი ვადით. ამ მიდგომის მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ დაფინანსების მექანიზმი საკმარისად მოქნილია, რათა უზრუნველყოფს ლიკვიდურობა სხვადასხვა საბაზრო პირობებში. წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი 2022 წლის 30 ივნისისთვის 0.0% იყო (2021 წლის 31 დეკემბერი: 132.5%), რაც საკმაოდ მაღალია სებ-ის მიერ მოთხოვნილ მინიმალურ სავალდებულო ბუფერზე.

ჯგუფი ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და ახდენს უარყოფით გეპებზე მაქსიმალური ლიმიტის რეგულარულ მონიტორინგს, ბანკის ინდივიდუალურ მთლიან საზედამხედველო კაპიტალთან შედარებით, რომელიც გამოითვლება სებ-ის რეგულაციის შესაბამისად. კოეფიციენტების შეფასება, მონიტორინგი და დადგენილ ლიმიტებთან შედარება ყოველთვიურად ხდება. გადახვევების აღმოჩენის შემთხვევაში, ცვლილებების სტრატეგიებს/ნაბიჯებს განიხილავს და ამტკიცებს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი.

*(ათას ლარში)*

## 21. სამართლიანი ღირებულების შეფასება

**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, ჯგუფმა განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით, გარდა ნაღდი ფულისა და მოკლევადიანი ანაბრებისა, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას:

| **2022 წლის 30 ივნისი** | ***დონე 1*** | ***დონე 2*** | ***დონე 3*** | ***სულ*** |
|---|---|---|---|---|
| ***სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები*** | | | | |
| საინვესტიციო ქონება, სულ | - | - | 193,173 | 193,173 |
| *მიწა* | - | - | *9,914* | *9,914* |
| *საცხოვრებელი შენობები* | - | - | *129,516* | *129,516* |
| *არასაცხოვრებელი შენობები* | - | - | *53,743* | *53,743* |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 4,389 | 3,078,708 | 108 | 3,083,205 |
| სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები | - | 131,139 | - | 131,139 |
| ***აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი*** | | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | - | 1,751,791 | - | 1,751,791 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | | 111,802 | | 111,802 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | - | - | 15,536,471 | 15,536,471 |
| ***სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები*** | | | | |
| სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები | - | 5,098 | - | 5,098 |
| ***ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი*** | | | | |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | - | 15,142,421 | - | 15,142,421 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | - | 3,723,293 | 1,203,543 | 4,926,836 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | - | 1,072,906 | 214,371 | 1,287,277 |
| საიჯარო ვალდებულებები | - | 1,870 | 91,922 | 93,792 |

*(ათას ლარში)*

## 21. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

| **2021 წლის 31 დეკემბერი** | ***დონე 1*** | ***დონე 2*** | ***დონე 3*** | ***სულ*** |
|---|---|---|---|---|
| ***სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები*** | | | | |
| საინვესტიციო ქონება, სულ | - | - | 231,707 | 231,707 |
| *მიწა* | - | - | *11,762* | *11,762* |
| *საცხოვრებელი შენობები* | - | - | *152,167* | *152,167* |
| *არასაცხოვრებელი შენობები* | - | - | *67,778* | *67,778* |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 5,242 | 2,558,611 | 108 | 2,563,961 |
| სხვა აქტივები - წარმოებული ფინანსური აქტივები | - | 135,079 | - | 135,079 |
| ***აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი*** | | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ | - | 1,917,939 | - | 1,917,939 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | - | - | 15,615,284 | 15,615,284 |
| ***სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები*** | | | | |
| სხვა ვალდებულებები - წარმოებული ფინანსური ვალდებულებები | - | 7,865 | - | 7,865 |
| ***ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი*** | | | | |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | - | 14,056,936 | - | 14,056,936 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | - | 3,453,121 | 665,341 | 4,118,462 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | - | 1,316,918 | 215,791 | 1,532,709 |
| საიჯარო ვალდებულებები | - | 2,787 | 89,018 | 91,805 |

*(ათას ლარში)*

## 21. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. ჯგუფმა გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, ჯგუფის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

*წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები*

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეფასებულია აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით, ძირითადად წარმოადგენს საპროცენტო სვოპებს, სავალუტო სვოპებს, სავალუტო ფორვარდულ კონტრაქტებს და ოფციონის კონტრაქტებს. შეფასებებისთვის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდიკა მოიცავს ფორვარდულ ფასწარმოქმნას, სვოპის მოდელებს, რომლებისთვისაც გამოიყენება მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება და ასევე სტანდარტული ოფციონის ფასწარმოქმნის მოდელები. მოდელები შეიცავს სხვადასხვა ამოსავალ მონაცემს კონტრაჰენტების საკრედიტო რეიტინგის, სავალუტო სვოპების და ფორვარდული კურსის, საპროცენტო განაკვეთის მრუდის და ნაგულისხმევი მერყეობის ჩათვლით.

*სავაჭრო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები*

სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ნაწილი კოტირებული წილობრივი და სავალო ფასიანი ქაღალდებია. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შეფასება ხდება შეფასების სისტემით ან ფასწარმოქმნის მოდელით, შედგება არაკოტირებული კაპიტალის და სასესხო ფასიანი ქაღალდებისაგან. ეს ფასიანი ქაღალდები შეიძლება შეფასდეს მეთოდით, რომელიც ზოგჯერ შეიცავს მხოლოდ ბაზარზე არსებულ მონაცემებს, ხოლო სხვა დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას საბაზრო ან არასაბაზრო მონაცემები. არადაკვირვებადი მონაცემი მოიცავს ვარაუდს ინვესტიციის ობიექტის სამომავლო ფინანსური საქმიანობის და მისთვის დამახასიათებელი რისკების შესახებ, ასევე მოიცავს ეკონომიკურ ვარაუდს მრეწველობის და გეოგრაფიული იურისდიქციის შესახებ, რომელშიც ფუნქციონირებს ინვესტიციის ობიექტი.

**ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის ასახული**

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ჯგუფის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცხრილში არ არის ნაჩვენები არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები, სხვა უფრო მცირე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები, ან ფულადი სახსრები და მოკლევადიანი ანაბრები, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც არსებითად უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს.

*(ათას ლარში)*

## 21. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

**ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით არ არის ასახული (გაგრძელება)**

| | *2022 წლის 30 ივნისი* | | | *2021 წლის 31 დეკემბერი* | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *საბალანსო ღირებულება 2022* | *სამართლიანი ღირებულება 2022* | *არაღიარებული მოგება/(ზარალი) 2022* | *საბალანსო ღირებულება 2021* | *სამართლიანი ღირებულება 2021* | *არაღიარებული მოგება/(ზარალი) 2021* |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | | | |
| მოთხოვნები საკრედიტო მომხმარებლებზე გაცემული სესხები და ფინანსური იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები | 1,751,791 | 1,751,791 | - | 1,917,939 | 1,917,939 | - |
| | 16,269,360 | 15,536,471 | (732,889) | 15,998,166 | 15,615,284 | (382,882) |
| ***ფინანსური ვალდებულებები*** | | | | | | |
| კლიენტების დეპოზიტები და თამასუქები | 15,169,232 | 15,142,421 | 26,811 | 14,081,438 | 14,056,936 | 24,502 |
| ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე | 4,926,836 | 4,926,836 | - | 4,118,462 | 4,118,462 | - |
| გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები | 1,305,584 | 1,287,277 | 18,307 | 1,460,479 | 1,532,709 | (72,230) |
| საიჯარო ვალდებულებები | 89,416 | 93,792 | (4,376) | 85,098 | 91,805 | (6,707) |
| **მთლიანი აუღიარებელი ცვლილება არარეალიზებულ სამართლიან ღირებულებაში** | | | **(692,147)** | | | **(437,317)** |

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

**აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას**

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება აგრეთვე ეხება მოთხოვნამდე ანაბრებს, განსაზღვრული ვადის არმქონე შემნახველ ანგარიშებს და ცვალებადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

**ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები**

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული განაკვეთის მქონე დეპოზიტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის. ერთ წლამდე ვადის მქონე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში, დაშვებულია, რომ მათი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს.

*(ათას ლარში)*

## 22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი მათი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით, გარდა მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო ბარათებისა, როგორც ქვემოთ არის აღწერილი.

| | *2022 წლის 30 ივნისი* | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *მოთხოვნამდე* | *3 თვემდე* | *6 თვემდე* | *1 წლამდე* | *3 წლამდე* | *5 წლამდე* | *5 წელზე მეტი* | *სულ* |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი | 1,972,949 | 789,478 | - | - | - | - | - | 2,762,427 |
| მოთხოვნები საკრედიტო | 1,735,395 | 7,322 | - | - | - | - | 9,074 | 1,751,791 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,562,586 | 1,471,072 | 16,099 | 45,101 | 34,039 | 65,837 | 273 | 3,195,007 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 4,210 | 2,876,652 | 1,205,747 | 2,099,264 | 4,099,465 | 2,216,441 | 3,767,581 | 16,269,360 |
| **სულ** | **5,275,140** | **5,144,524** | **1,221,846** | **2,144,365** | **4,133,504** | **2,282,278** | **3,776,928** | **23,978,585** |
| ***ფინანსური ვალდებულებები*** | | | | | | | | |
| კლიენტების დეპოზიტები და | 3,181,455 | 3,063,677 | 995,842 | 6,422,631 | 1,031,928 | 209,199 | 264,500 | 15,169,232 |
| ვალდებულებები საკრედიტო | 392,314 | 2,445,107 | 213,788 | 275,530 | 822,191 | 385,443 | 392,463 | 4,926,836 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი | - | 150,391 | 18,207 | 66,498 | 856,634 | 213,854 | - | 1,305,584 |
| საიჯარო ვალდებულებები | 589 | 5,944 | 5,719 | 10,964 | 37,359 | 22,394 | 6,447 | 89,416 |
| **სულ** | **3,574,358** | **5,665,119** | **1,233,556** | **6,775,623** | **2,748,112** | **830,890** | **663,410** | **21,491,068** |
| **წმინდა** | **1,700,782** | **(520,595)** | **(11,710)** | **(4,631,258)** | **1,385,392** | **1,451,388** | **3,113,518** | **2,487,517** |
| **აკუმულირებული გეპი** | **1,700,782** | **1,180,187** | **1,168,477** | **(3,462,781)** | **(2,077,389)** | **(626,001)** | **2,487,517** | |

| | *2021 წლის 31 დეკემბერი* | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *მოთხოვნამდე* | *3 თვემდე* | *6 თვემდე* | *1 წლამდე* | *3 წლამდე* | *5 წლამდე* | *5 წელზე მეტი* | *სულ* |
| ***ფინანსური აქტივები*** | | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი | 1,265,780 | 228,672 | - | - | - | - | - | 1,494,452 |
| მოთხოვნები საკრედიტო | 1,893,732 | 7,744 | 7,744 | - | - | - | 8,719 | 1,917,939 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 1,157,889 | 1,282,083 | 7,083 | 12,486 | 12,998 | 88,776 | 2,646 | 2,563,961 |
| მომხმარებლებზე გაცემული სესხები | 2,965 | 3,046,019 | 937,783 | 1,981,480 | 4,000,593 | 2,276,915 | 3,752,411 | 15,998,166 |
| **სულ** | **4,320,366** | **4,564,518** | **952,610** | **1,993,966** | **4,013,591** | **2,365,691** | **3,763,776** | **21,974,518** |
| ***ფინანსური ვალდებულებები*** | | | | | | | | |
| კლიენტების დეპოზიტები და | 2,510,537 | 2,783,739 | 1,177,931 | 6,049,579 | 844,999 | 448,276 | 266,377 | 14,081,438 |
| ვალდებულებები საკრედიტო | 170,411 | 1,635,122 | 147,011 | 343,720 | 903,976 | 509,173 | 409,049 | 4,118,462 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი | - | 37,429 | 16,376 | 169,718 | 1,014,078 | 222,878 | - | 1,460,479 |
| საიჯარო ვალდებულებები | - | 5,993 | 5,596 | 10,037 | 34,020 | 22,171 | 7,281 | 85,098 |
| **სულ** | **2,680,948** | **4,462,283** | **1,346,914** | **6,573,054** | **2,797,073** | **1,202,498** | **682,707** | **19,745,477** |
| **წმინდა** | **1,639,418** | **102,235** | **(394,304)** | **(4,579,088)** | **1,216,518** | **1,163,193** | **3,081,069** | **2,229,041** |
| **აკუმულირებული გეპი** | **1,639,418** | **1,741,653** | **1,347,349** | **(3,231,739)** | **(2,015,221)** | **(852,028)** | **2,229,041** | |

ჯგუფის მიერ ვალდებულებების დაფარვის უნარი დამოკიდებულია მის მიერ დროის იმავე მონაკვეთში ეკვივალენტური აქტივების რეალიზაციაზე. საქართველოს ბაზარზე, სადაც ჯგუფის საქმიანობის დიდი ნაწილია თავმოყრილი, ბევრი მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა იმ მოლოდინით, რომ მათი დაფარვის თარიღისთვის ამ სესხების ვადა გაგრძელდება. ამდენად, აქტივების ვადიანობა, რომელიც ზემოთ არის მოცემული, შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური ვადიანობისგან. მიმდინარე ანგარიშების ისტორიული სტაბილურობის ასახვის მიზნით ჯგუფი გამოითვლის მიმდინარე ანგარიშების მინიმალურ ყოველდღიურ ნაშთს ბოლო ორი წლის განმავლობაში და ამ თანხას ზემოთ მოყვანილ ცხრილში ასახავს „ერთ წლამდე“ კატეგორიაში. დანარჩენი მიმდინარე ანგარიშები შესულია „მოთხოვნამდე“ კატეგორიაში. სებ-ისგან მიღებული მოკლევადიანი ნასესხები სახსრების გადაფარვის შესაბამისობაში მოსაყვანად მის უზრუნველსაყოფად დაგირავებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებთან, ეს ფასიანი ქაღალდები შევიდა „მოთხოვნამდე“ კატეგორიაში. იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო ბარათებს არ აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაფარვის ვადები, ზემოაღნიშნული განაწილება კატეგორიებად ხდება დაფარვის სტატისტიკურ მაჩვენებლებზე დაყრდნობით.

*(ათას ლარში)*

## 22. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი (გაგრძელება)

ჯგუფის ლიკვიდურობის მთავარი წყაროებია:

- ანაბრები;
- საერთაშორისო საკრედიტო დაწესებულებებისგან ნასესხები სახსრები;
- ბანკთაშორისი სადეპოზიტო ხელშეკრულებები;
- გაცემული სესხები;
- შემოსავალი ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან;
- სესხის ძირითადი თანხის დაფარვები;
- საპროცენტო შემოსავალი; და
- მიღებული გასამრჯელო და საკომისიო.

დირექტორთა საბჭოს აზრით ჯგუფს საკმარისი ლიკვიდურობა აქვს არსებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

ცხრილში წარმოდგენილია აქტივების და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მათი ამოღება ან გასტუმრება მოსალოდნელი, გარდა იმ მიმდინარე ანგარიშებისა, რომლებიც შესულია ერთ წლამდე ვადიან კატეგორიაში:

| | *2022 წლის 30 ივნისი* | | | *2021 წლის 31 დეკემბერი* | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *1 წელზე ნაკლები* | *1 წელზე მეტი* | *სულ* | *1 წელზე ნაკლები* | *1 წელზე მეტი* | *სულ* |
| ფულადი სახსრები და მათი | 2,762,427 | - | 2,762,427 | 1,494,452 | - | 1,494,452 |
| მოთხოვნები საკრედიტო | 1,742,717 | 9,074 | 1,751,791 | 1,909,220 | 8,719 | 1,917,939 |
| საინვესტიციო ფასიანი | 3,094,858 | 100,149 | 3,195,007 | 2,459,541 | 104,420 | 2,563,961 |
| მომხმარებლებზე გაცემული | 6,185,873 | 10,083,487 | 16,269,360 | 5,968,247 | 10,029,919 | 15,998,166 |
| დებიტორული დავალიანება და | 17,947 | - | 17,947 | 23,432 | - | 23,432 |
| გადახდილი ავანსები | 53,894 | 11,346 | 65,240 | 56,558 | 1,602 | 58,160 |
| სასაქონლო-მატერიალური | 5,414 | - | 5,414 | 6,243 | - | 6,243 |
| აქტივის გამოყენების უფლება | - | 85,078 | 85,078 | - | 77,676 | 77,676 |
| საინვესტიციო ქონება | - | 193,173 | 193,173 | - | 231,707 | 231,707 |
| ძირითადი საშუალებები | - | 352,245 | 352,245 | - | 343,025 | 343,025 |
| გუდვილი | - | 33,453 | 33,453 | - | 33,453 | 33,453 |
| არამატერიალური აქტივები | - | 126,125 | 126,125 | - | 124,775 | 124,775 |
| მოგების გადასახადი აქტივები | - | 816 | 816 | 109 | 183 | 292 |
| სხვა აქტივები | 290,705 | 54,349 | 345,054 | 230,592 | 10,608 | 241,200 |
| გასაყიდად გამიზნული აქტივები | 43,137 | - | 43,137 | 46,731 | - | 46,731 |
| **სულ აქტივები** | **14,196,972** | **11,049,295** | **25,246,267** | **12,195,125** | **10,966,087** | **23,161,212** |
| კლიენტების ანაბრები და | 13,663,605 | 1,505,627 | 15,169,232 | 12,521,786 | 1,559,652 | 14,081,438 |
| ვალდებულებები საკრედიტო | 3,326,739 | 1,600,097 | 4,926,836 | 2,296,264 | 1,822,198 | 4,118,462 |
| გამოშვებული სავალო ფასიანი | 235,096 | 1,070,488 | 1,305,584 | 223,523 | 1,236,956 | 1,460,479 |
| საიჯარო ვალდებულებები | 23,216 | 66,200 | 89,416 | 21,626 | 63,472 | 85,098 |
| დარიცხვები და გადავადებული | 46,474 | 29,545 | 76,019 | 56,129 | 20,471 | 76,600 |
| მოგების გადასახადის | 27,688 | 22,732 | 50,420 | 85,270 | 25,598 | 110,868 |
| სხვა ვალდებულებები | 325,451 | - | 325,451 | 175,765 | 1,279 | 177,044 |
| **სულ ვალდებულებები** | **17,648,269** | **4,294,689** | **21,942,958** | **15,380,363** | **4,729,626** | **20,109,989** |
| **წმინდა** | **(3,451,297)** | **6,754,606** | **3,303,309** | **(3,185,238)** | **6,236,461** | **3,051,223** |

*(ათას ლარში)*

## 23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთაა განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, 2022 წლის 30 ივნისისა და 2021 წლის 30 ივნისის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი პერიოდის განმავლობაში ასეთია:

| | *2022 წლის 30 ივნისს (არააუდიტირებული)* | | | *2021 წლის 31 დეკემბერს (არააუდიტირებული)* | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | *მშობელი კომპანია* | *საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები* | *უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა** | *მშობელი კომპანია* | *საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები* | *უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა** |
| **1 იანვრის მდგომარეობით დაუფარავი სესხები, მთლიანი** | **17,750** | **-** | **12,050** | **10,701** | **-** | **10,646** |
| პერიოდის განმავლობაში გაცემული სესხები | - | - | 4,234 | 4,947 | - | 2,589 |
| პერიოდის განმავლობაში დაფარული სესხები | - | - | (5,234) | - | - | (3,344) |
| სხვა მოძრაობა | (504) | - | (890) | (230) | - | (1,762) |
| **დაუფარავი სესხები 30 ივნისი, მთლიანი** | **17,246** | **-** | **10,160** | **15,418** | **-** | **8,129** |
| გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი 30 ივნისის მდგომარეობით | - | - | (23) | - | - | (6) |
| **დაუფარავი სესხები 30 ივნისი, წმინდა** | **17,246** | **-** | **10,137** | **15,418** | **-** | **8,123** |
| საპროცენტო შემოსავალი სესხებზე | 482 | - | 410 | 389 | - | 252 |
| მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი | - | - | - | - | - | - |
| **ანაბრები 1 იანვრის მდგომარეობით** | **29,813** | **176,898** | **31,127** | **7,098** | **69,520** | **32,619** |
| პერიოდის განმავლობაში მიღებული ანაბრები | 24,141 | 1,331 | 6,639 | 28,857 | 22,880 | 17,944 |
| პერიოდის განმავლობაში დაფარული ანაბრები | - | (103,527) | (10,435) | - | (575) | (21,342) |
| სხვა მოძრაობა | - | (8,397) | (8,591) | - | 33 | (623) |
| **ანაბრები 30 ივნისის მდგომარეობით** | **53,954** | **66,305** | **18,740** | **35,955** | **91,858** | **28,598** |
| საპროცენტო ხარჯი ანაბრებზე | (762) | (435) | (566) | (143) | (464) | (549) |
| **ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით** | **5,746** | **737** | **-** | **708** | **737** | **-** |
| პერიოდის განმავლობაში ნასესხები სახსრები | - | - | - | 5,916 | - | - |
| პერიოდის განმავლობაში დაფარული ნასესხები სახსრები | - | (462) | - | - | - | - |
| სხვა მოძრაობა | (306) | (54) | - | (708) | - | - |
| **ნასესხები სახსრები 30 ივნისის მდგომარეობით** | **5,440** | **221** | **-** | **5,916** | **737** | **-** |
| საპროცენტო ხარჯი გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე | (94) | - | - | (29) | - | - |

** ხელმძღვანელობის ზედა რგოლი მოიცავს საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოსა და საქართველოს ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებს და ჯგუფის წამყვან ხელმძღვანელობას.*

*(ათას ლარში)*

## 23. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

| | *ექვსთვიანი პერიოდისთვის, დასრულებული* | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი* | *2021 წლის 30 ივნისი* |
| ხელფასები და სხვა სარგებელი | 4,714 | 5,052 |
| წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურება * | 32,930 | 13,345 |
| **სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება** | **37,644** | **18,397** |

** აქციებზე დაფუძნებული გადახდებით კომპენსაცია 2022 წელს გაიზარდა ყოფილი აღმასრულებელი ხელმძღვანელის მიერ თანამდებობის დატოვებასთან დაკავშირებული დანახარჯებისა და აქციებზე დაფუძნებული გადახდების სქემაში შესული ცვლილების გამო.*

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა არ იღებს ფულით განსაზღვრულ კომპენსაციას, გარდა ფიქსირებული ხელფასებისა. მთლიანი კომპენსაციის დიდი ნაწილი წილობრივი ინსტრუმენტებია. 2022 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრების რაოდენობა 21 იყო (2021 წლის 31 დეკემბერი: 20).

## 24. კაპიტალის ადეკვატურობა

ჯგუფი ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ჯგუფის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმებით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

2022 წლის 30 ივნისით დასრულებული პერიოდის განმავლობაში ბანკი და ჯგუფი სრულად აკმაყოფილებდნენ ყველა გარე კაპიტალის მოთხოვნას.

ჯგუფის კაპიტალის მართვის უპირველესი მიზანია მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა კაპიტალის დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე, ჯგუფის მიერ ძლიერი საკრედიტო რეიტინგისა და ჯანსაღი კაპიტალის კოეფიციენტების შენარჩუნება წარმატებული ბიზნესის წარმოებისა და აქციონერისთვის დამატებითი ღირებულების უზრუნველსაყოფად. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და შეაქვს შესწორებები ეკონომიკური სიტუაციის და რისკის ფაქტორების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან დაკორექტირების მიზნით, ჯგუფმა შესაძლებელია შეცვალოს აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების მოცულობა, უკან დაუბრუნოს კაპიტალი აქციონერებს ან გაზარდოს კაპიტალი აქციების გამოშვების გზით. წინა წლების მიზნები, სტრატეგია და პროცესები არ შეცვლილა.

**სებ-ის (ბაზელ III-ის მიხედვით) კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი**

2017 წლის დეკემბერში სებ-მა ცვლილებები შეიტანა რეგულაციებში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, მათ შორის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში, და შემოიღო კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის, სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების განსაზღვრისა და მათთვის სისტემურობის ბუფერის დაწესების ახალი მოთხოვნები, ასევე პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი. სებ-ის მოთხოვნით ბანკმა უნდა შეინარჩუნოს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური კოეფიციენტი. ეს კოეფიციენტი გამოითვლება ბანკის სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მომზადებულია სებ-ის დებულებებისა და აქტების შესაბამისად, ბაზელ III-ის მოთხოვნების საფუძველზე.2022 წლის 30 ივნისის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, ამის საფუძველზე, იყო:

*(ათას ლარში)*

## 24. კაპიტალის ადეკვატურობა (გაგრძელება)

| სებ-ის (ბაზელ III-ის მიხედვით) კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
| პირველადი კაპიტალი | 3,032,913 | 2,691,000 |
| მეორადი კაპიტალი | 635,197 | 784,800 |
| **სულ კაპიტალი** | **3,668,110** | **3,475,800** |
| **რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები** | **18,482,319** | **17,977,949** |
| **პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი** | **16.4%** | **15.0%** |
| **მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი** | **19.8%** | **19.3%** |
| **პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა** | **14.0%** | **13.6%** |
| **მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტის მინიმალური მოთხოვნა** | **17.5%** | **17.7%** |

**კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 1998 წლის Basel Capital Accord-ის (ბაზელის შეთანხმება კაპიტალის თაობაზე) მიხედვით**

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი, რომელიც ეყრდნობა ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას და გამოთვლილია კაპიტალის შესახებ ბაზელის 1988 წლის შეთანხმების მიხედვით, შემდგომი ცვლილებების, მათ შორის საბაზრო რისკებთან დაკავშირებული ცვლილებების გათვალისწინებით, 2022 წლის 30 ივნისისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

| | მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | *2022 წლის 30 ივნისი (არააუდიტირებული)* | *2021 წლის 31 დეკემბერი* |
| პირველადი კაპიტალი | 3,294,103 | 3,004,387 |
| გამოკლებული: გამოქვითვები - გუდვილი | (33,453) | (33,453) |
| მეორადი კაპიტალი | 1,171,738 | 1,253,467 |
| გამოკლებული: გამოქვითვები კაპიტალიდან | (10) | (10) |
| **სულ კაპიტალი** | **4,432,378** | **4,224,391** |
| **რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები** | **17,822,176** | **19,257,218** |
| სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 24.9% | 21.9% |
| პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 18.3% | 15.4% |
| **მინიმალური კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი** | **8.0%** | **8.0%** |